ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მეოთხე სემესტრის სტუდენტი
თამარი კორძახია

სამაგისტრო ნაშრომი, წარდგენილი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

„ერთობლივი საწარმოს" სამართლებრივი ფორმა და მისი მახასიათებლები (შედარებითი კვლევა აშშ-ს სამართლის მაგალითზე)

თემის ხელმძღვანელი
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი
ირაკლი ბურდული

საკონტაქტო მონაცემები:
მობ.ტელ. ნომ: 577304788
ელ.ფოსტა: Takokordzakhia@gmail.com

თბილისი
2019წ.

სარჩევი:

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი: 3

I. შესავალი 4

II. „ერთობლივი საწარმო" - საქმიანობის ფორმა 9

1.1. „ერთობლივი საწარმოს" – ისტორიული განვითარება და მისი დეფინიცია 10
1.2. „ერთობლივი საწარმოს" ფორმები 15
1.2.1. „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო" 17
1.2.2. „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა" 20
1.2.3. „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმო" 21
1.3. ერთობლივი საწარმოს სახეები და გამოვლინებები 25

III. ერთობლივი საწარმოს სპეციფიკა 30

1.1. „ერთობლივი საწარმო" და კორპორაცია 31
1.2. „ერთობლივი საწარმო" და ამხანაგობა 35
1.2.1. ამხანაგობა 35
1.2.2. ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" ურთიერთმიმართება 41
1.2.2.1. „ერთობლივი საწამროსა" და ამხანაგობის საერთო მახასიათებლები 43
1.2.2.2. განსხვავება „ერთობლივი საწამროსა" და ამხანაგობას შორის 48

IV. „ერთობლივი საწარმო" ქართულ სამართლებრივ სივრცეში 56

1.1. ერთობლივი საქმიანობა - ამხანაგობა ქართულ კანონმდებლობაში 56
1.1.1. სამეწარმეო ამხანაგობა 63
1.1.2. ქართული სასამართლო პრაქტიკა 66
1.2. ერთობლივი საქმიანობა - სინდიკატი 68

V. დასკვნა 74

ბიბლიოგრაფია 77

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი:

ა.შ. - ასე შემდეგ.
ე.ი. - ესე იგი.
ე.წ. - ეგრეთ წოდებული.
იხ. - იხილეთ.
მაგ.- მაგალითად.
გვ. - გვერდი.
აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები.
სსკ- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
სს- სააქციო საზოგადოება.
შპს- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
V (Vs) – Versus.
JV – Joint Venture.
p. – page.
UNCITRAL – The United Nations Commision on International Trade Law.

I. შესავალი

„You can't do today's job with
yesterday's methods
and be in business tomorrow"[1]

წინამდებარე ნაშრომი შეეხება „ერთობლივი საწარმოს" სამართლებრივ ფორმას, მის მახასიათებლებს, კონცეფციასა და მის ადგილს, როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილული იქნება საკითხის აქტუალურობა, კვლევის ფარგლები და კვლევის მეთოდები, ასევე თემის სტრუქტურა.

დღესდღეობით, საერთაშორისო ბიზნეს/კომერციული ურთიერთობები განვითარების უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებს იპყრობს, შესაბამისად თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ და კომერციულ ბაზარზე ჩნდება ახალი ბიზნესის განხორციელებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. შეუქცევადი განვითარებისა და გლობალიზაციის ფონზე თითოეული სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი სივრცე მრავალ გამოწვევას აწყდება და ჩნდება აუცილებლობა, რომ თითოეული ქვეყნის შიგნით მოქმედი კანონმდებლობა იცნობდეს ახალ ტენდენციებს და განიცდიდეს შესაბამის ცვილებებს. ასეთი შეუქცევადი პროცესის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს, სწორედ სამეწარმეო ურთიერთობის განვითარების ნაყოფსა და სიახლეს ,როგორც მრავალი ქვეყნის, ისე საქართველოს კანონმდებლობისთვისაც.[2] ასევე, აღნიშნული პროცესის თვალსაჩინო მაგალითია სამეწარმეო ამხანაგობის მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში დამკვიდრება და შემდგომ კვლავ ამოღება.[3] შესაბამისად, ყოველდღიურად შესაძლოა საჭირო გახდეს სამართლის სიახლეებთან და ტენდენციებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ბაზრის განვითარების თანმდევი პროცესია.

---

[1] Bush W. G., „დღევანდელ საქმეს ვერ გააკეთებთ გუშინდელი მეთოდებით და ვერ შეძლებთ იყოთ ბიზნეს ურთიერთობების წევრი ხვალ".

[2] ცერცვაძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი), კარი I, თავი VII, მუხლი 607, ბოლო დამუშავება 5 აპრილი, 2016წ., გვ.3., ველი-6., იხ. http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-vii-ფრენშაიზინგი/მუხლი-607/.

[3] ვრცლად იხ. გვ. 58-60.

წინამდებარე ნაშრომით განსახილველი „ერთობლივი საწარმო" უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ბიზნეს ორგანიზაციებისა და მეწარმე სუბიექტების მიერ საქმიანობის განხორციელების ფორმად, მით უფრო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისკენ ისწრაფვიან სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი და დაფუძნებული კომპანიები[4]. მიუხედავად იმისა, რომ „ერთობლივ საწარმოს" საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, ის კომერციულ ურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივ სიახლეს, რომლის კონცეფციასა და დეფინიციაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. საქმეში Leitner v. Wass ნიუ-იორკის სასამართლოს მოსამართლემ „ერთობლივი საწარმო" განმარტა, როგორც „ამხანაგობის მსგავსი ბუნების მქონე ორი ან მეტი პირის გაერთიანება, რომელიც მოქმედებს ბიზნესის განსახორციელებლად და მოგების მისაღებად".[5] ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს ამერიკული სასამართლოების მიერ შექმნილ სიახლეს საერთაშორისო ასპარეზზე.[6] „ერთობლივმა საწარმომ" ,როგორც სამართლებრივმა ფორმამ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია არა მხოლოდ დეფინიციისა და განსაზღვრების კუთხით, არამედ კონცეპტუალურადაც. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება „ერთობლივი საწარმოსა" და ამხანაგობის ურთიერთმიმართებასთან , მათ მსგავსებასა და განსხვავებასთან დაკავშირებით.[7] შესაბამისად, დღეს საკმაოდ აქტუალურია საკითხი, „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს ამხანაგობის ფორმას, ფსევდოამხანაგობას, თუ დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს.

მიუხედავად „ერთობლივი საწარმოს" ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და გარკვეული ბუნდოვანებისა, ის უფრო და უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ბიზნეს ურთიერთოებში, შესაბამისად, აქტუალურია თუ რამდენად უწყობს ფეხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ასეთი ტიპის ორგანიზაციების საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გამოჩენას. საკითხი აქტუალურია საქართველოს რეალობაშიც, რადგან საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც ისწრაფვის ეკონომიკური განვითარებისაკენ და ცდილობს მოიზიდოს ინვესტორები (ფიზიკური პირები თუ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ბიზნეს ორგანიზაციები). შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქართული

---

[4] Nelson L., International Joint Ventures, 2 SPG International Legal Perspectives 75, Spring, 1990, 75.

[5] Taubman J., What Constitutes a Joint Venture, 41 Cornell Law Quarterly 640 (1955-1956), 2019y., 641. ონლაინ იხ. https://scholarship.law.cornell.edu/clr/vol41/iss4/4/

[6] იქვე, გვ.642.

[7] Weissburg A. B., Reviewing the law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 Southern California Law Review 487, January, 1990., 518.

კანონმდებლობის დამოკიდებულება „ერთობლივი საწარმოს" მიმართ და საკითხი თუ რამდენად საჭიროებს ქართული კანონმდებლობა განვითარებას ამ მიმართულებით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზოგადად „ერთობლივი საწარმოს" კონცეფციისა და სამართლებრივ სივრცეში მისი ადგილის გაანალიზება, ასევე „ერთობლივი საწარმოს" ,როგორც სამართლებრივი ფორმის პერსპექტივები ქართულ რეალობასა და სამართალში.

ნაშრომში განხილული იქნება ერთობლივი საწარმოს არსი, მისი სპეციფიკა და ბუნება აშშ-ს სამართლის მაგალითზე, რომელიც წარმოადგენს „ერთობლივი საწარმოს" ,როგორც სამართლებრივი ფორმის „სამშობლოს". აღნიშულის ანალიზისათვის განხილული იქნება „ერთობლივი საწარმოს" თითოეული ფორმა და მისი სხვადასხვა გამოვლინება. მიმოხილული იქნება პრობლემური საკითხი, „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, შეზღუდულ ამხანაგობას[8], თუ ამხანაგობის დამოუკიდებელ ფორმას. აღნიშნული მიზნით გაანალიზებული იქნება ამხანაგობის და მისი ფორმების სამართლებრივი ბუნება, როგორც აშშ-ს სამართალში, ისე ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება ქართული კანონმდებლობის დამოკიდებულება „ერთობლივ საწარმოსთან", ამ მიზნით გაანალიზებული იქნება ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული ამხანაგობის არსი და მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა (მსგავსება და განსხვავება აშშ-ს სამართლისათვის დამახასიათებელ ამხანაგობასთან), ასევე ერთობლივი საქმიანობის სხვა ფორმები, ისეთი როგორიცაა სინდიცირება და მისი მსგავსება და განსხვავება „ერთობლივ საწარმოსათან".

ნაშრომში განსახილველი საკითხი მიმოხილულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდით (აშშ-ს სამართალთან მიმართებით). ნაშრომი აგებულია დისკრიფციული ანალიზის სტილით, ხოლო „ერთობლივი საწარმოს" კონცეფცია და სამართლებრივი ბუნება მიმოხულული იქნება ჰომოთეტიური და იდიოგრაფული (აღწერილობითი) კვლევის მეთოდებით. ამხანაგობის, „ერთობლივი საწარმოსა" და სინდიკატის ბუნების გააზრებისათვის გამოყენებული იქნება შედარებითი და ისტორიულ-გენეტიკური კვლევის მეთოდი. ნაშრომში ასევე გამოყენებულია კვლევის ინდუქციური მეთოდი ზემოაღნიშნულ დისციპლინებთან დაკავშირებით.

---

[8] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949), 114. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

ნაშრომი დაყოფილია ხუთ ძირითად თავად, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია ქვეთავებად, რომლებშიც განხილული იქნება კონკრეტული საკითხები.

პირველი თავი ეთმობა შესავალს, სადაც მიმოხილულია განსახილველი თემის აქტუალურობა და განხილული თემის კვლევის ფარგლები, ასევე კვლევის მეთოდები და თემის სტრუქტურა.

მეორე თავსა და მის ქვეთავებში განხილულია ზოგადად „ერთობლივი საწარმო" ,როგორც სამართლებრივი ფორმა და მისი მნიშვნელობა. ასევე „ერთობლივი საწარმოს" დეფინიცია და მისი ისტორიული განვითარება. ამავე თავის ქვეთავებში მიმოხილულია „ერთობლივი საწარმოს" ფორმები, სახეები და მისი გამოვლინებები. ამ თავის მიზანია ზოგადი წარმოდგენის შექმნა „ერთობლივი საწარმოს" არსზე და მის სამართლებრივ ფორმაზე.

მესამე თავი და მისი ქვეთავები ეხება „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკას, რომლის გასააზრებლად განხილულია „ერთობლივი საწარმოს" შედარება როგორც კორპორაციასთან/მეწარმე სუბიექტებთან, ისე ამხანაგობასთან. შედარების უკეთ განსახორციელებლად, განხიულია თითოეული მათგანის სამართლებრივი ბუნება. აღნიშნული თავის მიზანია პრობლემის დასმა- წარმოადგენს თუ არა „ერთობლივი საწარმო" დამოუკიდებელ სამართლის ინსტიტუტს და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების წარმოჩენა.

მეოთხე თავში განხილულია ქართული კანონმდებლობის მიდგომა „ერთობლივი საწარმოსთან" მიმართებაში. ამ მიზნით განხილულია ქართულ სამართალში არსებული „ერთობლივი საწარმოს" მსგავსი სამართლებრივი ფორმები, როგორებიცაა ამხანაგობა და სინდიცირება. ასევე აღნიშნული თავი მიმოიხილავს ადრე არსებულ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის რედაქციას, რომელიც იცნობდა ისეთ სამართლებრივ ფორმას როგორიცაა „სამეწარმეო ამხანაგობა". აღნიშნული თავის მიზანია, გაანალიზდეს არსებობს თუ არა „ერთობლივი საწარმოს" ალტერნატივა ქართულ კანონმდებლობაში და ქართული კანონმდებლობა საჭიროებს თუ არა გარკვეულ ცვლილებებს ამ მხრივ.

მეხუთე თავში მოცემულია წინამდებარე ნაშრომის დასკვნა, რომელშიც განხილულია წარმოადგენს თუ არა „ერთობლივი საწარმო" დამოუკიდებელ სამართლის ინსტიტუტს და რამდენად არსებობს მისი საქართველოს

კანონმდებლობაში დამკვიდრების აუცილებლობა. შესაბამისად, შეჯამებულია ნაშრომი და მოცემულია ავტორის მიდგომები.

II. „ერთობლივი საწარმო" - საქმიანობის ფორმა

„ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს კომერციული ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ბიზნეს გაერთიანებას, რომელსაც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა საკითხი მისი როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტის აღიარებასთან და ცნობასთან დაკავშირებით თანამედროვე პერიოდის ნაწილია და მასზე დისკუსია დღესდღეობით მიმდინარეობს.[9] „ერთობლივი საწარმოს" ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. აღნიშული საქმიანობის ფორმით ორი ან მეტი საწარმო აერთიანებენ და ინაწილებენ, როგორც პასუხისმგებლობას, ისე ფინანსურ რისკებს.[10] დღეს „ერთობლივი საწარმოს" საქმიანობის ფორმამ მრავა ლი სფერო მოიცვა და ძალზე პოპულაური გახდა როგორც მრავალი ქვეყნის შიდასამართლებრივ, ისე საერთაშორსოსამართლებრივ სივრცეში.[11] რამდენიმე საწარმოს გაერთიანება და საერთო მენეჯმენტისა და კონტროლის ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია, თუმცა მრავალი დადებითი თვისების გამო, საწარმოები მზად არიან შეეჭიდონ მსგავს სირთულეებს. „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბების ორი მთავარი მიზეზი შეიძლება გამოიკვეთოს: 1)როდესაც უცხოურ საწარმოს რომელიმე ქვეყანაში სურს ინვესტიციის განხორციელება, მისთვის ბევრად უფრო მარტივია საქმიანობა განახორციელოს ადგილობრივ საწარმოსთან ერთად, რადგან მისთვის მარტივი იქნება აღნიშნული ქვეყნის შიდა სამართლებრივ სივრცეში ადგილის დამკვიდრება 2)საწარმოებს ცალ-ცალკე არ აქვთ საკმარისი რესურსი საქმიანობის წამოსაწყებად, გაერთიანების შემთხვევაში კი ერთიანი ძალებით ბევრად უფრო მარტივია მათთვის სასურველი საქმიანობის დაწყება.[12] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ერთობლიივ საწარმო" სწრაფად და მუდმივად განვითარებადი ბიზნეს ორგანიზაციების ფორმაა, მითუმეტეს საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც ტრანსნაციონალური ბიზნეს-ურთიერთობები მეტად აქტუალურია.[13] ასეთი

---

[9] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 California Law Review 860 (1950), 861. ონლაინ იხ. https://scholarship.law.berkeley.edu/californialawreview/vol38/iss5/4/

[10] Hill Th., The International buy-sell (import-export) transaction, An international joint venture, 512.

[11] Salbu S. R., Paternal coordination and conflict in international joint ventures: the use of conflict in international Joint Ventures: the use of contract to address legal, linguist, and cultural concerns, 43 Case Western Reserve Law Review 1221 (1993), 1223. ონლაინ იხ. https://scholarlycommons.law.case.edu/caselrev/vol43/iss4/40/

[12] Hill Th., The International buy-sell (import-export) transaction, An international joint venture, 512.

[13] Salbu S. R., Paternal coordination and conflict in international joint ventures: the use of conflict in international Joint Ventures: the use of contract to address legal, linguist, and cultural concerns, 43 Case Western Reserve Law Review 1221 (1993), 1223, 1224. ონლაინ იხ. https://scholarlycommons.law.case.edu/caselrev/vol43/iss4/40/

ბიზნეს ორგანიზაციების აქტუალურობას ადასტურებს, ისეთი კორპორაციების ჩამოყალიბება, როგორიცაა ერთობლივი ავტომობილების წარმოება ჯენერალ მოტორსისა და ტოიოტას მიერ, ასევე მოტოროლასა და ტოშიბას ერთობლივი საქმიანობა და ა.შ.[14] დღესდღეობით, „ერთობლივი საწარმოს" უმრავლესი გამოვლინება აშშ-ში გვხვდება, თუმცა წლების წინ ამერიკული სამართალი უფრო მეტად სტანდარტულ კორპორაციებს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან კომპანიები ცდილოდნენ სწორედ თავიანთთვის დაეტოვებინათ მნიშვნელოვანი ბენეფიტები/მოგება და არ გაენაწილებინათ ის სხვა კომპანიებისთვის. თუმცა, ამერიკული კომერციული/ეკონომიკური ბაზარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ერთობლივი საწარმოს მეშვეობითაა შესაძლებელი ბევრად მეტი მოგებისა და წარმატების მიღწვა. პირველ რიგში, მაშინ, როდესაც მრავალი ქვეყანა (მათ შორის აშშ-ც) ბევრ აკრძალვას უწესებს უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც ბიზნესის წამოწყება სწორედ ამ ქვეყანაში სურთ. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მარტივი გამოსავალი სწორედ „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბებაა, ადგილობრივ საწარმოსთან თანამშრომლობით, იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. „მასპინძელი" ქვეყნის საწარმო ადგილობრივი კავშირების გამოყენებით უცხოური საწარმოს ქვეყნის შიდა ბიზნეს სივრცეში დამკვიდრებას ხელს შეუწყობს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს ბაზარზე დაინტერესება იზრდება, მრავალი ევროპული და იაპონური კომპანიები ინტერესდებიან, ითანამშრომლონ ამერკულ ორგანიზაციებთან. უმთავრეს უპირატესობას კი წარმოადგენს ის, რომ სწორედ „ერთობლივი საწარმო" აძლევს კომპანიებს საშუალებას ჩაერთონ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რაც გლობალიზაციის პირობებში უმნიშვნელოვანესი ბენეფიტია.[15] შესაბამისად, მოცემულ რეალობაში „ერთობლივი საწარმო" არამარტო აქტუალურია, არამედ უფრო და უფრო ვითარდება და სხვადასხვა განსხვავებული და სასიკეთო მახასიათებლით გვევლინება.

1.1.„ერთობლივი საწარმოს" – ისტორიული განვითარება და მისი დეფინიცია

„ერთობლივი საწარმო" როგორც ბიზნეს ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმა სათავეს საკმაოდ ადრეული ხანებიდან იღებს, თუმცა მისი განვითარება და დახვეწა სწორედ დღეს მიმდინარეობს. ისეთი ძველი სახელმწიფოები როგორებიცაა ეგვიპტე, ბაბილონი და სხვა ხშირად

[14] Fong I. K., Walker J. K., International high-technology joint ventures: an antitrust and antidumping analysis, 7 International Tax and Business Lawyer 57 (1989), 57. ონლაინ იხ. https://scholarship.law.berkeley.edu/bjil/vol7/iss1/2/

[15] Nelson L., International Joint Ventures, 2 SPG International Legal Perspectives 75, Spring, 1990, 75.

იყენებდნენ „ერთობლივ საწარმოებს" წარმოების განსახორციელებლად, თუმცა როგორც სამართლებრივი ფორმა კონცეპტუალურად არ იყო გაანალიზებული და განვითარებული. ამხანაგობა და „ერთობლივი საწარმო" ხშირად იქმნებოდა, თუმცა ამ ორს შორის ზღვარი არ იყო გავლებული.[16] ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა „ერთობლივი საწარმოს" სამართლებრივ ფორმას, რომლის უპირველეს გამოვლინებას წარმოადგენდა რამდენიმე ძმის მიერ ერთობლივად სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა და განხრციელება.[17] რომში ამხანაგობა იქმნებოდა მცირე კაპიტალის გაერთიანების შემთხვევაში, ხოლო მაშინ როდესაც დიდი მოცულობის კაპიტალის გაერთიანება ხდებოდა იქმნებოდა სწორედ „ერთობლივი საწარმო". მიუხედავად იმისა, რომ რომაული სამართალისათვის არ იყო დამახასიათებელი სახელშეკრულებო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტის არსებობა, მხარეთა შორის მრავალი ტიპის ხელშეკრულება იდებოდა, მათ შორის ე.წ. კონსენსუალური ხელშეკრულება, რომლითაც ფუძნდებოდა ეკონომიკური ორგანიზაცია (societas), რომელიც წარმოადგენდა დღევანდელი „ერთობლივი საწარმოს" ანალოგს. ასეთი ტიპის საზოგადოებები არსებობდა კორპორაციული დაწესებულებების, ე.წ. „universitas", გვერდით, რომელიც წარმოადგენდა კორპორაციას და ჰქონდა იურიდული (ე.წ. იდეალური) პირის სტატუსი.[18] იმდროინდელი საზოგადოების (societas) მიზანი იყო გაერთიანება საერთო მოგების მიღებისა და დანახარჯების გადანაწილების მიზნით.[19] ის, რომ ერთობლივი საწარმო უფრო დიდი რაოდენობის კაპიტალის გაერთიანებას გულისხმობდა მიანიშნებს, რომ, თითქოს, სწორედ ის იყო დღევანდელი საწარმოებისა და ბიზნეს ორგანიზაციების წინამორბედი, იმდროინდელი „ერთობლივი საწარმო" იქმნებოდა ხანმოკლე ვადით და მხოლოდ კონკრეტული ტრანზაქციის განსახორციელებლად.[20] დღეს, „ერთობლივი საწარმო" სრულიად განსხვავებულ სპეციფიკურ ფორმად გვევლინება, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში.

---

[16] Nichols H. W., Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459., 426. ონლაინ იხ. www.jstor.org/stable/1069340

[17] ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 18.

[18] იქვე, 19.

[19] Weissburg B. A., Reviewing the law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 S. Southern California Law Review 487 (1989 – 1990), the University of Southern California, „", January, 1990., 504. content downloaded/printed from HeinOnline, 16:42:00, 2019.

[20] Nichols H. W., Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459., 427. ონლაინ იხ. www.jstor.org/stable/1069340

რომაული სამართლის შემდეგ, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნას „ეთობლივი საწარმოს" როგორც სამართლებრივი ფორმის დამკვიდრება ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახში. აღნიშნული ფორმის გამოჩენას ინგლისის სამართალებრივ სივრცეში მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. ინგლისის სამარათალი „ერთობლივ საწარმოს" არ ასხვავებს ამხანაგობისგან და ამიტომ მისი როგორც ცალკე სამართლებრივი ფორმის დამკვიდრება საკმაოდ რთული აღმოჩნდა და დღესაც სადავოა, შესაბამისად ინგლისური სასამართლო დღესაც ჩვეულებრივ ამხანაგობისთვის დამახასიათებელი რეგულაციების შესაბამისად განიხილავს „ერთობლივ საწარმოს" და შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგობის სპეციალურ ფორმად ასახელებს.[21]

აშშ-ს სამართალში, „ერთობლივი საწარმო" ინგლისის სამართლის გავლენით ჩამოყალიბდა და ბიზნეს ურთიერთობებში მრავალი წლის განმავლობაში თითქმის არ გამოიყენებოდა. აშშ-ს სამართლებრივ სივრცეში ერთობლივი საწარმო მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. იმ დროისათვის „ერთობლივი საწარმო" აღიქმებოდა როგორც ორი ან მეტი პირის გაერთიანება მოგების მისაღებად და შესაბამისად, საერთო კონკრეტული ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად.[22] „ერთობლივი საწარმოს" კონცეფცია როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ფორმა ან/და გაერთიანება სწორედ აშშ-ში ჩამოყალბდა 1980 წლიდან.[23] უახლოეს ხანებში აშშ-ში პირები, ამხანაგობები თუ კორპორაციები ერთიანდებიან იმ მიზნით, რათა გააერთიანონ კაპიტალი და განახორციელონ მასშტაბური ფინასური თუ ინდუსტრიული პროექტები. თუმცა ყოველი ასეთი მცდელობა დღეის მდგომარეობითაც არ აღიქმება „ერთობლივ საწარმოდ" და აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენენ ისინი რეალურად „ერთობლივ საწარმოს" თუ ამხანაგობას, ან რაიმე სხვა სახის გაერთიანებას.[24] აშშ-ში მე-20 საუკუნიდან მოყოლებული მოსამართლეები „ერთობლივ საწარმოს" აღიქვამენ როგორც ამხანაგობას და სწორედ ამხანაგობის შესახებ კანონის ნორმებს იყენებენ „ერთობლივი საწარმოს" ირგვლივ წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. თუმცა არსებობენ საწინააღმდეგო აზრის მქონე მოსამართლეები, რომლებიც უთითებენ, რომ ამხანაგობისგან

---

[21] Weissburg B. A., Reviewing the law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 S. Southern California Law Review 487 (1989 – 1990), the University of Southern California, „", January, 1990., 508.

[22] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949), 117. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[23] Nichols H. W., Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459., 428. ონლაინ იხ. www.jstor.org/stable/1069340

[24] იქვე, 429.

განსხვავებით ეს საწარმოები იქმნებიან ერთი კონკრეტული ტრანზაქციისა თუ რაიმე სხვა მიზნის განსახორციელებლად, შესაბამისად ასეთი საწარმოები ცდება ამხანაგობის რეგულირების სფეროს. ასეთივე მიდგომაა აშშ-ს სამართლის ლიტერატურაშიც, სადაც ძირითად განსახილველ საკითხად დღესაც გვევლინება განსხვავება „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის. მიუხედავად ასეთი დისკუსიებისა, მიიჩნევა, რომ „ერთობლივი საწარმოს", როგორც დამოუკიდებელი და განსხვავებული სამართალებრივი ურთიერთობების სუბიექტის სამშობლო არის სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც დღესაც მიმდინარეობს ასეთი საწარმოების კვლევა და განვითარება.[25]

„ერთობლივი საწარმოს" საყოველთოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია მისი ამერიკული სახელწოდება - „Joint Venture" (JV). კორპორაციები კი რომლებიც აღნიშნული ფორმით გამოდიან ბიზნეს ურთიერთობებში სახელწოდებაში იყენებენ აბრევიატურას JV, ანუ „ერთობლივი საწარმო". მიუხედავად იმისა, რომ „ერთობლივი საწარმოს" კოდიფიცირებული დეფინიცია არ არსებობს, სასამართლო პრაქტიკაში მისი განმარტების მრავალი მცდელობა გვხვდება. ერთ-ერთ ბოლო დროინდელ სასამართლო საქმეზე ნიუ-იორკის სასამართლომ „ერთობლივი საწარმო" განმარტა, შემდეგნაირად : „„ერთობლივი საწარმო" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა/ამხანაგობა".[26] ერთ-ერთ საქმეზე კი სასამართლომ აღნიშნა, რომ „ერთობლივი საწარმო" ეს არის უბრალოდ კომერციული საქმიანობა რამდენიმე ადამიანის ერთობლივი მონაწილეობით.[27] ნიუ-ჯერსის სასამართლომ „ერთობლივი საწარმო" დაახასიათა, როგორც ერთობლივი საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც მხარეები არ ურთიერთობენ მკაცრი და კორპორაციისათვის დამახასიათებელი პარტნიორობის მიხედვით, თუმცა ისინი კეთილსინდისიერად მოქმედებენ საერთო მოგებისა და საერთო მიზნების მისაღწევად.[28] ნიუ-იორკის სასამართლომ კი ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „ერთობლივი საწარმო" არის ამხანაგობის ბუნების მქონე ერთობლივი

[25] Flannigan R. (1) The Legal Status of the Joint Venture, Alberta Law Review, 46(3), 713, 715. ონლაინ იხ. https://www.albertalawreview.com/index.php/ALR/article/view/223

[26] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949), 117. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[27] Joring v. Harriss, United States Court of Appeals, Second Circuit 292 Fed, 974, 978, (2d Cir, 1923).

[28] Jackson v Hooper, 76 N.J. E.q. 185, 74 Atl. 130 (ch. 1905), აღნიშნულ საქმეში მთავარ პრობლემას წარმოადგენდა თუ რა ფორმით გაერთიანდნენ მხარეები საქმის ერთობლივად გასაძღლად და უნდა გაყოფილიყო თუ არა მათ შორის საწარმოს ქონება თანაბრად.

საქმიანობა საერთო მოგების მიღების მიზნით.[29] რაც შეეხება კანონებსა და ლიტერატურას, მათში ასევე არ არის ერთიანი მიდგომა „ერთობლივი საწარმოს" დეფინიციასთან დაკავშირებით. 1887 წლის სავაჭრო კოდექსის შესაბამისად „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენდა თანამონაწილეობის გაერთიანებას და „ერთობლივი საწარმოს" ხელშეკრულება, სწორედ ამ კოდექსით რეგულირდებოდა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხელშეკრულება იდებოდა მოგებისა და ზარალის გადანაწილების მიზნით.[30] „ერთობლივი საწარმოს" განმარტება და სპეციფიკა ძალზე მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის. აღნიშნულ სფეროში დისკუსიათა უმრავლესობა ცდილობს გამოარკვიოს რას წარმოადგენს აღნიშნული სამართლებრივი ფორმა, არის ეს კორპორაციათა გაერთიანება თუ კარტელური გარიგება.[31] ანტიმონოპოლიური განყოფილების სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო ოპერაციების შესახებ „ერთობლივ საწარმოს" აღწერს, როგორც: „საწარმოებს შორის ნებისმიერი ერთობლივი ძალისხმევა, მოკლევადიანი შერწყმა, წარმოების, დისტრიბუციის ან/და მომსახურებისათვის პროდუქტების წარმოების განსახორციელებლად."[32]

„ერთობლივი საწარმო" პრაქტიკაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება, მაგალითად: „ერთობლივი საქმიანობა", „ერთობლივი წამოწყება", „ერთობლივი შეთანხმება", „სინდიკატი", „კვაზი-ამხანაგობა"[33] და სხვა. ზოგადი განმარტებით, მიღებულია, რომ „ერთობლივი საწარმო" გულისხმობს ორი ან მეტი პირის გაერთიანებას მოგების მიღების მიზნით, რომელიც არ შეიცავს ამხანაგობისათვის და კორპორაციისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.[34] ცალსახაა, რომ ეს არის ძალზე ზოგადი განმარტება და არანაირ საზღვრებს არ უწესებს „ერთობლივ საწამოს" , ამიტომ სასამართლოებს უწევთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა ნების გაანალიზების შესაბამისად

[29] Nichols H. W., Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459., 432. ონლაინ იხ. www.jstor.org/stable/1069340

[30] Zaharia B., Joint Venture, 2 Journal of Law and Public Administration 146 (2016), Queen Mary University of London, 146. Conten downloaded/printed from HeinOnline, Thu Mar 7, 05:49:17, 2019.

[31] Glynn F. E. Jr., International Joint Ventures: An Enforcement Perspective, 58 Atnitrust Law Journal 703, 1989, American Bar Association, 703-704., ამასთან, კარტელური გარიგება გულისხმობს დამოუკიდებელ საწარმოებს შორის დადებულ შეთანხმებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება, ბაზარზე (ასევე ბაზარზე არსებულ არსებულ ფასებზე) კონტროლი და ბატონობა.

[32] იქვე, 705.

[33] Taubman J., What Constitutes a Joint Venture, 41 Cornell Law Reviwe 640 (1955-1956), 643. ონლაინ იხ. https://scholarship.law.cornell.edu/clr/vol41/iss4/4/

[34] Nichols H. W., Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459., 430. ონლაინ იხ. www.jstor.org/stable/1069340

მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს ესა თუ ის ურთიერთობა „ერთობლივ საწარმოდ". საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში მრავალი სავაჭრო ტრანზაქცია და გაერთიანება სასამართლომ ამხანაგობად მიიჩნია, რადგან ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული „ერთობლივი საწარმოს", როგორც სამართლებრივი ფორმის არსებობა. დღეს ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა და „ერთობლივი საწარმო" გვევლინება სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებულ საქმიანობის საკმაოდ კომპლექსურ სამართლებრივ ფორმად, რომელიც კონცეპტუალურად ეკუთვნის როგორც სახელშეკრულებო სამართლის, ისე ამხანაგობისა და საკორპორაციო სამართლის რეგულირების სფეროს.[35]

1.2. „ერთობლივი საწარმოს" ფორმები

„ერთობლივი საწარმო შესაძლოა სხვადასხვა სახითა და ფორმით მოგვევლინოს სამართლებრივ ურთიერთობებში. როდესაც მხარეები გადაწყვეტენ, რომ საერთო მოგების მისაღებად ერთად უნდა იმოქმედონ, ამის შემდეგ იწყებენ ფიქრს, თუ როგორი სტრუქტურული ფორმით შექმნან „ერთობლივი საწარმო". უპირველესად კი ამის გადასაწყვეტად ისინი ითვალისწინებენ ორ მთავარ კრიტერიუმს: 1) რა მხრივ და რა ფორმით იქნებიან ისინი ჩართულნი საწარმოს საქმიანობაში და 2) რამდენად გრძელვადიან მიზანს ემსახურება მათი ერთობლივი საქმიანობა. ამის მიხედვით კი იქმნება ე.წ. „კაპიტალური ერთობლივი საწარმო" ან „არაკაპიტალური ერთობლივი საწარმო".[36] ე.წ. „არაკაპიტალური ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობას მხარეებს შორის, რომელიც ძირითადად მოკლევადიან საქმიანობას გულისხმობს, შესაბამისად ასეთი ერთობლივი საქმიანობისას მხარეები ცალკე დამოუკიდებელ საწარმოს არ ქმნიან და შიდა ურთიერთობებს მარტოდენ ხელშეკრულებით არეგულირებენ. ასეთი „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბება არ ემსახურება რაიმე სახის დიად მიზანს და მარტოდენ ერთჯერადი ტრანზაქციის განხორციელებით შემოიფარგლება, მაგალითად როგორიცაა პროდუქტის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ექსპორტირება.[37] რაც შეეხება ე.წ. „კაპიტალურ ერთობლივ საწარმოს" ამ შემთხვევაში მხარეები ქმნიან ახალ დამოუკიდებელ ბიზნეს საწარმოს - ამხანაგობის ან კორპორაციის/მეწარმე სუბიექტის ფორმით, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის წესების დაცვით.

---

[35] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949), 116. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/)

[36] Blageff V. L., Corporate Counsel's Primer Series (194-31), Corporate Counsel's Primer on Transnational Joint Ventures, 3.

[37] იქვე, 3.

ასეთ საწარმოებში თითოეული მხარის ვალდებულება განისაზღვრება ფულადი ან ნებისმიერი არაფულადი შენატანით, მიზანს კი წარმოადგენს დამოუკიდებელი ბიზნეს საქმიანობის განხორციელება.[38] ზემოაღნიშნული კრიტერიუმის განზოგადებით გამოიყოფა „ერთობლივი საწარმოს" ორი უმთავრესი ფორმა: კორპორაციული „ერთობლივი საწარმო" და არაკორპორაციული „ერთობლივი საწარმო". არაკორპორაციული „ერთობლივი საწარმო" გულისხმობს ისეთ საწარმოს, რომელიც არ წარმოადგენს რეგისტრირებულ კორპორაციას და მხოლოდ მხარეთა შორის დადებული შეთანხმების/ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას. ასეთ საწარმოში თავისი არსით მოიაზრება ამხანაგობა, რომელიც სწორედ ასეთი ფორმით ყალიბდება მხარეების მიერ. რაც შეეხება, კორპორაციულ „ერთობლივ საწარმოს", ეს ისეთი საწარმოა, რომელიც რეგისტრირდება დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტად. ასეთი საწარმო თავის მხრივ შეიძლება იყოს ორი სახის : დახურული ტიპის კორპორაცია და დახურული სააქციო კორპორაცია.[39] დახურული ტიპის კორპორაცია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის პარტნიორთა ინტერესები არ არის დამოკიდებული და მიმართული ბაზარზე დამკვიდრებასთან.[40] რაც შეეხება დახურულ სააქციო კორპორაციას ეს არის კანონით გათვალისწინებული საზოგადოება, რომლის დაარსება, მართვა და ლიკვიდაცია სპეციალური რეგულაციების შესაბამისად ხდება.[41] ამასთან, კორპორაციული "ერთობლივი საწარმოს" დაფუძნება შესაძლებელია სხვა სამართლებრივი ფორმებითაც. „ერთობლივი საწარმოს" დაფუძნებისას მხარეები თავად წყვეტენ რა ფორმით სურთ განახორციელონ საქმიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პრაქტიკაში ძირითადად გვხვდება „ერთობლივი საწარმოს" სამი ძირითადი ფორმა, ესენია : „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო", „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა" და „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმო". ფორმების გნსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ეს განაპირობებს თუ როგორი მმართველობითი ორგანო უნდა შეიქმნას „ერთობლივ საწარმოში". ჩვეულებრივ, „საკორპორციო ერთობლივ საწარმოს" , ისევე როგორც ეს საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტებისთვისაა დამახასიათებელი

[38] იქვე, 2.

[39] Ayre Randolph J., Anatomy of a Joint Venture, 1 Preventive L. Rep. 1 (1982), Content downloaded/printed from HeinOnline Sat May 4 03:56:40 2019, 1.

[40] Douglas K. Moll, Ragazzo R., Closely Held Business Organizations: Cases, Materials, and Problems (Introduction), Casebook Series, West Publishing, 2006, 1.

[41] Ayre Randolph J., Anatomy of a Joint Venture, 1 Preventive L. Rep. 1 (1982), Content downloaded/printed from HeinOnline Sat May 4 03:56:40 2019, 2.

ჰყავს დირექტორები, პარტნიორები/აქციონერები, შეზღუდულ ამხანაგობას ჰყავს გენერალური პარტნიორები და დირექტორები, ხოლო ჩვულებრივ „სახელშეკრულებო ერთობლივ საწარმოსა" და „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობას" ჰყავს სპეციალური მმართველობითი კომიტეტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს „ერთობლივი საწარმოს" მიერ განსახრციელებელი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.[42]

1.2.1. „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო"

საკორპორაციო ერთობლივი საწარმო იქმნება მაშინ, როდესაც ორი ან მეტი კორპორაცია/მეწარმე სუბიექტი გადაწყვეტს საქმიანობის ერთად განხორციელებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. აღნიშნული წარმოადგენს სპეციფიკურ ფორმას, რამეთუ რთული წარმოსადგენია კონკურენტი ორგანიზაციების გაერთიანება და მათი ერთობლივი საქმიანობა. თუმცა, „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაშიც მოქმედებს საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, კერძოდ ერთგულების ვალდებულება, რომელიც აკისრიათ პარტნიორებსა და დირექტორებს.[43] „საკორპორაციო ერთობლივი საწარმოები" ძირითადად ექცევიან საკორპორაციო სამართლის რეგულირების სფეროში და ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. როგორც ტერმინიდანაც იკითხება, „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო" გულისხმობს საქმიანობის ისეთ ფორმას, როდესაც მხარეები არეგისტრირებენ იურიდიულ პირს, რომელშიც ისინი წარმოადგენენ პარტნიორებს.[44] მხარეებს შეაქვთ შენატანები და ფლობენ შესაბამის წილებს. ასეთი „ერთბლივი საწარმოები" წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს, რომელთა როგორც შიდა, ისე მესამე პირებთან ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი მეწარმე სუბიექტების მარეგულირებელი კანონმდებლობითა და წესდებით. ასეთ საწარმოებში ჩვეულებრივ მოქმედებს ყველა ის ვალდებულება და უფლება რაც აკისრიათ მეწარმე სუბიექტებს, იქნება ეს შენატანის განხორციელება, კონტროლის უფლება, დირექტორების ფიდუციური მოვალეობები, პარტნიორთა კრებების მოწვევისა და ხმის მიცემის წესები და სხვა.[45] მიუხედავად, თითოეული „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკური მახასიათებლებისა, რომელზეც ქვემოთ არის მოცემული,

---

[42] Grant B., Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012, 13.
[43] Sanga S., A Theory of Corporate Joint Ventures, 106 California Law Review 1437, October, 2018, 3.
[44] Grant B., Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012, 5.
[45] იქვე, 5.

„ერთობლივი საწარმო" განიხილება როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის, როგორც ჩვეულებრივი დამოუკიდებელი საწარმო, რომელსაც გააჩნია უფლებები და კისრულობს ვალდებულებებს.[46] „კორპორაციული ერთობლივი საწარმოსთვის" დამახასიათებელია სტანდარტიზირებული კორპორაციული მართვის სისტემა, შესაბამისად ასეთი საწარმოების შიდა ურთიერთობები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად სადაც ის არის რეგისტრირებული.[47]

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აშშ-ს სამართალი კრძალავდა კორპორაციების ნებისმიერი ფორმით გაერთიანებას და ერთობლივ საქმიანობას. აღნიშნული აკრძალვის მთავარი მიზანი იყო ანგლო-ამერიკული სამართლისათვის დამახასიათებელი იურიდიული პირების სპეციალური უფებაუნარიანობის (Ultra Vires) დოქტრინა და საფრთხე რომ არ აღრეულიყო ერთმანეთში საკორპორაციო სამართალისა და ამხანაგობის შესახებ სამართლის ნორმები.[48] მოგვიანებით კი სასამართლოებმა აღიარეს „ერთობლივი საწარმოს" როგორც გამონაკლისის არსებობა ამ უკანასკლელის სახელშეკრულებო ბუნებაზე დაყრდნობით. მე-20 საუკუნის შუა ხანებში კი იმდენად იმრავლა „საკორპორაციო ერთობლივმა საწარმოებმა", რომ ზემოაღნიშნული კორპორაციების გაერთიანების აკრძალვა გაუქმდა და მას შემდეგ ამ მხრივ კორპორაციებს თავისუფლება მიენიჭათ.[49] მიზეზი თუ რატომ ერთიანდებიან მეწარმე სუბიექტები და რატომ აარსებენ დამოუკიდებელ საწარმოს შესაძლოა მრავალი იყოს, თუმცა შესაძლოა გამოვყოთ ორი უმთავრესი შემთხვევა: 1) ერთსა და იმავე სფეროში მოქმედი საწარმოები მოიზიდავენ ერთმანეთის ინვესტიციას, რათა შემცირდეს თითოეული საწარმოს დანახარჯები და ერთობლივად მარტივად გადალახონ შესაბამის სფეროში არსებული ბარიერები და 2) შესაძლოა საწარმოებს გააჩნდეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცოდნა და შესაძლებლობები, რომელთა გაერთიანებაც მათ უფრო დიდ წარმატებას მოუტანს.[50] მაშინ, როცა ასეთი ტიპის მეწარმე სუბიექტებისათვის გარკვეულ რისკებს წარმოადგენს ახალი საწარმოს ჩამოყალიბება და სხვადასხვა ხანგრძლივი საქმიანობის განხორციელება,

[46] Grant B., Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012, 19.
[47] Pentsov A. D., Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018, 395.
[48] Sanga S., A Theory of Corporate Joint Ventures, 106 California Law Review 1437, October, 2018, 5.
[49] იქვე, 6.
[50] Harvard Law Review, Joint Venture Corporations: Drafting the Corporate Papers, vol. 78, no. 2, 1964, pp. 393–425., 393.

ისინი ხშირად ირჩევენ საკორპორაციო და არა სახელშეკრულებო და ამხანაგობის "ერთობლივი საწარმოს" ფორმებს, რომლებიც ძირითადად ერთი კონკრეტული ტრანზაქციისათვის და ძირითადად მოკლე ვადით იქმნებიან. შესაბამისად, ერთობლივი საწარმო პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმითა თუ სხვა მეწარმე სუბიექტის ფორმით.[51]

აღნიშნული ფორმით საწარმოს ჩამოყალიბების უმთავრეს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს პარტნიორის/პარტნიორების სწორად შერჩევა, რამეთუ მომავალში შესაძლოა მრავალი უთანხმოება წარმოიშვას მხარეებს შორის ახალ საწარმოში წილების, კონტროლის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა თუ შენატანების გადანაწილების საკითხებთან მიმართებაში, რაც სამომავლოდ არცთუ მარტივი მოსაგვარებელი იქნება, რამეთუ ახალ რეგისტრირებულ საწარმოსთან დაკავშირებით წარმოიშვება დავა.[52] აღნიშნულის გათვალისწინებით, „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო" სწორედ საკორპორაციო სამართლის რეგულირების სფეროში ექცევა, თუმცა ხშირად სასამართლოები ითვალისწინებენ „ერთობლივი საწარმოსათვის" დამახასიათებელ სპეციფიკურობას და შესაბამისად ამხანაგობის გარკვეულ მარეგულირებელ ნორმებსაც ავრცელებენ მასზე. ასეთ შემთხვევაში, „ერთობლივ საწარმოს" ჩვეულებრივ ჰყავს დირექტრთა საბჭო, პარტნიორთა კრება, რომელთა უფლებამოსილებანიც, მისი სამართლებრივი ფორმის სპეციფიკის გათვალისწინებით, იქნება ეს ვეტოს უფლებისა თუ შეზღუდული წარმომადგენლობის საკითხები რეგულირდება „საკორპორაციო ერთობლივი საწარმოს" წესდებით/აქტით/პარტნიორთა შეთანხმებით.[53]

აღნიშნული ფორმის საწარმოზე საუბრისას უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მხარეთა, ე.წ. დედა კომპანიების, ერთგულების ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს „ერთობლივი საწარმოს" შექმნისა და მით უფრო დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში, რათა თითოეული პარტნიორი დაცულ იყოს მეორე მხარის არკეთილსინდისიერი ქმედებით მიყენებული ზიანისგან.[54] როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბევრი „ერთობლივი საწარმო" პრაქტიკაში გვხვდება როგორც დახურული ტიპის კორპორაცია, შესაბამისად ასეთი საწარმოები არ

[51] იქვე, 394.

[52] იქვე, 395.

[53] იქვე, 396.

[54] Harvard Law Review, Joint Venture Corporations: Drafting the Corporate Papers, vol. 78, no. 2, 1964, pp. 393–425., 405.

გამოდიან საფონდო ბირჟაზე, რაც შესაბამისად პარტნიორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების ლიკვიდურობას ართულებს და შესაბამისად წარმოიშობა მრავალი პრობლემა მხარეებს შორის.[55] თუმცა „ერთობლივი საწარმოს" ეს ფორმა არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით დახურულ საზოგადოებას, სადაც სტანდარტულად მოქმედებს უმრავლესობის პრინციპი. „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკის გათვალისწინებით უმრავლესობის პრინციპი ხელშეკრულებაში მხარეების მიერ შეცვლილია და სწორედ მხარეები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ადგენენ მათთვის მისაღებ წესებს. შესაბამისად, მართალია ხშირად გვხვდება პრაქტიკაში დახურული ტიპის „ერთობლივი საწარმოს" კორპორაცია, თუმცა ეს სრულიად განსხვავდება საკორპორაციო სამართლის რეგულირების სფეროში მოქცეული დახურული ტიპის საზოგადოებებისგან, რომელიც არა მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად რეგულირდება, არამედ კანონის დანაწესების შესაბამისად სხვადასხვა პრინციპებს ემყარება.

1.2.2. „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა"

„ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა" ძალზე ემსგავსება ჩველებრივივ სამართლისათვის კარგად ნაცნობი ამხანაგობის სამართლებრივ ბუნებას. განსხვავებით „საკორპორაციო ერთობლივი საწარმოსაგან" ასეთი ტიპის საწარმო იქმნება მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე დაყრდნობით და იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად არ საჭიროებს რეგისტრაციას. მხარეებს შორის ურთიერთობა რეგულირდება მათ შორის დადებული შეთანხმებითა და ამხანაგობასთან დაკავშირებული შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.[56] „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის" სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს ე.წ. „შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა", ასეთი ტიპის საწარმოს შემთხვევში საწარმოს შიდა ურთერთობები რეგულირდება პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულების ან/და წესდების შესაბამისად, ხოლო საკითხები რომლებიც მხართა შეთანხმების მიღმა რჩება, ექცევა კანონით განმტკიცებული ამხანაგობის სამართლის ნორმების მოქმედების სფეროში.[57] ასეთი ტიპის

[55] Shishido, Zenichi, The Strategy Behind the Organizational Game: A Comparison between the Joint Venture Negotiation and the Venture Capital Investment Negotiation (July 9, 2015), 5. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2628614

[56] Grant B., Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012, 6.

[57] Schroth W. P., United States Joint Ventures: Transideological and Otherwise, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Issue suppl_1, Supplement 1990, Pages 213–249, 221.

საწარმოსათვის დამახასიათებელია სულ მცირე ერთი გენერალური პარტნიორი, ხოლო დანარჩენები შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორებს წარმოადგენენ. ასეთი ტიპის საწარმოებში ხშირად პარტნიორებს შორის იდება მრავალი საპარტნიორო შეთანხმებები/ხელშეკრულებები და მისი პარტნიორები იყოფიან გენერალურ პარტნიორებად და შეზღუდულ პარტნიორებად.[58] საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის თანახმად, „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის" შემთხვევაში შემოსავლები და დანახარჯები განიხილება პარტნიორებისგან დამოუკიდებლად და მათზე ნაწილდება თითოეულის ინტერესის გათვალისწინებით.[59]

1.2.3. „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმო"

პრაქტიკაში ყველაზე ხშირად როგორც აშშ-ს, ისე საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში გვხვდება ე.წ. „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმოები" ანუ ჩვეულებრივ კლასიკური გაგებით „ერთობლივი საწარმო". ტერმინიდანაც იკვეთება, რომ ასეთი ტიპის საწარმოში მხარეები შიდასამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ მარტოდენ ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებებით, ხოლო ერთობლივ საქმიანობას მხარეები ახორციელებენ დამოუკიდებლად, განცალკევებული სამართლებრივი სუბიექტის შემქნის გარეშე, ისე როგორც ეს ხდება ამხანაგობის ან კორპორაციის შემთხვევაში.[60] ასეთი ტიპის ერთობლივი საწარმოს ქონებას კი მხარეები განკარგავენ და ფლობენ, როგორც თანამესაკუთრეები.[61] ხელშეკრულება, რომელსაც მხარეები ასეთი საწარმოს შემქნისას დებენ წარმოადენს ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივ შეთანხმებას, რომლის საგანსაც წარმოადგენს მოგებისა და დანახარჯების გადანაწილება მხარეებს შორის.[62] „სახელშეკრულებო ერთობლივ საწარმოებს" ხშირად მოიხსენიებენ, როგორც კონსორციუმებს. აღნიშნული ტერმინი კიდევ უფრო კარგად გამოკვეთს ასეთი საწარმოს უმთავრეს მახასიათებელს - დამოუკიდებელი საწარმოს შექმნისა და რეგისტრაციის გარეშე, საერთო მიზნის

[58] Grant B., Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012, 7.
[59] იქვე, 7.
[60] იქვე, 7.
[61] იქვე, 8.
[62] Zaharia B., Joint Venture, 2 Journal of Law and Public Administration 146 (2016), Queen Mary University of London, 147. Conten downloaded/printed from HeinOnline, Thu Mar 7, 05:49:17, 2019.

განხორციელება.[63] „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბებისას მხარეები მოქმედებენ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში და მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში აპირებენ საქმიანობის განხორციელებას, შეუძლიათ თავად განსაზღვრონ შიდა ურთიერთობების დასარეგულირებლად გამოსაყენებელი სამართალი. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ ხშირად მხარეები ასეთი ფორმით გაერთიანებას სწორედ იმიტომ ანიჭებენ უპირატესობას, რომ ასეთი საწარმო თავისუფალია დაბეგვრისაგან.[64] თუმცა, მიუხედავად მრავალი დადებითი მხარისა, ასეთ საწარმოები ხშირად ქმნიან სირთულეებს მხარეებისათვის, მითუმეტეს თუ საქმე ეხება საერთაშორისო „ერთობლივ საწარმოს", რადგან ასეთ შემთხვევაში უცხოელი ინვესტრები/მხარეები დავის წარმოშობის შემთხვევაში ნაკლებ დაცულნი არიან ადგილობრივ საწარმოსთან შედარებით. სირთულე გამოიხატება იმაში, რომ ვინაიდან და რადგანაც „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმო" არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტს, შესაბამისად ის ვერ ექცევა ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების ფარგლებში და ეს შეთანხმებები ვერ გავრცელდება პარტნიორების ერთმანეთთან ურთიერთობაზე. აღნიშნული ცხადჰყო მრავალმა დავამ, მათ შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ცენტრის (ICSID) გადაწყვეტილებებმა.[65] შესაბამისად, უმთავრეს სირთულეს საერთაშორისო სივრცეში წარმოადგენს ის, რომ „სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმოები" ხშირ შემთხვევაში არ მოიაზრება ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ფარგლებში და ის არ ექცევა ინვესტორის დეფინიციაში, მისი არადამოუკიდებელი ხასიათის გამო. ამასთან, პრობლემაა ასევე ის, რომ საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის ფარგლებში ასეთი საწარმოები ვერ აღიქმებიან მოსარჩელეებად.[66] ეს საფრთხე დგას ასევე სასამართლოების შემთხვევაშიც. სწორედ ამიტომ, მხარეები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ „საკორპორაციო ერთობლივი საწარმოს" ან „ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის" ჩამოყალიბებას, რათა თავიდან აიცილონ რისკები.[67]

როგორც ვხედავთ აღნიშნული „ერთობლივი საწარმოს" ფორმის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული შეთანხმება ერთობლივი

---

[63] Pentsov A. D., Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018, 395

[64] Pentsov A. D., Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018, 396.

[65] იქვე, 396., 397.

[66] Pentsov A. D., Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018, 432.

[67] Pentsov A. D., Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018, 408.

საქმიანობის შესახებ. თავის მხრივ, ასეთი შეთანხმების უმთავრეს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს უპირველესყოვლისა კონტროლის გადანაწილება მხარეებს შორის, რაც დაკავშირებულია ასევე „ერთობლივი საწარმოს" ქონების გადანაწილებასთან - ფლობენ თუ არა მხარეები თანაბრად ქონებას და როგორ ახორციელებენ ისინი საწარმოს კონტროლს. მნიშვნელოვანი საკითხია პარტნიორების მიერ შენატანების განახორციელება და მათი საერთო მიზანი, რის ირგვლივაც ერთიანდებიან და ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას.[68] რაც შეეხება, „ერთობლივი საწარმოს" მესამე პირებთან ურთიერთობას, ცხადია, აღნიშნული საკითხი ვერ დარეგულირდება პარტნიორებს შორის დადებული შეთანხმებით/ხელშეკრულებით, თუმცა გარკვეულწილად აღნიშნულ ურთიერთობებსაც ეხება, რადგან სწორედ ამ შეთანხმებით რეგულირდება საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და საზღვრები, რომლებიც დაცულ უნდა იქნას მესამე პირებთან მიმართებაშიც. ამასთან, თითოეული პარტნიორი ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელნი არიან მესამე პირების წინაშე.[69] „ერთობლივი საწარმოს" შექმნის პირველ საფეხურს სათანადო პარტნიორის მოძიების შემდეგ წარმოადგენს Ex-ante სტანდარტული პირობების[70] შეთანხმება მხარეებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვანია საწარმოს მიერ საქმიანობის განსახორციელებლად.

„სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკის გასააზრებლად მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ტიპის ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის ამ დროს. ტიპოლოგიურად აშშ-ს სამართალი ერთმანეთისაგან ასხვავებს კლასიკურ, ნეოკლასიკურ, და რელატიურ კონტრაქტებს.[71] კლასიკური ხელშეკრულება წარმოადგენს სტაბილურ კონტრაქტს, რომელიც აქცენტს აკეთებს მარტოდენ კონკრეტული ტრანზაქციის განხორციელებაზე

[68] Thomas Hill, The International buy-sell (import-export) transaction, An international joint venture, p.513.

[69] Straube M., Joint-Venture Groups, Effects on the construction work, Queen Mary University of London, 13 Int'l Bus. Law. 131 (1985), p.131.

[70] Ex-ante პირობები, წარმოადგენს პირობებს რომლებიც მხარეებმა წინასწარ შესაძლოა განსაზღვრონ და რომლებზეც შეთანხმების გარეშეც შეუძლებელი იქნება „ერთობლივი საწარმოს" ხელშეკრულების დადება და თავად ასეთი საზოგადოების დაფუძნება. ასეთ პირობებში მოიაზრება ისეთი მნიშვნელოვანი პირობა, როგორიცაა წინასწარ იმ მექანიზმების განსაზღვრა და შეთანხმება, რომელიც უნდა ამოქმედდეს მხარეთა შორის ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, ასევე თავად საზოგადოების საქმიანობის ჩიხში შესვლისას. ამასთან, ასეთ პირობებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ძირითადი საკითხები, როგორებიცაა კონტროლის გადანაწილება, საქმიანობის ვადა, დანაკარგების გადანაწილება, მოგების გადანაწილება და სხვა.ვრცლად იხილეთ: McCahery A., J., Vermeulen Erik P.M., Corporate Governance and Innovation Venture Capital, Joint Ventures, and Family Businesses, ECGI Working Paper Series in Law, Working Paper N°.65/2006, March 2006, 38., 39.

[71] Salbu R. S., Joint Venture Contracts as Strategic Tools, 25 Indiana Law Review. 397 (1991), 399.

და არა თავად მხარეთა ნების მნიშვნელობაზე, დღესდღეისობით ასეთი კონტრაქტები ნაკლებად გამოიყენება და მხოლოდ თეორიულ დონეზე თუ განიხილება.[72] ნეოკლასიკური ხელშეკრულებები წარმოადგენს გარდამავალ რგოლს, კლასიკურსა და რელატიურ კონტრაქტებს შორის, რომელიც გულისხმობს გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას მხარეთა შორის, ამასთან ასეთი კონტრაქტები მეტად მოხერხებულია მხარეთათვის, რადგან მხარეებს შეუძლიათ შესათანხმებელი საკითხები ღიად დატოვონ, თუმცა გაითალისწინოს ასეთ საკითხებზე შეთანხმების პროცედურა.[73] რაც შეეხება რელატიურ კონტრაქტებს, განსხვავებით კლასიკურისაგან ის ეხება მხარეთა შორის გრძელვადიან ურთიერთობას და არა მარტოდენ ერთ კონკრეტულ ტრანქზაქციას და მთელ ბიზნეს ურთიერთობებს აწესრიგებს, აღნიშნული მახასიათებლით კი ორგანიზაციის შექმნას ემსგავსება.[74] როგორც ვხედავთ, „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკის გათვალისწინებით, „ერთობლივი საწარმოს" შექმნისას მხარეები სწორედ რელატიურ ხელშეკრულებებს დებენ, რომლითაც მხარეები გრძელვადიან ბიზნეს ურთიერთობას აყალიბებენ და გარკვეულ ორგანიზაციულ ბუნებას ატარებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს სხვა სახის ხელშეკრულებების დადების უფლება არ აქვთ, როგორც აღინიშნა რაიმე სახის იმპერატიული მოთხოვნა თუ როგორი ხელშეკრულება უნდა დადონ „ერთობლივი საწარმოს" შექმნის სურვილის მქონე ბიზნეს სუბიექტებმა არ არსებობს, თუმცა ასეთი ხელშეკრულებებიდან მხარეთა მიზანი აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს, რათა ეს ურთიერთობა სწორედ „ერთობლივ საწარმოდ" იქნას მიჩნეული და არა სხვა სახის ერთობლივ საქმიანობად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ფორმის „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბებისას პარტნიორებს შორის იდება შიდა ურთიერთობის მომწესრიგებელი შეთანხმება/შეთანხმებები, თუმცა თითიეული ფორმა განსაზღვრავს იმ სფეროთა ჩამონათვალს, რაზეც მხარეები თანხმდებიან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისად, დადებული შეთანხმება შეიძლება იყოს ჩვეულებრივ მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მუხლისგან შემდგარი, მაგალითად „საკორპორაციო ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში შესაძლოა დაიდოს შეთანხმება მხოლოდ დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნისა და ფუნქციების გადანაწილების შესახებ, დამატებითი მმართველობითი ორგანოს შექმნის შესახებ და სხვა. ხოლო, რაც შეეხება, „სახელშეკრულებო ერთობლივ საწარმოს" ამ შემთხვევაში სწორედ

[72] Salbu R. S., Joint Venture Contracts as Strategic Tools, 25 Indiana Law Review. 397 (1991), 400.
[73] იქვე, 403.
[74] იქვე, 401.

პარტნიორთა შეთანხმებით რეგულირდება საკითხთა ფართო წრე: საწარმოს მმართველობა, შენატანები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დავის გადაწყვეტა, მხარეთა კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღების საკითხები და სხვა.[75]

1.3. ერთობლივი საწარმოს სახეები და გამოვლინებები

იქედან გამომდინარე, რომ „ერთობლივი საწარმო" მაინც სიახლეს წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში და მისი როლი როგორც თითოეული ქვეყნის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება, შესაბამისად ასეთი ტიპის საწარმოები საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვლინებებით ჩნდება სამართლებრივ სივრცეში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „ერთობლივი საწარმოს" დამახასიათებელი თვისებისა, კერძოდ მოგების მიღებისა და კომერციული მიზნით მოქმედებისა, შესაძლოა ასეთი ტიპის საწარმო მოგვევლინოს არაკომერციული მიზნების მქონედაც, რომელსაც გააჩნია საქველმოქმედო, კულტურული ან სხვა სახის მიზანი.[76] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი საკანონმდებლო ნორმა არ კრძალავს მხარეთა უფლებას თავისუფლად განსაზღვრონ „ერთობლივი საწარმოს" საქმიანობის მიზანი, მისი კონცეფციიდან და არსიდან გამომდინარე ძირითადად მაინც მოგების მიღების მიზნით იქმნება ასეთი საზოგადოებები.

გამოიყოფა მოკლევადიანი და გრძელვადიანი „ერთობლივი საწარმოები". თუ რომელი ტიპის საწარმო არის სახეზე, დამოკიდებულია თავად იმ საქმიანობის არსსზე, რასაც „ერობლივი საწარმო" ახორციელებს. თუ მისი მიზანი შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული პროექტის განსახორციელებით, აღნიშნულისთვის შესაძლოა ერთი წელი საკმრისი იყოს, ხოლო მაშინ როცა საერთო საქმიანობა მოითხოვს სხვადასხვა მოქმედებების განხორციელებას საბოლოო მიზნის მისაღწევად, შესაბამისად „ერთობლივი საწარმოს" მოქმედების ვადა უფრო ხანგრძლივია. ამასთან, შესაძლოა სპეციფიკურად რაიმე პირობითი მოვლენის დადგომას შეესაბამებოდეს ასეთი საწარმოს მოქმედების ვადა.[77] „ერთობლივი საწარმოს" მოქმედების ვადას

[75] Blageff V. L., Corporate Counsel's Primer Series (194-31), Corporate Counsel's Primer on Transnational Joint Ventures, 6.

[76] Ansari K. M., Foundations must be wary when entering joint ventures, 23 Taxtation of Exempts 40, Private foundations, Copyright © 2011 Ria, July/August 2011, 3.

[77] Vennat M., Joint Venture Dissolution, 19 Review Gen. 841 (1988), Queen Mary University of London, 843.

მხარეები ხელშეკრულების ფარგლებში ათანხმებენ ერთმანეთთან, სხვა მრავალ არსებით პირობასთან ერთად.

„ერთობლივი საწარმოს" უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას წარმოადგენს საერთაშორისო „ერთობლივი საწარმო", რომელიც გლობალიზაციისა და ეკონომიკური განვითარებისათვის საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. საერთაშორისო ოპერაციებისათვის ანტიმონომოპოლიური მოქცევის სახელმძღვანელო პრინციპები „ერთობივი საწარმოს" აღწერს, როგორც ფირმათა ნებისმიერი ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი გაერთიანება პროდუქციის, დისტრიბუციის, მომსახურების თუ სხვა საქმიანობის წარმოების განსახორციელებლად.[78] აღნიშნული დეფინიციიდან, კარგად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო „ერთობივი საწარმოები", რომლებიც გზას უხსნის დიდ ფირმებსა და ორგანიზაციებს გააერთიანონ ძალისხმევა, რესურსი, ცოდნა და ერთობლივად გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. ასეთი გაერთიანება ერთი შეხედვით საკმაოდ უცხო და სპეციფიკურია ვინაიდან ასეთი დიდი საწარმოები და კომპანიები ეკონომიკურ ბაზარზე წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტებს და შესაბამისად კონკურენტების გაერთიანება დიდი რისკის მატარებელია. აღნიშნული რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კონკურენტი კომპანიები ერთობლივად იწყებენ საქმიანობას, წარმოებას, თანაბრად ინაწილებენ ქონებას და მოქმედებენ როგორც თანამესაკუთრეები, ერთად კისრულობენ მოვალეობებსა და ახორციელებენ უფლებებს[79]. ამასთან, ერთობლივ საქმიანობას საფრთხეს უქმნის საწარმოების განსხვავებული კულტურული, პოლიტიკური, ტექნიკური და სხვა თავისებურებები.[80] მიუხედავად აღნიშნული რისკებისა, ასეთი საქმიანობის წამოწყებას იმდენად ბევრი დადებითი მხარე აქვს, რომ საწარმოები ხშირად სწორედ ამ ფორმას ირჩევენ, მითუმეტეს უცხო ქვეყანაში ინვესტირების შემთხვევაში, რა დროსაც ინვესტორს სჭირდება წვდომა ქვეყნის ბაზარზე, სათანადო რესურსი ქვეყნის შიგნით, წვდომა სხვადასხვა სერვისთან, შესაბამისად მისთვის ბევრად მარტივია ბიზნესის წამოწყება და განხორციელება თავად ქვეყნის მკვიდრ კომპანიებთან ერთად, რომლებიც სწორედ ამ პრობლემების დაძლევაში დაეხმარებიან უცხოელ ინვესტორებს. თავად მკვიდრი კომპანიებისთვისაც

[78] Glynn F. E., Jr, International Joint Ventures: An Enforcement Perspective, 58 Atnitrust Law Journal 703, 1989, American Bar Association, 704.

[79] Fong I. K., Walker J. K., International high-technology joint ventures: an antitrust and antidumping analysis, 7 International Tax and Business Lawyer 57 (1989), 57., 57. ონლაინ იხ. https://scholarship.law.berkeley.edu/bjil/vol7/iss1/2/

[80] Vennat M., Joint Venture Dissolution, 19 Review Gen. 841 (1988), Queen Mary University of London, 842.

საუკეთესო გამოსავალია უცხოურ კომპანიებთან კოლაბორაცია, რადგან ასეთი კომპანიები გამოდიან საერთაშორისო ბაზარზე და აფართოებენ ბიზნეს საქმიანობის მოქმედების არეალს.

„ერთობლივი საწარმო" ბიზნეს ორგანიზაციებისათვის წარმოადგენს უდიდეს შესაძლებლობას, რადგან კომპანიები ერთიანდებიან დიდი მიზნების მისაღწევად და ეს ყოველივე ხორციელდება ბევრად მარტივი გზით. სიმარტივე გამოიხატება იმაში, რომ ასეთ გაერთიანებაში ნაწილი წევრების კონტრიბუციას წარმოადგენს ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, ნაწილი წევრების კონტრიბუციას ფული, ფინანსები, ნაწილისას კი სათანადო აღჭურვილობა, რაღა თქმა უნდა, ცალსახაა, რომ ამ ყოველივეს გაერთიანებით უფრო ეფექტურად და სწრაფად მიიღწევა დასახული მიზანი.[81] სწორედ ამიტომ, „ერთობლივმა საწარმომ" როგორც ბიზნესის განხორციელების საუკეთესო საშუალებამ მოიცვა თითქმის ყველა სფერო, რომელშიც ის წარმატებით გამოიყენება. შესაბამისად, გვხვდება მრავალი სხვადახვა გამოვლინება და ტიპი ასეთი საზოგადოებისა. აშშ-ს სამართალში „ერთობლივი საწარმო" წარმატებით გამოიყენება მიწისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/გადამუშავების ბიზნესში, განსაკუთრებით ხშირია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, გაყიდვასთან, გადამუშავებასთან დაკავშირებული ტრანზაქციებისათვის „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.[82] ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სფეროს, რომელშიც „ერთობლივი საწარმო" წარმატებით მოქმედებს წარმოადგენს კომერციული ეკონომიკური გარიგებები და ნებისმიერი სახის ბიზნეს ტრანზაქცია, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც საწარმოს წევრების ნაწილი უზრუნველყოფს სათანადო ფინანსებს, ხოლო ნაწილი კი სათანადო მატერიალურ თუ არამატერიალურ[83] რესურსს ასეთი ბიზნესის განსახორციელებლად. აღნიშნულში ასევე მოიაზრება ერთობლივი საწარმოს გაერთიანება ერთობლივად პროდუქტის წარმოების მიზნით.[84] მნიშვნელოვანია ასევე გამოიყოს მომსახურების სფერო, რომელშიც ასევე

---

[81] Walter H. E. Jaeger, Joint Ventures: Membership, Types and Termination, 9 Am. U. L. Rev. 111 (1960), 117.

[82] იქვე, გვ.118.

[83] იქვე. გვ.119.

[84] Apple-სა და Sharp-ის ერთობლივი საქმიანობა, რომლის შესაბამისადაც მათ შორის დაიდო ერთობლივი მარკეტინგისა და დაფინანსების ხელშეკრულება კომპიუტერის გამოსაშვებად. აღნიშნული ერთობლივი საქმიანობით თითოეული მხარე სრულად იყო ჩართული ბიზნესის განხორციელებაში, თუმცა Sharp-ს ევალებოდა გარკვეული ტექნოლოგიებით მომარაგება და ამასთან მომხმარებლის მოზიდვა, Apple -ს კი ძირითადი ბიზნე საქმიანობის გაძღოლა და სხვა. Compton T.C. C., Cooperation, Collaboration, and Coalition: A Perspective on the Types and Purposes of Technology Joint Ventures, 61 Antitrust L.J. 861 (1993), 865.

საკმაოდ ხშირად გამოიყენება „ერთობლივი საწარმო" საქმიანობის ფორმად, იქნება ეს იურიდიული თუ სხვა სახის მომსახურება.[85] აღნიშნული მიზნებისათვის ქართულ სამართალში ხშირად იქმნება ამხანაგობა პროფესიული ორგანიზაციებისა და პირების გასაერთიანებლად, მაგალითად სწორედ ზემოთ აღნიშნული იურისტების გაერთიანება, ექიმების გაერთიანება და სხვა. თუმცა „ერთობლივი საწარმოსაგან" განსხვავებით, როდესაც ასეთი ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბებით მხარეები მოგების მიღებას ისახავენ მიზნად, ქართული ამხანაგობა გამორიცხავს ასეთ მიზანს და ძირითადად საერთო სამეურნეო მიზნით იქმნება, მაგალითად ერთობლივად დაიქირაონ სამუშაო ფართი და სხვა.[86] „ერთობლივი საწარმო" გამოიყენება ასევე ისეთ სპეციფიკურ სფეროებში როგორებიცაა გამოგონება, ინტელექტუალური საკუთრება, სათამაშო თუ გასართობი ბიზნესი. ეს ის სფეროებია, რომლებიც გარკვეულ სხვადასხვა სახის რესურსებს საჭიროებენ, რაც მარტოდენ ერთ პირს შესაძლოა არ გააჩნდეს, ამიტომ ასეთი სფეროს წინ წამოსაწევად სწორედ პირთა ამგვარი გაერთიანებაა საჭირო. მაგალითად პირი, რომელიც პირობითად შექმნის კომპიუტერულ თამაშს, საჭიროებს მის დარეკლამებას, ბაზარზე გატანას, რაც შესაძლოა მარტო განსახორციელებლად საკმაოდ რთული აღმოჩნდეს.[87] დღესდღეობით, „ერთობლივი საწარმო" საკმაოდ პოპულარულია სამშენებლო ბიზნესში, მითუმეტეს დიდი სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით, როდესაც საჭიროა მრავალი სხვადასხვანაირი რესურსის გაერთიანება - მასალები, კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, მუშახელი, კაპიტალი და სხვა, რაც თავის მხრივ საჭიროებს კონტროლს და მართვას, შესაბამისად ასეთი მასშტაბის პროექტების განხორციელებისას საერთოდ არ არის გასაკვირი, რომ კომპანიები ირჩევენ მარტივ გზას, „ერთობლივი საწარმოს" მეშვეობით გააერთიანონ ყველა რესურსი, გაინაწილონ რისკები თანაბრად და საბოლოოდ მიაღწიონ სასურველ მიზანს.[88] „ერთობლივი საწარმოები" სამშენებლო ბიზნესში შესაძლოა ითქვას, რომ წარმოადგენს კონტრაქტორების გაერთიანებას, თუმცა იმ სპეციფიკით, რომ ძირითადად ერთიანდებიან კონკრეტული, მოკლევადიანი პროექტების განსახორციელებლად, თუმცა აღნიშნულ სფეროში შესაძლოა არსებობდეს ასევე გრძელვადიანი „ერთობლივი საწარმოებიც". ასეთი ტიპის საწარმოებში, როგორც ზემოთ

---

[85] Walter H. E. Jaeger, Joint Ventures: Membership, Types and Termination, 9 Am. U. L. Rev. 111 (1960), 120.

[86] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2011წ., გვ.279.

[87] Walter H. E. Jaeger, Joint Ventures: Membership, Types and Termination, 9 Am. U. L. Rev. 111 (1960), 122.

[88] იქვე, 124.

აღვნიშნე, მხარეები აერთიანებენ შრომასა და ქონებას/კაპიტალს, შესაბამისად გააჩნიათ ერთიანი უფლებები და ვალდებულებები, როგორც ერთობლივი საქმიანობის განმახორციელებელ საზოგადოებას.[89]

მნიშვნელოვანია, რომ „ერთოვლივი საწარმოს" მსგავსი ორგანიზაციები იქმნებიან გარკვეული მოდიფიკაციებით, რომლებიც არ წარმოადგენს მას, თუმცა სწორედ მისი ნიშნები ახასიათებს. ასეთია ორმხრივი ლიცენზირების ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისადაც კომპანიები ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ საკუთრებაში არსებულ ტქენოლოგიებს თითიეული მათგანის წარმოების პროცესის უზრუნველსაყოფად.[90] ერთობლივი გაერთიანების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს „კონსორციუმი", რომელიც გულისხმობს ათობით საწარმოს გაერთიანებას ერთი მიზნის ირგვლივ რომელიმე კონკრეტულ სფეროში მოქმედებისათვის.[91] თუმცა, დღეს, იმ პირობებში, როდესაც „ერთობლივი საწარმო" ბიზნეს ორგანიზაციებისათვის წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მოქნილ, მარტივ და მისაღებ ფორმას, ასეთი ტიპის საზოგადოებები ნაკლებად იქმნება და ისინი ძირითადად „ერთობლივმა საწარმომ" ჩაანაცვლა, რომლებშიც თითიეული მხარის მიერ გახორციელებული შენატანით იქმნება ახალი დამოუკიდებელ სუბიექტი, რომლის მიზანიცაა ერთობლივად მოგების მისაღებად მოქმედება და დანახარჯების/ზარალის თანაბრად გადანაწილება.[92]

„ერთობლივ საწარმოს" მოცული აქვს თითქმის ყველა სფერო, მით უფრო დიდი წვლილი შეაქვს მსხვილი ბიზნესის განხორციელებაში, შესაბამისად სწორედ ამ მიზეზის გამო პრაქტიკაში შეიძლება გამოჩნდეს მრავალი სხვადასხვა გამოვლინება ასეთი ტიპის საზოგადოებისა.

---

[89] Straube M., Joint-Venture Groups, Effects on the construction work, 13 Int'l Business Law 131 (1985), Queen Mary University of London, 132.

[90] Compton T.C. C., Cooperation, Collaboration, and Coalition: A Perspective on the Types and Purposes of Technology Joint Ventures, 61 Antitrust L.J. 861 (1993), 864.

[91] იქვე, 866 გვ.

[92] იქვე, 866 გვ.

III. ერთობლივი საწარმოს სპეციფიკა

როგორც ზემოთაც აღინიშნა, დღესდღეობით ერთობლივი საწარმო მეტად აქტუალურ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს, როგორც მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ბიზნეს ურთიერთობებში ძალიან ხშირად გვხვდება დიდი ორგანიზაციების გაერთიანება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით. „ერთობლივი საწარმო", როგორც სამართლებრივი ფორმა, უფრო და უფრო იხვეწება და ვითარდება, რადგან ბიზნეს სივრცეში მას ძალზე ბევრი უპირატესობა გააჩნია. აღნიშნულ უპირატესობაში უმთავრეს როლს თამაშობს შემდეგი კრიტერიუმები : 1) „ერთობლივი საწარმოს" შექმნით მხარეებს ეძლევათ საშუალება გადაინაწილონ რისკები და შევიდნენ ისეთ ბიზნეს ურთიერთობებში, რომლებიც მათთვის აქამდე უცხო იყო და 2) საქმიანობის განხორციელება უფრო მოქნილი და მარტივია, რადგან პარტნიორები აერთიანებენ ძალებს და იყენებენ ერთმანეთის შესაძლებლობებს.[93] როდესაც მხარეები გადაწყვეტენ ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბებას, გააჩნიათ მრავალი მიზანი და ბიზნეს ინტერესი, რომელიც მომგებიანი იქნება მათთვის. აღნიშნული მიზნების და სტრატეგიების შემოსზღვრა ცალსახად რთულია და ყოველი კონკრეტული „ერთობლივი საწარმოს" საქმიანობიდან და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს, თუმცა ძირითად მიზნებს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ადგილის დამკვიდრება, კაპიტალისა და რისკების გადანაწილება, შესაძლებლობებისა და ქონების გაერთიანება და შიდა ეკონომიის მიღწევა, რაც სწორედ წარმოების მასშტაბების გაზრდითაა განპირობებული (მასშტაბის დადებითი ეფექტი).[94] მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, აღნიშნული ფორმით გაერთიანება ბევრ კითხვას ბადებს და ბევრი ქვეყნისათვის (მაშ შორის საქართველოსთვის) მაინც უცხო ინსტიტუტს წარმოადგენს. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მისი არაიდენტიფიცირებადი ხასიათი ყველა სხვა ტიპის საწარმოსგან/გაერთიანებისგან განსხვავებით, რადგან კორპორაცია იქნება, თუ ამხანაგობა თითოეული მათგანის დაფუძნება და საქმიანობის განხორციელდება რეგულირდება კანონით და მათ მიმართ არსებობს მრავალი ფორმალური მოთხოვნა, მაშინ როდესაც „ერთობლივი საწარმოს"

---

[93] Dobkin A. J., Structuring an International Technology Joint Venture, 7 International Financial Law Review 20, Queen Mary University of London, September, 1988, 20.

[94] Jelinek M., Pettit J., The Joint Venture (JV) Handbook, IHS Consulting, Strategic Advisory&Transaction Support, September, 2012, 6.

მახასიათებლები ბუნდოვანია და არ არის სათანადოდ რეგულირებული.[95] „ერთობლივ საწარმოზე" საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი უნიკალურობა იმ მხრივ, რომ დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტს ქმნიან ის სუბიექტები, რომლებიც ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტ ორგანიაზციებს წარმოადგენენ.[96] როგორც ზემოთაც აღინიშნა, მართალია, „ერთობლივი საწარმოს" ერთიანი დეფინიცია არ არსებობს, თუმცა აშშ-ს სამართალში, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლებრვ სივრცეში ჩამოყალიბდა კონკრეტული ხედვა „ერთობლობლივი საწარმოს" რაობასთან დაკავშირებით. იურისტები თანხმდებიან, რომ „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ბიზნესის მქონე საწარმოს გაერთიანებას ამხანაგობისათვის დამახასიათებელი ხელშეკხულებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუმცა ცალსახაა, რომ ამ დროს იქმნება ცალკე დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც ასევე ძალიან ჰგავს დამოუკიდებელ საკორპორაციო სამართლებრივ კორპორაციას.[97] აღნიშნული დეფინიცია ცხადჰყოფს თუ რაოდენ რთულია „ერთობლივი საწარმოს" ერთიანი არსის და მნიშვნელობის ჩამოყალიბება, რამდენადაც ის შესაძლოა გაიგივდეს როგორც ამხანაგობის ტიპის საზოგადოებასთან, ისე საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტთან, ამასთან თითოეული მათგანისგან განსხვავებული თავისებურებანი ახასიათებს. იმისათვის, რომ კარგად იქნას გააზრებული „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკა აუცილებელია განხილულ იქნას მისი მსგავსება და განსხვავება სამართლის სხვა ინსტიტუტებთან - ამხანაგობასთან, კორპორაციასთან და სხვა სახის ერთობლივ საქმიანობასთან.

1.1. „ერთობლივი საწარმო" და კორპორაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთობლივი საწარმო ძალიან ახლოს დგას საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტებთან, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ „ერთობლივი საწარმოს" ერთ-ერთ სახეობას სწორედ „საკორპორაციო ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს, რომლის დროსაც მხარეები აფუძნებენ დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტს და სწორედ ამ სუბიექტის მეშვეობით ახორციელებენ შემდგომ საქმიანობას. თუმცა, არის კი

[95] Taubman J., What Constitutes a Joint Venture, 41 Cornell Law Quarterly 640 (1955-1956), 2019y., 640. ონლაინ იხ. https://scholarship.law.cornell.edu/clr/vol41/iss4/4/

[96] McCahery A., J., Vermeulen Erik P. M., Corporate Governance and Innovation Venture Capital, Joint Ventures, and Family Businesses, ECGI Working Paper Series in Law, Working Paper N°.65/2006, March 2006, 37.

[97] Schroth W. P., United States Joint Ventures: Transideological and Otherwise, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Issue suppl_1, Supplement 1990, Pages 213–249, 216.

ასეთი საწარმო ჩვეულებრივი გაგებით საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტი? ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი შეიძლება არსებობდეს, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ერთმნიშვნელოვნად ასეთი საწარმო ვერ იქნება იდენტური საკორპორაციო სამართლის სუბიექტებისა, იქედან გამომდინარე, რომ ახასიათებს მრავალი თავისებურობა და სპეციფიკურობა, რაც მას არა მხოლოდ საკორპორაციო, არამედ ყველა სხვა სამართლებრივი ინსტუტუტისაგან ასხვავებს. ზოგადად, საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიქტების შემთხვევაში (თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ გამომდინარეობს) მოქმედებს ე.წ. უმრავლესობის პირნციპი ჩვეულებრივი აქციების/წილების მფლობელებთან მიმართებაში, ხოლო „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში ხშირად მხარეებს შორის დადბეული შეთანხმებით ეს პრინციპი შეცვლილი/ამოღებული ან/და მოდიფიცირებულია და ძირითადად ყველა წევრის თანხმობა არის საჭირო რიგ საკითხებთან მიმართებით. ამასთან, მაშინ, როდესაც საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტებში დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა სწორედ უმრავლესობის (აქციებისა და წილების მიხედვით) წევრებით ან მათ მიერ დანიშნული პირებით ყალიბდება, „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში ხელშეკრულებით ადგენენ მხარეები თუ ვინ დაიკავებს აღნიშნულ საბჭოში შესაბამის თანამდებობებს, ამასთან უმრავლეს შემთხვევაში „ერთობლივი საწარმოს" თითოეულ მხარეს გააჩნია ე.წ. ვეტოს უფლება, რასაც სპეციალურად ითვალისწინებენ ხელშეკრულებაში თოთიეული მხარის ინტერესების დასაცავად, ეს კი ზოგადად უცხოა კორპორაციებისთვის გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა[98]. ამასთან, „ერთობლივი საწარმოს" მხარეებს გააჩნიათ სრული უფლებამოსილება მართვის კონტროლისა, მაშინ როდესაც კორპორაციებში მინორიტარ პარტნიორებს ეს უფლებები არ გააჩნიათ.[99] ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ „ერთობლივ საწარმოში" პარტნიორები მეტად დაცულები არიან, რაც არაა გასაკვირი იქედან გამომდინარე, რომ თითოეული მხარე სახელშეკრულებო თავისუფლოების პრინციპზე დაყრდნობით ითვალისწინებს ხელშეკრულებაში საკუთარი უფლებების დაცვის ბერკეტებს და მისი უფლებები თუ ვალდებულებები არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა

[98] მაგ: ე.წ. ოქროს წილი/აქცია "Golden Shares", რომელიც მოქმედებს იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილს და სწორედ სახელმწიფოს გააჩნია „ოქროს წილის" შესაბამისად სპეციალური და განსაკუთრებული უფლებები, ვრცლად იხ. Prof. Dr. Stefan Grundmann, Golden Shares, LL.M. (Berkeley) Wiss. Mitarbeiter Dipl.-Kfm. Florian Möslein, LL.M. (University College London), State Control in Privatised Companies: Comparative Law, European Law and Policy Aspects, 2.

[99] Zenichi Sh., The Strategy Behind the Organizational Game: A Comparison between the Joint Venture Negotiation and the Venture Capital Investment Negotiation (July 9, 2015), 6. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2628614

რაოდენობის წილს ფლობს საწარმოში.[100] აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საკორპორაციო სამართლის მეწარმე სუბიექტისთვის დამახასიათებელი სისტემური და ჩამოყალიბებული კორპორაციული მართვის სისტემა. კორპორაციული მართვა გულისხმობს „კორპორაციების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემას".[101] მართალია, „ერთობლივი საწარმოც" სისტემურად გამართული და ჩამოყალიბებული უნდა იყოს, თუმცა მხარეებს იქედან გამომდინარე, რომ აქვთ სრული ნების თავისუფლება თუ როგორ, რა ფორმით ჩამოაყალიბონ საწარმო, შეუძლიათ მართვის განსხვავებული მოდელი მოიფიქრონ და შესაბამისად გაითვალისწინონ ერთმანეთთან დადებულ ხელშეკრულებაში.

საკორპორაციო მეწარმე სუბიექტისა და „ერთობლივი საწარმოს" მსგავსებასა თუ განსხვავებაზე საუბრისას, საინტერესოა ფიდუციური ვალდებულებების საკითხი. მაშინ როდესაც, საკორპორაციო სამართლის საზოგადოებებში დრექტორებსა და პარტნიორებს კანონი აკისრებს ფიდუციურ ვალდებულებებს, „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში აღნიშნული უნდა დარეგულირდეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით, რაც არც თუ ისე მარტივია, იმდენად რამდენადაც, რაც არ უნდა გაიწეროს ხელშეკრულებაში, თითოეულ მხარეს მარტივად შეუძლია აიცილოს ის თავიდან თუნდაც გაერთიანებაზე უბრალო უარის თქმით.[102] შესაბამისად, მეწარმე სუბიექტებში აღნიშნული მხრივ ცალსახად ბევრად მაღალია თითოეული პარტნიორის დაცულობის ხარისხი, ვიდრე „ერთობლივ საწარმოში" სადაც საკითხთა უმრავლესობა მარტოდენ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით რეგულირდება და საწარმოს ბედიც სწორედ მასზე ხდება დამოკიდებული.

კორპორაციასა და „ერთობლივ საწარმოზე" საუბრისას, მარტივად შესამჩნევია უმთავრესი განხვავება ამ ორ საზოგადოებას შორის, კერძოდ- იდენტიფიცირებადობა. კორპორაციის დაფუძნება ნებისმიერი ფორმით გულისხმობს კანონის ძალით დამოუკიდებელი იურიდიული ბუნების მქონე სუბიექტის შექმნას, იმის გათვალისწინებით, რომ თუ ასეთი დაფუძნება არ მოხდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გთვალისწინებული რეგულაციების სრული დაცვით ვერ ჩამოყალიბდება კორპორაცია და

[100] იქვე, 6.

[101] ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2006წ., 11.

[102] Zenichi Sh, The Strategy Behind the Organizational Game: A Comparison between the Joint Venture Negotiation and the Venture Capital Investment Negotiation (July 9, 2015), 6. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2628614

შესაბამისად ის ვერ იქნება მეწარმე სუბიექტი. ხოლო „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში ასეთი მოთხოვნები არ არსებობს.[103] „კორპორაციული ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაშიც კი ცალსახაა განსხვავება ჩვეულებრივ კორპორაციასა და „ერთობლივი საწარმოს" კორპორაციას შორის, რადგან მაშინ როდესაც, კორპორაციის დაფუძნებისას პარტნიორებმა უნდა დიცვან მთელი რიგი კანონის მოთხოვნები ზედმიწევნით, ასეთი მოთხოვნები „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბებისას არ არის ფორმალიზებული და დადგენილი. კორპორაციებისათვის დამახასიათებელია პარტნიორების სიმრავლე საწარმოში, სადაც წარმომადგენლობითი და მმართველობითი ორგანო აირჩევა ხმებისა და წილების შესაბამისად, ასეთი რამ „ერთობლივი საწარმოს კორპორაციის" შემთხვევაში არ მოქმედებს და პარტიორებს აქვთ თანასწორი უფლებები როგორც წარმომადგენლობთი ისე მმართველობითი უფლებამოსილებების განხორციელების მხრივ.[104]

უმთავრეს განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა. „ერთობლივი საწარმოს" განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს პარტნიორთა შორის დადებული ხელშეკრულება. რა ტიპის „ერთობლივი საწარმოც" არ უნდა იყოს სახეზე, თითოეულ მათგანში სწორედ ხელშეკრულებით რეგულირდება შიდა ურთიერთობები და სწორედ ხელშეკრულება წარმოადგენს ასეთი საწარმოს საფუძველსა და ამოსავალ წერტილს. ხოლო კორპორაციების შემთხვევაში განმსაზღვრელია საზოგადოების წესდება, რომლის ფარგლებშიც მხარეები ათანხმებენ საწარმოს ფუნქციონირებისათვის დამატებით საკითხებს, ხოლო ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში ხელშეკრულებით რეგულირდება, კორპორაციის შემთხვევაში დადგენილია კანონის რეგულაციებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კორპორაციასა და „ერთობლივი საწარმოს" შორის არსებობს მთელი რიგი განსხვავებები და მათი ერთმანეთთან გაიგივება არასწორ შედეგებს წარმოშობს, მითუმეტეს იმ პირობებში როდესაც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს „ერთობლივი საწარმოს" ინსტიტუტს. შესაბამისად, აუცილებელია გაივლოს მკაფიო ხაზი აღნიშნულ სამართლებრივ ფორმებს შორის.

---

[103] Taubman J., What Constitutes a Joint Venture , 41 Cornell Law Quarterly 640 (1955-1956), 2019y., 640. ონლაინ იხ. https://scholarship.law.cornell.edu/clr/vol41/iss4/4/

[104] Harvard Law Review, Joint Venture Corporations: Drafting the Corporate Papers, vol. 78, no. 2, 1964, pp. 393–425., 395.

1.2. „ერთობლივი საწარმო" და ამხანაგობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ერთობლივ საწარმოს" აქვს ბევრი საერთო როგორც კორპორაციებთან, ისე ამხაგანობასთან. თუმცა მისი ყველაზე დიდი მსგავსება ვლინდება სწორედ ამხანაგობასთან და შესაბამისად, იურიდიულ ლიტერატურაში მას ხშირად მოიაზრებენ, როგორც ამხანაგობის სპეციალურ ფორმას და სასამართლო პრაქტიკაც ხშირად სწორედ ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით წყვეტს „ერთობლივ საწარმოსთან" მიმართებაში წამოჭრილ დავებს. დღეს, არათუ აშშ-ს სამართალში, არამედ სხვა ქვეყნების სამართალშიც არ არსებობს ერთიანი მიდგომა მართლა ამხანაგობის ნაწილს წარმოადგენს „ერთობლივი საწარმო" თუ საერთოდ სხვა, დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტია, რომელიც ცალკე ჩამოყალიბებული სამართლის ნორმებით უნდა რეგულირდებოდეს. იმისათვის, რომ გააზრებულ იქნას აღნიშნული პრობლემის არსი, უმჯობესია პირველ რიგში განხილულ იქნას თავად ამხანაგობის არსი აშშ-ს სამართლის მიხედვით.

1.2.1. ამხანაგობა

ამხანაგობა, როგორც ერთობლივი საქმიანობის ფორმა უხსოვარი დროიდან არსებობს. ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა ამხანაგობები, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა სპეციფიკით. თუ თავდაპირველად ამხანაგობას მხოლოდ ე.წ. საოჯახო შეთანხმების ხასიათი ჰქონდა, დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მისი მთავარი მახასიათებლები, რომელთაგან უპირველესია ნებაყოფლობითობის ელემენტი. სახელწოდებიდანაც იკვეთება, რომ ეს საქმიანობა დაფუძნებული იყოს ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. სწორედ ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ახორციელებდნენ პარტნიორები ბიზნეს საქმიანობას და საერთო მიზნების მიღწევას.[105] რომაული სამართალი ბევრად უფრო მკაცრად უდგებოდა ამხანაგობის სტრუქტურას, ვიდრე საერთო სამართლის რეგულაციები. აღნიშნული სხვაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ რომაული სამართლის მიხედვით თითოეული პარტნიორის უფლებამოსილება შემოისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ მისი შენატანის ოდენობით, ხოლო საერთო სამართლის მიდგომით, მესამე პირების გადმოსახედიდან თითიეულ პარტნიორს გააჩნია სრული უფლებამოსილება

[105] Pepper W. G., what Constitutes a Partnership, 46 The American Law Register 137 (1898), (founded 1852), University of Pennsylvania, 142.

და ის არ შემოისაზღვრება შენატანების მიხედვით.[106] შუა საუკუნეებში ამხანაგობის სხვადასხვა ფორმებმა იჩინა თავი, ერთ-ერთი მათგანი იყო ე.წ. „commanda", რომელიც წარმოადგენდა ისეთ გაერთიანებას, რომელშიც ერთი პარტნიორი ახორციელებდა ფულად შენატანს ფულის ან მატერიალური დოვლათის სახით, ხოლო მეორე პარტნიორი არაფულად შენატანს-სპეციალურ ცოდნას, უნარს და სწორედ ის მართავდა საზოგადოებას. ამასთან, არსებობდა ე.წ. „societas", რომელიც ძალზე ახლოს დგას თანამედროვე ამხანაგობასთან. „Societas" წარმოადგენდა საზოგადოებას, რომელშიც თითოეული პარტნიორი ინდივიდუალურად იყო პასუხისმგებელი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის. თუმცა მთავარ განსხვავებას ძველ ამხანაგობებსა და ახალ საერთო სამართლის ამხანაგობას შორის, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წარმოადგენს ის, რომ ძველ ამხანაგობებში ცალკეული პარტნიორი არ აღიქმებოდა ამხანაგობის საქმეებზე უფლებამოსილ თუ პასუხისმგებელ პირად და უფლებამოსილება/პასუხისმგებლობა დამოკიდებული იყო მის წილსა და მის მიერ განხორციელებულ შენატანზე.[107] მე-12 საუკუნეში რომის სამართლის რეცეფციის შედეგად ამხანაგობა პირველ რიგში იტალიაში, შემდგომ კი საერთო სამართლის ქვეყნებში გავრცელდა.[108] ამხანაგობის უძველესი ფორმები ნაცნობია ასევე ქართული კანონმდებლობისთვისაც, რომლის უპირველეს წინამორბედს წარმოადგენს ე.წ. სავაჭრო ამხანაგობები. ქარული კანონმდებლობა იცნობდა ამხანაგობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა სააქციო ამხანაგობა და სრული ამხანაგობა, რომლებიც საბჭოთა კანონმდებლობის გავლენით არსებობდა.[109] განსხვავებით ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი ამჟამინდელი ამხანაგობისგან[110], სამეწარმეო ამხანაგობები იქმნებოდა მოგების მიღების მიზნით.[111] მიუხედავად იმ მრავალი სირთულისა და ცვლილებისა რაც საქართველომ გადაიტანა საბჭოთა კავშირის პერიოდში კომუნისტური რეჟიმის არსებობისას, მათ შორის სამართლებრივ ნაწილში, სსკ-ს ყველა

---

[106] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 138. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[107] იქვე, 139.

[108] ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 23.

[109] ჩიტოშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თავი ოცდამეხუთე, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001წ., 275.

[110] ვრცლად იხ. გვ.42-49.

[111] ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 25.

რედაქციაში გხვდვება ამხანაგობა, როგორც ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა.[112]

ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმების შექმნის და სისტემიზაციის შემდეგ ნელ-ნელა განვითარდა აღნიშნული სამართლებრივი ფორმა და დღეს ამხანაგობის სამართალს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. ამხანაგობა აშშ-ს სამართლის მიხედვით გულისხმობს ორი ან მეტი პირის გაერთიანებას, რომლებიც მოგების მიღების მიზნით ერთობლივად უძღვებიან ბიზნესს, როგორც თანამესაკუთრეები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობა საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის აღიქმება, როგორც გაერთიანება, სინდიცირება, ერთობლივი საწარმო ან სხვა ფორმის საზოგადოება, რომელიც საერთო მიზნების მისაღწევად მოქმედებს, მაგრამ წარმოადგენს არაკორპორაციულ ორგანიზაციას, რომელიც არ საჭიროებს დარეგისტრირებას და შესაბამისად განსხვავდება კორპორაციისგან.[113] დამკვიდრებული დეფინიციის თანახმად, ამხანაგობა არის პირთა გაერთიანება, რომლებიც როგორც თანამესაკუთრეები ისე ახორციელებენ ბიზნესს მოგების მისაღებად, რომლის სპეციფიკაც გულისხმობს „თანასაკუთრეობას ბიზნესსა და სავაჭრო საქმიანობაზე".[114] ამხანაგობის დეფინიციაში იკვეთება ამხანაგობისათვის დამახასიათებელი ორი მთავარი ელემენტი: 1)ბიზნესის წარმართვა და 2) თანასაკუთრება. ბიზნესის წარმართვა და განხორციელება გულისხმობს გრძელვადიან საქმიანობას და არა მარტოდენ ერთჯერადი ტრანზაქციის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობა შესაძლოა შეიქმნას ერთჯერადი ტრანზაქციის განსახორციელებლადაც, ძირითადად ამხანაგობების მიზანი გრძელვადიან ბიზნეს ინტერესებს ემყარება და მიზნად სწორედ გრძელვადიანი საქმიანობის განხორციელებას ისახავს.[115] რაც შეეხება, თანასაკუთრებას, აღნიშნული წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის გამოვლინებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ამხანაგობაში თითოეული მხარე თანასწორი უფლებებით სარგებლობს და თანასწორი ვალდებულებები გააჩნია, რაც არ არის დამოკიდებული ცალკეული პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის რაოდენობაზე. შესაბამისად, სპეციფიკურობით გამოირჩევა ამხანაგობის ქონება, რომელთან მიმართებაშიც პარტნიორები აღიქმებიან,

---

[112] იქვე, 27.

[113] Rombro A. R., Choosing between the Corporate and Partnership Forms of Doing Business, 8 Maryland Law Forum 22 (1978), 22.

[114] Pepper W. G., Partnership Property, 46 Am. L. Reg. 295 (1898), Queen Mary University of London, 295.

[115] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949), 118. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

როგორც თანამესაკუთრეები. სწორედ აღნიშნული ქონება ითვლება პირველ რიგში ამხანაგობის ქონებად და შემდეგ თითიეული პარტნიორის მოგებად, შესაბამისად პირველ რიგში საერთო ქონებიდან უნდა დაკმაყოფილდეს მესამე პირების წინაშე არსებული ამხანაგობის ვალდებულებები, რის შემდეგაც დარჩენილი თანხა პარტნიორებს შორის ნაწილდება, როგორც მოგება.[116] რაც შეეხება შენატანს, თუ ადრე კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ და მხოლოდ ფულადი შენატანის დასაშვებობას, ახლა პარტნიორებს თავისუფლად შეუძლიათ განახორციელონ არაფულადი შენატანი, მათ შორის მომსახურება.[117] ამასთან, ნებისმიერი ფორმის ამხაგანობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ვერავინ ვერ გახდება ამხანაგობის წევრი, თუ არ იარსებებს ყველა პარტნიორის თანხმობა, თავად წევრის წილის გადაცემა კი საკმაოდ რთულია ამხანაგობის ბუნებიდან გამომდნარე, რადგან მას გადაყვება მრავალი ვალდებულება რაც აკისრია ასეთი წილის მფლობელ პარტნიორს.[118]

ამხანაგობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ბიზნესის ერთობლივ განხორციელებასთან დაკავშირებული პარტნიორებს შორის დადებული კონტრაქტი.[119] სწორედ კონტრაქტით არეგულირებენ მხარეები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა პარტნიორთა უფლებამოსილებები, ვალდებულებები, შენატანის განხორციელების წესი და პირობები, ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევები, მესამე პირებთან ურთიერთობა, ამხანაგობის მართვა და სხვა. თუ კორპორაციაში ასეთი საკითხები წესდებითა და იმპერატიული კანონის ნორმებით რეგულირდება და მოითხოვს მრავალი ფორმალური ქმედების განხორციელებას, იქნება ეს პარტნიორთა კრების მოწვევა, ოფიცრების არჩევა თუ სხვა, ამხანაგობის შემთხვევაში ამ მხრივ საქმე უფრო მარტივადაა და პარტნიორებს მეტი თავისუფლება აქვთ თავად დაარეგულირონ ამხანაგობის როგორც შიდა, ისე გარე ურთიერთობები, ამასთან, აშშ-ს კანონმდებლობით დასაშვებია ამხანაგობის ხელშეკრულების

[116]Wurts J., Partnership Estates, 10 Yale Law Journal 283 (1900), Queen Mary University of London, 283.

[117] Columbia Law Review, The Uniform Limited Partnership Act, Vol. 22, No. 7 (Nov., 1922), pp. 669-672 Published by: Columbia Law Review Association, Inc, 670. ონლაინ იხ. https://www.jstor.org/stable/1112194

[118] Rombro A. R., Choosing between the Corporate and Partnership Forms of Doing Business, 8 Maryland Law Forum 22 (1978), 25.

[119] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 141. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

როგორც წერილობით, ისე ზეპირად დადება[120], თუ კანონით კონკრეტული ფორმისათვის დამატებით სხვა მოთხოვნები არ არის დაწესებული. ამასთან, არა მხოლოდ საზოგადოების დაფუძნება არ საჭიროებს ზედმეტ ფორმალობებს, არამედ თავად ფუნქციონირება და მართვა ბევრად უფრო მარტივია ამხანაგობის შემთხვევაში, თუ კორპორაციებში კანონის ძალით სავალდებულოა პარტნიორთა კრების/აქციონერთა კრების წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარება, ასეთი რამ არ მოითხოვება ამხანაგობის შემთხვევაში[121]. მართალია, ამხანაგობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ამხანაგობის მმართველობისათვის საჭირო ნორმები, რომელთაც პარტნიორები იცავენ, თუმცა აღნიშნული მორგებულია თითოეული პარტნიორის სურვილზე, რომლთა მიზანი ბიზნესის მარტივად, ეფექტურად და შედარებით არაფორმალურ გარემოში წარმართვაა.

განსხვავებით ქართული სამართლისგან აშშ-ს სამართალი იცნობს ამხანაგობის სამ ძირითად ფორმას : გენერალური ამხანაგობა, შეზღუდული ამხანაგობა და შეზღუდული პასუსიხმგებლობის ამხანაგობა. თოთოეულ მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება რიგი თავისებურებებით. იმისათვის, რომ აღქმადი გახდეს განსხვავება „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის, საჭიროა თითოეული ამხანაგობის ფორმის დახასიათება. გენერალური ამხანაგობა არის ჩვეულებრივ არარეგისტრირებული ერთობლივი საქმიანობა, რომლის თითოეულ პარტნიორს ეწოდება გენერალური პარტნიორი. გენერალური ამხანაგობის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ პარტნიორები ცალ-ცალკე და ერთობლივად აგებენ პასუხს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის. მართალია, როგორც ზოგადად ამხანაგიბის შემთხვევაში, გენერალურ ამხანაგობაშიც თითოეულ პარტნიორს გააჩნია შენატანის შესაბამისად გარკვეული წილი, თუმცა მიუხედავად ამისა მისი პასუხისმგებლობა არ შემოისაზღვრება წილის მოცულობით და ის ამხანაგობის ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს სრულად მთელი თავისი ქონებით.[122] რაც შეეხება შეზღუდულ ამხანაგობას, ასეთი გაერთიანებაში აუცილებელია იყოს სულ მცირე ერთი გენერალური პარტნიორი და ერთი შეზღუდული პარტნიორი. გენერალურ პარტნიორებზე მოქმედებს იმავე პირობები, რაც გენერალური ამხანაგობის შემთხვევაში, ანუ ისინი მთელი

---

[120] Rombro A. R., Choosing between the Corporate and Partnership Forms of Doing Business, 8 Maryland Law Forum 22 (1978), 25. Content downloaded/printed from HeinOnline, Sat May 4, 04:42:44, 2019.

[121] იქვე, 26.

[122] Rodriguez F. A., LEGAL FORMS AND WORKSHEETS Relating to PARTNERSHIPS, The Florida Bar, Legal Forms and Worksheets, Chapter 5, LFW FL-CLE 5-1, Current through the Second Edition 2010, 2.

თავისი ქონებით აგებენ პასუხს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის. შეზღუდული პარტნიორის პასუხისმგებლობა კი შეზღუდულია და შესაბამისად ის თავისი საკუთარი ქონებით არ არის პასუხისმგებელი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის, მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგება მხოლოდ მისი წილით საზოგადოებაში. ამასთან, განსხვავებით გენერალური ამხანაგობისაგან, ასეთი გაერთიანების დაფუძნებისას გაიცემა შტატის სერთიფიკატი და შეზღუდული ბუნებიდან გამომდინარე საგადასახადო კუთხით ეკისრება ბევრად მეტი საგადასახადო გადასახდელები.[123] რაც შეეხება, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას, განსხავებით ზემოთ მოცემული ფორმებისაგან, აღნიშნული ფორმით გაერთიანება საჭიროებს რეგისტრაციას. შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის მახასიათებელი შეზღუდული ამხანაგობის მსგავსად არის სულ მცირე თითო გენერალური პარტნიორისა და შეზღუდული პარტნიორის არსებობა, თუმცა განსხვავებით შეზღუდული ამხანაგობისაგან, აღნიშნულ გაერთიანებაში გენერალური პარტნიორის პასუხისმგებლობაც შეზღუდულია და ის არ აგებს საზოგადოების ვალოდბეულებებისათვის პასუხს თავისი ქონებით, პერსონალურად.[124] გენერალური ამხანაგობის შემთხვევაში თითოეულ პარტნიორს აქვს თანაბარი ხმის უფლება და შესაბამისად ყველა თანაბრად მონაწილეობს საზოგადოების მართვაში, თუმცა ეს ასე არ არის შეზღუდულ ამხანაგობაში სადაც სტანდარტულად შეზღუდულ პარტნიორს არათუ ხმის უფლება, არამედ საზოგადოების მმართველობასა თუ წარმომადგენლობაშიც შეზღუდული უფლებები აქვს.[125]

კორპორაციისაგან განსხვავებით, სადაც მთავარ უპირატესობას (გარდა გამონაკისი ფორმებისა და შემთხვევისა) სწორედ შეზღუდული პასხისგმებლობა წარმოადგენს, ამხანაგობის უმთავრეს სპეციფიკურობას გენერალური პარტნიორის სამართლებრივი მდგომარეობა წარმოადგენს. გენერალური პარტნიორი გენერალური ამხანაგობისა თუ შეზღუდული ამხანაგობის ფარგლებში საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს, როგორც ერთობლივად სხვა პარტნიორებთან, ისე დამოუკიდებლად მთელი თავისი ქონებით, ის პასუხს აგებს როგორც დელიქტური ვალდებულებებისათვის, ისე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე ამხანაგობის სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის.[126] რაც შეეხება, შეზღუდულ

[123] იქვე, 3

[124] იქვე, 4.

[125] Rombro A. R., Choosing between the Corporate and Partnership Forms of Doing Business, 8 Maryland Law Forum 22 (1978), 26.

[126] იქვე, 23.

პატრნიორს, მართალია ის ამხანაგობის ვალდებულებებისათვის არ აგებს პასუხს დამოუკიდებლად მთელი თავისი ქონებით, თუმცა იმ შემთხვევაში თუ ის ამხანაგობის ხელშეკრულებითა თუ პარტნიორთა შეთანხმების შესაბამისად მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების საქმიანობის მართვაში, ისიც გახდება პრესონალურად პასუხისმგებელი საკუთარი ქონებით.[127] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის ნებისმიერი ფორმისათვის შესაძლოა გამოიყოს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები: 1) საერთო პასუხისმგებლობა და საერთო წამოწყება; 2)გაერთიანება მოგების მიღების მიზნით; 3) ერთობლივი კონტროლი და ერთობლივი მმართველობა და 4) თითოეული პირის პერსონალური მონაწილეობა როგორც მოგების, ისე ზარალის გადანაწილებაში.[128]

როგორც ჩანს, აშშ-ს სამართალში არსებული ამხანაგობა საკმაოდ განსხვავდება ჩვეულებრივ კორპორაციებისათვის დამახასიათებელი როგორც პასუხისმგებლობის დოქტრინით, ისე მრავალი სხვა ასპექტით. მაშინ, როცა ასეთი კონტრასტია ამხანაგობასა და კორპორაციას შორის, აღნიშნული მახასიათებლების გააზრებისას ცალსახაა, რომ საკმაოდ რთულია ზღვარის გავლება ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" შორის, რომელთა მახასიათებლებიც თითქმის იდენტურია.

1.2.2. ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" ურთიერთმიმართება

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბება, როგორც ბიზნესის განსახორციელებლად საუკეთესო საშუალება საკმაოდ აქტუალური და პოპულარულია, მაინც არ წყდება დისკუსია იმის თაობზე წარმოადგენს თუ არა აღნიშნული სამართლებრივი ფორმა ამხანაგობის ერთ-ერთ სახეობას/გამოვლინებას/ქვეტიპს. „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბების უპირველესი მცდელობისთანავე იჩინა თავი აღნიშნულმა პრობლემამ და ამას ისიც ადასტურებს, რომ როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, თავდაპირველად სასამართლოები ჩვეულებრივ ამხანაგობად მიიჩნევდნენ ასეთ ორგანიზაციებს. სწორედ აშშ-ს სასამართლოებში დაიწყო მსჯელობა და დისკუსია იმასთან დაკავშირებით წარმოადგენს თუ არა „ერთობლივი საწარმო" ამხანაგობის ერთ-ერთ სახეს. ჯერ კიდევ მე-19

[127] იქვე, 24.

[128] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 140. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

საუკუნეში მიმდინარეობდა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა ამხანაგობის ჩამოყალიბების მიზანი ყოფილიყო ერთჯერადი ბიზნეს გარიგების დადება. სასამართლოები ერთმანეთისგან ასხვავებდნენ გენერალურ ამხანაგობასა და ერთჯერადი ტრანზაქციის განხორციელების მიზნით შექმნილ ამხანაგობას, დღეს კი სწორედ ეს მახასიათებელი წარმოადგენს ძირითად განასხვავებას „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის.[129] მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები დღეს უფრო მეტ განმასახვავებელ მახასიათებლებს ასახელებენ ამ ორ საზოგაოებას შორის, მაინც ვერ დადგინდა ერთიანი მიდგომა, წარმოადგენს თუ არა „ერთობლივი საწარმო" დამოუკიდებელ და ცალკე მდგომ სამართლებრივ ინსტიტუტს. აღნიშნული გასაკვირი არ არის, რადგან ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" ბევრი საერთო აქვს. თუმცა, მას შემდეგ, რაც „ერთობლივი საწარმო" უფრო და უფრო განვითარდა და დამკვიდრდა ბიზნეს ურთიერთობებში, სასამართლოებმა აღიარეს მისი დამოუკიდებელი ხასიათი[130], ხოლო ლიტერატურაში გახშირდა მსჯელობა მის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან განსხვავებულ და სპეციფიკურ მახასიათებლებზე. ჯერ კიდევ ძველ პერიოდში, როდესაც სამართლებრივ სივრცეში გამოჩნდა ისეთი ამხანაგობები, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი ადრეული ამხანაგობებისთვის, კერძოდ ამხანაგობები, რომლებშიც ერთ პირს მხოლოდ არაფულადი შენატანი შეჰქონდა კაპიტალში, მეორეს კი ფულადი, სასამართლოები ასაბუთებდნენ, რომ ასეთი საზოგადოება წარმოადგენდა მხოლოდ ერთჯერადი ტრანზაქციის/ბიზნეს გარიგებისათვის შექმნილ ამხანაგობას, ეს კი დღევანდელი სასამართლოების გაგებით წარმოადგენს „ერთობლივ საწარმოს".[131] აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აღიარებულია „ერთობლივი საწარმო" როგორც ცალკე მდგომი სამართლებრივი ინსტიტუტი, ზემოაღნიშნული კითხვა მაინც აქტუალურია - „ერთობლივი საწარმო" ხომ არ წარმოადგენს ამხანაგობის სპეციალურ ფორმას და „საჭიროა კი სამართალმა აღიაროს ერთობლივი საწარმო როგორც სამათლებრივი ურთიერთობა, რომელიც არ წარმოადგენს ამხანაგობას?!"[132] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-

---

[129] Flannigan, R., The Legal Status of the Joint Venture, Alberta Law Review, 46(3), 713, 715. ონლაინ იხ. https://www.albertalawreview.com/index.php/ALR/article/view/223

[130] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 138. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[131] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham L Rev. 114 (1949), 124. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[132] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 375. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

ერთი პოზიციის თანახმად „ერთობლივი საწარმო" იგივეა რაც ამხანაგობა, ასეთი გადაწყვეტა კი სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც იჩენს თავს, მაგალითად Paragon Building Corp.-ისა და Bankers Trust-ის საქმეზე სასამართლომ პირდაპირ აღნიშნა, რომ „ერთობლივი საწარმო" ამხანაგობს ფორმას წარმოადგენს.[133] ზოგი სასამართლო, კი პირდაპირ არ მიუთითებს, რომ „ერთობლივი საწარმო' ამხანაგობაა, თუმცა მიუთითებს, რომ სწორედ ამხანაგობის ჰიბრიდია, ზოგიც კი ახასიათებს მას, როგორც შეზღუდულ ამხანაგობას.[134] მეორე მოსაზრება აღიარებს „ერთობლივი საწარმოს" განსხვავებულ ბუნებას, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ დონეზე, იმაზე მითითებით, რომ ეს განსხვავებები შედეგობრივად არანაირ სამართლებრივ სხვაობას არ წარმოშობს და ამხანაგობასთან მსგავსების შესაბამისად, სწორედ ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები უნდა გავრცელდეს „ერთობლივ საწარმოზეც".[135] ხოლო, მესამე მოსაზრების თანახმად, ერთობლივი საწარმო არ წარმოადგენს ამხანაგობას. მართალია, „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას აქვთ საერთო მახასიათებლები და პრინციპები, მაგრამ ერთმანეთისაგან ცალკე მდგომ სამართლებრივ ინსტიტუტებს წარმოადგენენ, ამას მოწმობს განსხვავებები ამ ორ საწარმოს/საზოგადოებას შორის.[136] მართალია, დღეს უკვე სწორედ მესამე მოსაზრება, „ერთობლივი საწარმოს" როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტის არსებობაა აღიარებული მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, თუმცა იმისათვის, რომ კარგად იქნას გაგებული მისი სამართლებრივი მნიშვნელობა და სტატუსი აუცილებელია უფრო სიღრმისეულად იქნას განხილული მისი და ამხანაგობის ურთიერთმიმართება და მათ შორის არსებული განსხვავება და მსგავსება.

1.2.2.1. „ერთობლივი საწამროსა" და ამხანაგობის საერთო მახასიათებლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ერთობლივი საწარმოს" ორი ძირითადი ფორმა არსებობს - კორპორაციული და არაკორპორაციული „ერთობლივი საწარმო". კორპორაციული „ერთობლივი საწარმო" ძირითადად მაშინ გამოიყენება, როდესაც ბიზნეს ურთიერთობაში ინვესტორები მონაწილეობენ, შესაბამისად სხვადასხვა მიზეზების გამო, ამჯობინებენ, რომ დააფუძნონ ორგანიზაცია

[133] საქმე ვრცლად ონლაინ იხ. https://www.courtlistener.com/opinion/1195479/paragon-bldg-corp-v-bankers-trust-co/.
[134] Weissburg B. A., Reviewing the Law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 Southern California Law Review 487 (1989-1990), January, 1990., 514.
[135] იქვე, 515.
[136] იქვე, 517.

კანონის შესაბამისად მოქმედი დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტის ფორმით. უფრო ხშირად კი ბიზნეს ორგანიზაციბი მიმართავენ მარტივ ფორმას, არაკორპორაციულ „ერთობლივ საწარმოს", რომელიც მარტოდენ ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება.[137] სწორედ, არაკორპორაციული „ერთობლივი საწარმო" არც თუ იშვიათად მიიჩნევა, რომ არის ამხანაგობის გამოვლინება და მისი ერთ-ერთი სახე. ზემოთ გაანალიზებული, „ერთობლივი საწარმოსა" და ამხანაგობის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისად მარტივია შემდეგი ძირითადი საერთო თვისებების გამოყოფა: 1) ორი ან მეტი პირის არაკორპორატიული გაერთიანება - აღნიშნული გულისხმობს, რომ მხარეებს მარტოდენ ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საწარმო დამატებითი ფორმალური რეგისტრაციისა და სხვა იმპერატიული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე; 2) პარტნიორთა/მხარეთა შიდა ურთიერთობების ხელშეკრულებით დარეგულირება, რაც გულისხმობს რომ მხარეები ხელშეკრულებით არეგულირებენ საწარმოს საქმანობის, ფუნქციონირების, შიდა ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებს, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შესაბამისად. ასეთი ტიპის საზოგადოებების შემთხვევაში, მხოლოდ იმ საკითხებთან მიმართებაში ხდება კანონის რეგულაციების გამოყენება საჭირო, რომლებიც მხარეებს არ დაურეგულირებიათ ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებით; 3) პარტნიორების/მხარეების მიერ ფულადი ან/და არაფულადი შენატანების განხორციელება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანების კაპიტალს. როგორც ამხანაგობაში, ისე „ერთობლივ საწარმოში" საზგადოების ქონებასთან მიმართებაში პარტნიორები/მხარეები წარმოადგენენ თანამესაკუთრეებს; 4)ორივე გაერთიანების საქმიანობას ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ბიზნეს, სავაჭრო ან/და სხვა ტიპის გარიგებების დადება/განხორციელება; 5)გაერთიანების მიზანს წარმოადგენს პარტიორთა მიერ მოგების მიღება, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს ფიდუციური ვალდებულებები. ამ მსგავსებაში იკვეთება ორი მთავარი დამახასიათებელი ელემენტი, როგორც „ერთობლივი საწარმოსათვის", ისე ამხანაგობისათვის - ფიდუციური მოვალეობები და მოგებისა და ზარალის გადანაწილება. ფიდუციური მოვალეობები განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს ორივე საზოგადოებისათვის, რადგან ერთობლივი საქმიანობის უმთავრეს მახასიათებელს და საფუძველს წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული ნდობა, რომ არა ის შეუძლებელი იქნებოდა ერთობლივი საქმიანობის განხორციელება. ამასთან, ფიდუციური მოვალეობები მოიცავს პარტნიორთა

[137] Chetwin C. M., Joint Ventures - A Branch of Partnership Law, 16 U. Queensland L.J. 256 (1991), 256.

კეთილსინდისიერებას, ერთგულებისა და გულისხმიერების ვალდებულებებს. სწორედ აღნიშნული ვალდებულებები უკრძალავს როგორც ამხანაგობის, ისე „ერთობლივი საწარმოს" პარტნიორებს იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის, მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს საერთო მიზნების განხორციელება და მიღწევა.[138] რაც შეეხება, მოგებისა და ზარალის ერთმანეთს შორის განაწილებას, აღნიშნული წარმოადგენს როგორც ამხანაგობის, ისე „ერთობლივი საწარმოს" საქმიანობის მიზანს. თუ ხელშეკრულებით მხარეები სხვაგვარად არ არეგულირებენ მოგებისა და ზარალის განაწილებას სპეციფიკურ ფორმას ერთმანეთში, მაშინ, ჩვეულებრივ, ორივე საზოგადოების შემთხვევაში პარტნიორებზე მოგება/ზარალი ნაწილდება თანაბრად[139]; 6) თითოეული პარტნიორი მესამე პირების წინაშე პასუხს აგებენ პერსონალურად, თუ პარტნიორთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.[140]

ხელშეკრულება წარმოადგენს, როგორც ამხანაგობის, ისე „ერთობლივი საწარმოს" საფუძველს. ამხანაგობისათვის, ამხანაგობის სამართალი და მომწესრიგებელი ნორმები, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ფორმალურ მხარეს და არ არის იმპერატიული, რადგან ძირითადად ამხანაგობასთან დაკავშირებული საკითხები სწორედ პარტნიორთა შორის დადებული ხელშეკრულებით რეგულირდება, ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები კი ძირითადად ისეთი საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენება, რომლებიც პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში არ რეგულირდება.[141] ზუსტად ანალოგიური სიტუაცია არის „ერთობლივი საწარმოს შემთხვევაშიც, მითუმეტეს, რომ „ერთობლივი საწარმოს" მომწესრიგებელი ნორმები ძალზე მწირია და ხშირად სწორედ ანალოგიის გამოყენება უწევთ სასამართლოებს, შესაბამისად სწორედ ხელშეკრულებაა ის უმთავრესი წყარო, რომლის შესაბამისადაც რეგულირდება „ერთობლივი საწარმოს" შიდა და გარე ურთიერთობები. ორივე შემთხვევაში, მხარეთა შორის იდება ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივი ხეშეკრულება, სადაც მოქმედებს, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, ისე ასეთი ტიპის საზოგადოებებისათვის განმსაზღვრელი კონტრაჰენტის თავისუფლად

---

[138] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham L Rev. 114 (1949), 119. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[139] იქვე, 119.

[140] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 143. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[141] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 375. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

არჩევის პრინციპი (Delectus Personarum), მხაარეები/პარტნიორები თავისუფალი ნების საფუძველზე განსაზღვრავენ თუ ვინ უნდათ სამომავლო ბიზნეს საქმიანობაში პარტნიორად და ასევე თავისუფალი ნებისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით დებენ „ერთობლივი საწარმოსა" თუ ამხანაგობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულების დადების მსგავსად „ერთობლივი საწარმოს" ხელშეკრულების დადებისას უპირველეს საფეხურს სწორედ სათანადო პარტნიორის არჩევა წარმოადგენს, რომლებიც შესაძლოა იყვნენ რგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, თუმცა, რა თქმა უნდა, გააჩნდეთ სათანადო ქმედუნარუანობა.[142] სწორედ ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობის დამყარების ნების გამოვლენის შედეგად დებენ მხარეები ამხანაგობისა თუ „ერთობლივი საწარმოს" ხელშეკრულებას, რომელშიც ისეთ სტანდარტულ, იდენტურ და ძირითად საკითხებს ითვალისწინებენ, როგორებიცაა : პარტნიორთა შენატანები, საზოგადოების საქმიანობა, საზოგადოების მიზანი, მხარეთა ვალდებულებები და სხვა.[143] ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" მსგავსებაზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს ის უმთავრესი ელემენტი, რომელიც თავად ამ ორი საწარმოს დეფინიციაში იკითხება. ეს არის ერთობლივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი თვისება, რომ მხარეები/პარტნიორები ბიზნეს საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოშობილ მოგებასა და ზარალს თანაბრად ინაწილებენ. აღნიშნული მახასიათებელი, ორივე საზოგადოების შემთხვევაში წარმოადგენს მხარეთა ჩანაფიქრის გამოხატულებას, რომ მოქმედებდნენ როგორც თანამესაკუთრეები და სოლიდარული მოვალეები.[144]

ამასთან, უმთავრეს მსგავსებას „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის წარმოადგენს პარტნიორთა როგორც შიდა ისე მესამე პირებთან ურთიერთობები.[145] ცხადია, როგორც „ერთობლივ საწარმოში", ისე ამხანაგობაში პარტნიორთა ურთიერთობის მთავარი საყრდენი არის ურთიერთ ნდობა, რომ არა ის, საერთოდაც ვერ ჩამოყალიბდებოდა ასეთი ტიპის საზოგადოება. შესაბამისად, ორივე ტიპის საწარმოს/გაერთიანების

---

[142] Ashby S. R., Russel R., Partnership Agreements, 27 Tenn. L. Rev. 165 (1960), Queen Mary University of London, 166.

[143] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 144. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[144] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham L Rev. 114 (1949), 123., 124. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[145] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham L Rev. 114 (1949), 145. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

საფუძველს წარმოადგენს პარტნიორთა ფიდუციური მოვალეობები, რომელთაგან უმთავრესია ერთგულებისა და გულმოდგინების მოვალეობა.[146] შესაბამისად, „ერთობლივ საწარმოში" მხარეთა შიდა ურთიერთობები ისევე რეგულირდება, როგორც ამხანაგობაში და ისინი ერთმანეთის მიმართ მოქმედებენ ნდობისა და ერთგულების პრინციპზე დაყრდნობით და საერთო ინტერესებისთვის, თითოეული პარტნიორი ისევე ითვალისწინებს სხვა პარტნიორების ინტერესებს, როგორც საკუთარს ერთობლივი საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად ვერცერთი წევრი ვერ მიიღებს სხვა წევრების ხარჯზე და მათგან დამოუკიდელბად რაიმე სახის განსხვავებულ მოგებას.[147] მსგავსებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ერთობლივი საწარმო" დღეს უკვე აღიარებულია დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტად, კანონით ფაქტობრივად არ არის რეგულირებული მისი როგორც შიდა, ისე გარე ურთიერთობები, მეტიც „ერთობლივი საწარმოს" დეფინიციაც კი არ არის ჩამოყალიბებული და ძირითადად მაინც სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეა შესაძლებელი მისი ბუნების გაგება და გაანალიზება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ კანონებში ხშირად „ერთობლივი საწარმო" მოიაზრება ამხანაგობის ქვეშ, მაგალითად, აშშ-ს „Internal Revenue Code" - ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობა, ამხანაგობის დეფინიციაში მოიაზრებს „ერთობლის საწარმოს", ხოლო ერთიანი პარტნიორობის აქტი (Uniform Partnership Act) საერთოდ არ ახსენებს „ერთობლივ საწარმოს".[148] შესაბამისად, დღესაც არსებობს პრობლემები ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" ინსტიტუტის ერთმანეთისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს სამართალი აღიარებს ერთობლივი საწარმოს დამოუკიდებელ ინსტიტუტად არსებობას, ზემოთ ჩამოთვლილი მრავალი მსგავსების გამო, ის მაინც აღიქმება როგორც „ფსევდო ამხანაგობა", რაც გულისხმობს იმას, რომ „ერთობლივი საწარმოს" ირგვლივ წამოჭრილი დავები რეგულირდება ამხანაგობის ნორმებითა და პრინციპებით.[149] მითუმეტეს მაშინ, როდესაც ზედაპირულად თუ შევხედავთ მართლაც ძალიან ჰგავს ეს ორი სამართლებრივი ფორმა ერთმანეთს, რადგან ორივე მათგანი მარტოდენ ხელშეკრულების საფუძველზე იქნბება, ორივე მათგანი არაკორპორაციულია, ორივე მათგანი მოითხოვს საზოგადოებაში

---

[146] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 147. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[147] Queen Mary University of London, Joint Venture or Partnership, 18 Fordham L Rev. 114 (1949), 123. ონლაინ იხ. https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol18/iss1/7/

[148] იქვე, 125.

[149] Weissburg B. A., Reviewing the Law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 Southern California Law Review 487 (1989-1990), January, 1990., 488.

მინიმუმ ორი პარტნიორის არსებობას, ორივე მათგანის თითოეული მხარე ახორციელებს შენატანებს და ორივე მათგანი იქმნება საერთო მოგების მისაღებად.[150] შესაბამისად, თუ თითოეულ ჩამოთვლილი კომპონენტი არ გავაანალიზდება მხარეების სურვილებთან და მიზანთან მიმართებაში, მართლაც ორ იდენტურ საზოგადოებას მივიღებთ, შესაბამისად საერთოდ აღარ იქნება საჭირო „ერთობლივი საწარმოს" როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტის არსებობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია კარგად გაანალიზდეს ძირითადი განსხვავებები „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის.

1.2.2.2. განსხვავება „ერთობლივი საწამროსა" და ამხანაგობას შორის

მიუხედავად ზემოაღნიშნული მრავალი მსგავსებისა, განსხვავება „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის მკაფიოა და სწორედ ეს განსხვავებები განსაზღვრავს თითოეული მათგანის სამართლებრივ რაობასა და ბუნებას. რთულია, მათ შორის განსხვავების ძიება მათი დეფინიციების დონეზე, რადგან „ერთობლივი საწარმოს" ერთიანი კოდიფიცირებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა მისი მნიშვნელობა თანხვედრაშია ამხანაგობის დეფინიციასთან, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი პირის მიერ ბიზნესის ერთობლივად განხორციელებას საერთო მოგების მიღების მიზნით, სადაც ისინი მოიაზრებიან, როგორც თანამესაკუთრეები. ამხანაგობის დეფინიცია იმდენად ფართოა, არ არის გასაკვირი, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ „ერთობლივი საწარმოს" არამედ მრავალი სხვა გაერთიანების მახასიათებლებსაც.[151] ძირითად განსხვავებებს „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის წარმოადგენს შემდეგი მახასიათებლები : 1) „ერთობლივ საწარმოს" უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს მისი შექმნა ერთჯერადად ან სპეციალური შემთხვევისათვის.[152] აღნიშნული მახასიათებელი გულისხმობს, რომ „ერთობლივი საწარმო" ძირითადად იქმნება ერთი კონკრეტული ტრანზაქციის/ბიზნეს გარიგების განსახორციელებლად და არა განგრძობადი და მრავალჯერადი ბიზნეს საქმიანობისათვის.[153] სასამართლოები „ერთობლივი საწარმოს" დახასიათებისას და

---

[150] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 Caliornia. Law Review 860 (1950), 862.

[151] იქვე, 861.

[152] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 150. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[153] იქვე, 151.

ამხანაგობისაგან გამიჯვნისას სწორედ ე.წ. „ერთჯერადი ტრანზქციის" ელემენტს იყენებენ. სასამართლოთა გარკვეული ნაწილი აღიარებს ამ ელემენტის მნიშვნელობას „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში, თუმცა მიიჩნევს, რომ ამხანაგობის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს.[154] ზოგ შემთხვევაში კი სწორედ ამ უმთავრესი განსხვავების საფუძველზე მიიჩნევა, რომ „ერთობლივი საწარმო" არ ექცევა ამხანაგობის სამართლის რეგულირების სფეროში. აღნიშნული მახასიათებელი ცალსახად არ ზღუდავს „ერთობლივ საწარმოს" თუ რამდენი ბიზნეს გარიგება/ტრანზაქცია უნდა განახორციელოს და რა პერიოდის განმავლობაში უნდა ახორციელებდეს საქმიანობას. შესაძლოა, სწორედ ერთჯერადი ბიზნეს ტრანზაქციის განხორციელებს მიზნით „ერთობლივმა საწარმომ" მრავალი ბიზნეს გარიგება დადოს მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა მთავარი განმსაზღვრელი ისაა თუ რა მიზანს ისახავენ მხარეები - სურთ განგრძობადი ბიზნეს საქმიანობის განხორციელება თუ მათ მიზანს წარმოადგენს ერთი ბიზნეს ტრანზაქციის განხორციელება, რის შემდეგაც შეწყვეტენ საქმიანობას.[155] 2) „ერთობლივი საწარმოს" ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს, აღნიშნული საწარმოს მხარეების თავისუფლად განსაზღვრა, აღნიშნულში კი მოიაზრება, რომ თუ ამხანაგობაში ადრე შეუძლებელი იყო მეწარმე სუბიექტების/კორპორაციების გაერთიანება, ეს აკრძალვა „ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში არ არის რელევანტური და კორპორაციებს თავისუფლად შეუძლიათ შექმნან როგორც სახელშეკრულებო, ისე კორპორაციული „ერთობლივი საწარმო".[156] 3) აღნიშნულ საზოგადოებებში ერთ-ერთ განსხვავებას წარმოადგენს ასევე საზოგადოების მართვა, თუ ამხანაგობისთვის დამახასიათებელია ერთობლივი მმართველობა, მართალია ეს დამახასიათებელია ასევე „ერთობლივი საწარმოსათვის" თუმცა უფრო შეზღუდულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ თითოეული მხარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მართავდეს საწარმოს და არ იყოს დამოკიდებული სხვებზე.[157] ამასთან, რაც შეეხება ერთობლივ მმართველობას, მართალია, ის ორივე საწარმოსთვისაა დამახასიათებელი, თუმცა სხვადასხვა მნიშვნელობით. ამხანაგობის

---

[154] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 373. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

[155] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 Caliornia. Law Review 860 (1950), 863.

[156] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 151. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[157] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 153. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

შემთხვევაში მხარეები მოქმედებენ როგორც თანამესაკუთრეები/თანადამფუძნებლები ან/და პრინციპალები/დირექტორები, შესაბამისად თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს საწარმოს მართვაში მონაწილეობის უფლებამოსილება, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამხანაგობაში არსებობდეს პირები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას საზოგადოების მართვაში, ანუ ის ფაქტი, რომ მხარეები წარმოადგენენ თანადამფუძნებლებს თავისთავად არ გულისხმობს უპირობო მმართველობით უფლებამოსილებას. რაც შეეხება „ერთობლივ საწარმოს" ასეთი საზოგადოებისთვის განმსაზღვრელია სწორედ ერთობლივი მმართველობა და თითოეული მხარის ჩართულობა საწარმოს მართვაში.[158] 4) როგორც „ერთობლივი საწარმოს", ისე ამხანაგობის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს მოგების მიღების მიზანი და რისკების/ვალების გადანაწილება, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ თითოეული პარტნიორის/მხარის უმთავრეს მიზანს, სწორედ რომ მოგების მიღება წარმოადგენს. თუმცა აქაც შეინიშნება მცირედი განსხვავება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად „ერთობლივი საწარმო" შესაძლოა შეიქმნას არა მხოლოდ მოგების მიღების, არამედ სოციალური მიზნითაც, მთავარია, რომ ერთობლივად ახორციელებდნენ მხარეები ამ მიზანს.[159] თუმცა, აღნიშული არ წარმოადგენს მთავარ განმასხვავებელ ნიშანს, რადგან დღეს სწორდ მოგებისა და ზარალის გადანაწილების მიზნით იქმნება, როგორც ამხანაგობა, ისე „ერთობლივი საწარმო". 5)ერთ-ერთ განმასხვავებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ კონტრაჰენტის თავისუფლად არჩევის პრინციპის (Delectus Personarum) მნიშვნელობა თითოეულ საზოგადოებაში. ამხანაგობისათვის აღნიშნული პრინციპი განმსაზღვრელი და ძალზე მნიშვნელოვანია, ხოლო „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში, მართალია აღნიშნული პრინციპი მოქმედებს, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ეს ამხანაგობისთვისაა დამახასიათებელი. აღნიშნულის მიზეზი მდგომარეობს თავად „ერთობლივი საწარმოს" ბუნებასა და მის ე.წ. მისიაზე, რომელშიც მოიაზრება მისი კონკრეტული ერთჯერადი ტრანზქციის განხორციელების მიზანი. ცალსახაა, რომ ერთჯერადი საქმიანობის მიზნებისთვის აღნიშნული პრინციპი ვერ იქნება იმდენად განმსაზღვრელი, რამდენადაც მრავალჯერადი და გრძელვადიანი ურთიერთობებისთვისაა.[160] აღნიშნული არ მოიცავს პარტნიორების ფიდუციურ მოვალეობებს, რომლებიც ორივე ტიპის

[158] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 Caliornia. Law Review 860 (1950), 862.

[159] Walter H. E. Jaeger, Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961), 153. ონლაინ იხ.https://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol37/iss2/3/?utm_source=scholarship.law.nd.edu%2Fndlr%2Fvol37%2Fiss2%2F3&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages

[160] იქვე, 156.

საზოგადოებაში ერთნაირად განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანია. თუმცა, ერთ-ერთი მოსაზრებით, ვინაიდან და რადგანაც „ერთობლივი საწარმო" არ ექცევა ამხანაგობის სამართლის მომწესრიგებელ ნორმებში, შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ მხარეებს ასეთი ტიპის საწარმოს შექმნისას შეუძლიათ საერთოდაც უარი თქვან ერთმანეთის მიმართ ფიდუციური მოვალეობების არსებობაზე, რაც სრულიად დასაშვებია.[161] აღნიშნული მიდგომა არ არის სწორი, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, „ერთობლივი საწარმოს" უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს მხარეთა ნდობასა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობის განხორციელება, ამ მახასიათებლის არსებობა კი შეუძლებელია ფიდუციური მოვალეობების გარეშე, შესაბამისად ამხანაგობის მსგავსად „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაშიც ეს მოვალეობები ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია. „ერთობლივ საწარმოსა" და ამხანაგობას შორის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მეწარმე სუბიექტების მონაწილეობის შესაძლებლობა თითოეულ მათგანში. ხშირად „ერთობლივი საწარმოს" თანადამფუძნებლებს წარმოადგენენ სწორედ დიდი და ბიზნეს ბაზარზე მოქმედი კორპორაციები, რომლებიც საერთო მიზნის განსახორციელებლად ერთიანდებიან. მაშინ როცა, ამხანაგობისთვის საკმაოდ უცხოა კორპორაციების გაერთიანება ასეთი სამართლებრივი სტრუქტურის მეშვეობით, მეტიც წლების წინ ასეთი რამის დაშვება შეუძლებელიც კი იყო და იკრძალებოდა კანონით.[162] ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებას შეიძლება წარმოადგენდეს ასევე საზოგადოების ფუნქციონირების შეწყვეტის საფუძველი. ამხანაგობის საქმიანობა წყდება რომელიმე პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება „ერთობლივ საწარმოს" მისი ერთ-ერთი თანადამფუძნებლის გარდაცვალება ერთობლივი საქმიანობის უპირობი შეწყვეტას არ იწვევს, თუმცა ასეთის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი უნდა იყოს მხარეთა ნება, სურთ თუ არა საქმიანობის გაგრძელება, ისევე როგორც ამხანაგობის შემთხვევაში შეიძლება იმოქმედონ პარტნიორებმა.[163] ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოზე" საუბრისას საინტერესოა ასევე თანამფლობელობის საკითხი პარტნიორებს შორის. ამხანაგობისთვის დამახასიათებელია, რომ ამხანაგობის ქონებაზე პარტნიორები წარმოადგენენ თანამესაკუთრეებსა და თანამფლოფელებს, რაც გულისხმობს ამხანაგობის

[161] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 386. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

[162] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 Caliornia. Law Review 860 (1950), 866.

[163] იქვე, 870.

ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკას, რომ თითიეული პარტნიორი უფლებამოსილია გამოიყენოს ამხანაგობის ქონება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგობის მიზნების განსახორციელებლად, მათ არ აქვთ უფლება საკუთარი თვითმიზნების მისაღწევად გამოიყენონ ქონება, რომელიც ეკუთვნის ამხანაგობას.[164] ამასთან, აღნიშნული თანასაკუთრების არსი გამომდინარეობს საზოგადოებისა და პარტნიორთა ურთიერთობების სპეციფიკიდან, თანაბრად გაინწაილონ მოგება და ზარალი/ხარჯი.[165]თანამფლობელობა მოიცავს პარტნიორების შემდეგ უფლებებს: ა) პარტნიორთა თანასწორუფლებიანობა - თითოეული მათგანი ფლობდეს ამხანაგობის ქონებას საერთო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ბ)ქონების გადასახადების ჩამოწერა და გამორიცხვა ქვრივებისათვის, მემკვიდრეებისათვის, უახლოესი ნათესავებისათვის, გ)მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა ყველა პარტნიორის თანხმობის გარეშე, დ) საზოგადოებიდან გათავისუფლება და აღსრულება ქონებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავა მიმდინარეობს ამხანაგობის წინააღმდეგ და ე)პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებები გადადის დანარჩენ პარტნიორებზე. ბოლო სამი პრინციპი შეიძლება ითქვას, რომ არ არის დამახასიათებელი „ერთობლივი საწარმოსათვის". მაგალითად, მოთხოვნის დათმობის უფლების შემთხვევაში, აღნიშნული ამხანაგობაში ემყარება პარტნიორთა ფიდუციურ მოვალეობებს, რომელშიც მოიაზრება რომ მათ არ უნდა დაუშვან ხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე დაუთმონ მოთხოვნები მესამე პირებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე ფიდუციური მოვალეობები ნაკლები ხარისხით ვლინდება „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში, შესაბამისად მოთხოვნის დათმობა ასეთ საწარმოში შესაძლოა ბევრად მარტივად იქნას განხორციელებადი.[166] ამასთან, აღნიშნული ორი საზოგადოების განმსახვავებელ ნიშნებზე საუბრისას სასამართლოები ყოველთვის ხაზს უსვამენ „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკურ ბუნებას, რაშიც მოიაზრება, რომ ასეთი ტიპის საზოგადოება იქმნება ისეთი განსაკუთრებული ბიზნეს გარიგების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებლად საჭიროებს აღჭურვილობისა და სათანადო უნარების გაერთიანებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი ვერ მიიღწევა.[167] აღნიშნულ სპეციფიკასა და განსაკუთრებულ ბუნებაში მოიაზრება მსხვილი და

---

[164] Edward Merrill S., Partnership Property and Partnership Authority under the Revised Uniform Partnership Act, 49 Bus. Law. 83 (1993), 84.

[165] Pepper W. G., Partnership Property, 46 Am. L. Reg. 295 (1898), Queen Mary University of London, 295.

[166] Miller G. W., The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 Caliornia. Law Review 860 (1950), 873.

[167] Flannigan, R., The Legal Status of the Joint Venture, Alberta Law Review, 46(3), 713, 721. ონლაინ იხ. https://www.albertalawreview.com/index.php/ALR/article/view/223

მასშტაბური ბიზნეს გარიგებები და ტრანზაქციები, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობს.

ზემოაღნიშნული, განსხვავებული მახასიათებლებით შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ორ სხვადასხვა და ცალკე მდგომ ინსტიტუტთან გვაქვს საქმე, თუმცა რეალობაში სადაც საჭიროა, რომ „ერთობლივი საწარმო" გარკვეული სამართლებრივი დარგის რეგულაციის ქვეშ მოექცეს, საკმაოდ რთულია გადაწყვეტა თუ რომელი კანონმდებლობა უნდა გავრცელდეს მასზე. ამ კუთხით არსებობს რამდენიმე მოსაზრება: 1) ერთობლივი საწარმო უნდა მოექცეს სახეშეკრულებო სამართლის რეგულირების სფეროში; 2) ერთობლივი საწარმო უნდა მოექცეს ამხანაგობის სამართლის სფეროში; 3) აუცილებელია ახალი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკას მიესადაგება. იმდენად აქტუალური გახდა ამ თემაზე დისკურია, რომ ჩატარდა მრავალი კვლევა აღნიშნულ საკითხზე. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის შედეგად დასახელდა „ერთობლივი საწარმოს" სამი ფორმა: 1) „ერთობლივი საწარმო", რომლის მიზანიცაა განცალკევებული, დისკრეტული პროექტების განხორციელება და რომელზეც არ ვრცელდება ამხანაგობის სამართლის მომწესრიგებელი ნორმები, 2) „ერთობლივი საწარმო", რომლის მიზანიცაა განცალკევებული, დისკრეტული პროექტების განხორციელება და რომელიც ექცევა ამხანაგობის სამართლის რეგულირების სფეროში, და 3) „ერთობლივი საწარმო", რომლის მიზანიც არ არის განცალკევებული, დისკრეტული პროექტების განხორციელება და რომლებზეც მიუხედავად ამისა არ ვრცელდება ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები.[168] თუმცა ასეთი დაყოფა კიდევ უფრო ართულებს პრობლემას და გაურკვეველს ხდის თუ რომელი სამართლის რეგულირების სფეროში უნდა მოექცეს ზოგადად „ერთობლივი საწარმო". მითუმეტეს, რთულადაა საკითხი მაშინ, როდესაც საქმე ეხება მესამე პირებსა და საწარმოს შორის ურთიეერთობას, რა შემთხვევაშიც შეუძლებელია მარტოდენ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დარეგულირდეს საწარმოსა და მესამე პირებს შორის ურთიერთობა, ამ დროს საჭიროა არსებობდეს კანონის ნორმები, რომლებიც გავრცელდება აღნიშნულ ურთიერთობებზე, თუმცა საკითხავია - უნდა იყოს ეს ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები?, საკორპორაციო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები?, სახელშეკრულებო სამართლის ნორმები?, თუ რაიმე ახალი კონკრეტულად „ერთობლივ საწარმოზე" მორგებული ნორმათა

[168] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 383. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

ერთობლიობა?[169] დღეს ახალი ცალკე მდგომი სამართალი, რომელიც დაარეგულირებს კონკრეტულად „ერთობლივ საწარმოს" არ არსებობს და მის ირგვლივ წამოჭრილი დავები ძირითადად ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით წყდება. რაც შეეხება საკორპორაციო სამართლის ნორმებს ის სახელშეკრულებო „ერთობლივ საწარმოებზე" ვერ გავრცელდება. შესაბამისად, გამოსავალს წარმოადგენს სწორედ ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება საწარმოსა და მესამე პირებს შორის არსებული ურთიერთობების ნაწილში.[170] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა „ერთობლივი საწარმოს" მიმართ გამოყენებულ იქნას ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები, რადგან მას ხშირად მოიხსენებენ როგორც „დროებით ამხანაგობას", აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა მაინც დამოუკიდებელ სამართლის ინსტიტუტად განიხილავს „ერთობლივ საწარმოს" მისი განსაკუთრებული და სპეციფიკური ბუნებისა და მახასიათებლების გამო.[171] მიუხედავად ასეთი მიდგომებისა აშშ-ს სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო და უფრო ხშირდება საუბარი „ერთობლივი საწარმოს", როგორც ამხანაგობისაგან სრულიად დამოუკიდებელი ბიზნეს სუბიექტად აღიარების საჭიროებაზე. აღნიშნული თემის აქტუალურობა კი გამოიწვია კომერციული ურთიერთობების განვითარების ტემპმა და მიღწევებმა, სადაც მსხვილი ბიზნეს მეწარმე სუბიექტები იღწვიან გამარტივებული ხერხებით მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგებს, რისთვისაც საჭიროა სწორედ ისეთი ბიზნეს მექანიზმის ჩამოყალიბება და არსებობა, როგორიცაა „ერთობლივი საწარმო", რომელიც გულისხმობს ფიზიკური თუ იურიდიული პირების გაერთიანებას საერთო და ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებული ტრანზაქციის განხორციელებისა და საერთო მოგების მიღების მიზნით, რისთვისაც ისინი აერთიანებენ კაპიტალს, ცოდნას, თანხებს, გამოცდილებას თუ სხვა რესურსებს, მაგრამ ამ ყოველივეს ისინი ახორციელებენ ამხანაგობის ჩამოყალიბების გარეშე ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.[172]

გარკვეულწილად, ამხანაგობასა და „ერთობლივი საწარმოს" შორის არსებული მრავალი მსგავსების გამო შესაძლოა აღნიშნული საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები საერთო იყოს, თუმცა არასწორია „ერთობლივი

---

[169] Flannigan, R. Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013), 389. ონლაინ იხ. https://ssrn.com/abstract=2364141

[170] იქვე, 389.

[171] Chetwin C. M., Joint Ventures - A Branch of Partnership Law, 16 U. Queensland L.J. 256 (1991), 257.

[172] Flannigan, R., The Legal Status of the Joint Venture, Alberta Law Review, 46(3), 713, 723. ონლაინ იხ. https://www.albertalawreview.com/index.php/ALR/article/view/223

საწარმოს” განსაკუთრებული ხასიათის და ბუნების უგულებელყოფა და მისი ამხანაგობის ნაწილად მიჩნევა. მხარეების მიზანს „ერთობლივი საწარმოს” ჩამოყალიბებისას წარმოადგენს არა ამხანაგობის ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეული იმპერატიული რეგულაციების ქვეშ ექცევა, არამედ დამოუკიდებელი სპეციფიკური საწარმოს შექმნა, რომელიც მასშტაბურ პროექტს განახორციელებს და დამკვიდრდება შიდა და საერთაშორისო ბაზარზე. დღეს არსებული მოცემულობით, იქედან გამომდინარე, რომ „ერთობლივი საწარმოს” განმსაზღვრელ მახასიათებელს მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს, სახელშეკრულებო სამართლის ნორმების გავრცელება აღნიშნულ ურთიერთობაზე რელევანტურია, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაშიც აუცილებელია „ერთობლივი საწარმოს” სპეციფიკის გათვალისწინება, რადგან ასეთი ტიპის გაერთიანება მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი საწარმო, დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტი, რომლის საპროცესოუნარიანობა სრულად აღიარებულ უნდა იქნას და რომლის ირგვლივ წამოჭრილი დავებიც სწორედ მისი სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა დარეგულირდეს და გადაწყდეს.

IV. „ერთობლივი საწარმო" ქართულ სამართლებრივ სივრცეში

დღევანდელი ქართული სამართალი არ იცნობს „ერთობლივი საწარმოს" როგორც დამოუკიდებელი სამართლის სუბექტის ინსტიტუტს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ქართულის საკანონმდებლო სივრცე არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რასაც „ერთობლივი საწარმოს" შექმნით ახორციელებენ მხარეები, ანუ ორი ან მეტი პირის გაერთიანებას საერთო მოგების მიღების მიზნით და ზარალის თანაბრად განაწილებით. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად ქართული კანონმდებლობა იცნობს ამხანაგობის ინსტიტუტს, სხვა სახის ერთობლივ საქმიანობასა და ერთობლივი საქმიანობის ფორმას - სინდიკატს[173]. იმ პირობებში როდესაც საქართველო ცდილობს მხარი აუბას გლობალიზაციას, განავითაროს ეკონომიკა და მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კომერციულ ურთიერთობებში მეტად აქტუალურია დიდი ბიზნეს ორგანიზაციებისა და სუბექტების მიერ ერთობლივი საქმიანობის „ერთობლივი საწარმოს" ჩამოყალიბების გზით განხორციელება, ხომ არ არის საჭირო ქართულ კანონმდებლობაშიც გაჩნდეს ასეთი ინსტიტუტი?! იმისათვის, რომ მოცემულ საკითხს გაეცეს პასუხი, საჭიროა დახასიათდეს ქართული საკანონმდებლო სივრცისათვის დამახასიათებელი ერთობლივი საქმიანობის განხორციელების თითიეული დღეს არსებული ფორმა და შედარდეს წინამდებარე ნაშრომით განსახილველ „ერთობლივ საწარმოსთან".

1.1. ერთობლივი საქმიანობა - ამხანაგობა ქართულ კანონმდებლობაში

ქართული კანონმდებლობა იცნობს ერთობლივი საქმიანობის განხორციელების საკმაოდ მრავალფეროვან სპექტრს, რომელშიც მოიაზრება, როგორც იურიდიული პირები, ისე ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირები რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის წესების შესაბამისად და სავალდებულო რეგისტრაციით ენიჭება ლეგიტიმაცია სახელმწიფოს მხრიდან. რაც შეეხება ორგანიზაციებს, რომლებიც არ წარმადგენენ იურიდიულ პირებს ისინი წარმოადგენენ არარეგისტრირებულ გაერთიანებებს. ქართული კანონმდებლობა

[173] ვრცლად იხ. გვ 63-67.

არარეგისტრირებული გაერთიანების რამდენიმე სახეს იცნობს, ესენია: ერთოვლივი საქმიანობა- ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი - გაერთიანება და ბინამესაკუთრეთა ამხანაგობა.[174] იქედან გამომდნარე, რომ არარეგისტრირებული კავშირი იქმნება არასამეწარმეო მიზნებისათვის და მის საქმოანობის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება, მისი შედარება „ერთობლივ საწარმოსთან" არ არის რელევანტური. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის განხილულ უნდა იქნას ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ფორმით განხორციელება რომელიც, რა თქმა უნდა აშშ-ს სამართლისათვის დამახასიათებელი ამხანაგობისაგან გარკვეული განსხვავებებით ხასიათდება.

ტერმინი „ამხანაგობა" შეუძლება თქვას, რომ ქართული კანონმდებლობისთვის შედარებით ახალია. ჯერ კიდევ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსში მას ეწოდებოდა საერთო საქმიანობის ხელშეკრულება. თუმცა, 1997 წლის კოდექსში აღნიშნული ორგანიზაციის სახელწოდება გვევლინება ორი ცნებით : ერთობლივი საქმიანობა და ამხანაგობა, იქედან გამომდინარე, რომ ორივე მათგანი იდენტური მნიშვნელობისაა და იდენტურ შინაარს ატარებს ასეთი სახელწოდება გასაკვირი არ არის.[175] სსკ-ს 930-ე მუხლით განსაზღვრულია ამხანაგობის დეფინიცია, რომლის შესაბამისადაც, ასეთი ტიპის ორგანიზაცია წარმოადგენს პირთა პერსონალურ გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად.[176] აღნიშნული დეფინიციიდან იკვეთება ამხანაგობის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია აშშ-ს სამართლის ამხანაგობისათვის, კერძოდ ესენია - 1) პირთა გაერთიანება მარტოდენ ხელშეკრულების საფუძველზე; 2)გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა პარტნიორებს შორის, რაშიც აშშ-ს სამართლის მსგავსად იგულისხმება არა ამხანაგობის არსებობის ვადა, არამედ ის ფაქტორი, რომ ამხანაგობის პარტნიორები ამხანაგობის მიზნის მისაღწევად მრავალჯერად მოქმედებებს ახორციელებენ[177] და განგრძობად საქმიანობას ისახავენ მიზნად; 3) ამხანაგობისთვის

---

[174] ბურდული ი., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 39, 24 დეკემბერი, 2017წ., ონლაინ იხ. http://civilcode.ge/index.php?title=39

[175] ნინუა ე., „ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., გვ.34.

[176] რობაქიძე ი., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ., გვ.2., ველი-2. ონლაინ იხ. www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxv-ერთობლივი-საქმიანო/მუხლი-930/

[177] რობაქიძე ი., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ., გვ.2., ველი-4, ონლაინ იხ. www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxv-ერთობლივი-საქმიანო/მუხლი-930/

დამახასიათებელ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს საერთო მიზნის არსებობა, რაც გულისხმობს რომ ასეთი საზოგადოების პარტნიორები იღწვიან არა პერსონალური არამედ საერთო მიზნის მისაღწევად და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ახორციელებენ მრავალჯერად მოქმედებებს.[178] რა შეიძლება იყოს ამხანაგობის მიზანი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემოსაზღვრული არ არის, შესაბამისად საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა მიუხედავად ამისა არსებობს გარკვეული მიზნები, რომლებიც ვერ იარსებებს ამხანაგობის შემთხვევაში, მაგალითად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზანი, რა შემთხვევაშიც ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი პირი დაკვალიფიცირდება მეწარმე სუბიექტად[179] მართალია, წევრებს შეუძლიათ დაისახონ სხვა ნებისმიერი მიზანი და იღწვოდნენ სწორედ ამ მიზნების განხორციელებისათვის, თუმცა მთავარია, რომ ეს იყოს საერთო მიზანი და არა რომელიმე ერთი ან რამდენიმე წევრის თვითმიზანი და ინტერესი[180]; 4) ამხანაგობის უმთავრეს სპეციფიკურობას, აშშ-ს სამართალის მსგავსად, წარმოადგენს მისი პერსონალური ბუნება, რაშიც მოიაზრება, რომ ამხანაგობა მთლიანად დამოკიდებულია მის წევრების არსებობაზე, ამას მოწმობს ისიც, რომ რომელიმე პირის გარდაცვალება ან გასვლა ამხანაგობიდან იწვევს თავად ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას, თუ მხარეები ხელშეკრულებაში განსხვავებულ წესებზე არ შეთანხმდებიან.[181] გარდა ჩამოთვლილი მახასიათებლებისა, ისევე როგორც აშშ-ს სამართალში ქართულ სამართალშიც ამხანაგობის მხარეებისათვის დამახასიათებელია პარტნიორებს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა, მათი თანასწორუფლებიანობა და ფიცუდიცირი მოვალეობები[182]. ამასთან, მის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს მარტოდენ ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიული პირის შეუქმნელად მისი ჩამოყალიბება. უმთავრეს საერთო მახასიათებელს წარმოადგენს ასევე, შენატანების განხორციელების ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოების თითიეული მხარე ვალდებულია განახორციელოს შენატანი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ბუნების. მხარეები თავად განსაზღვრავენ შენატანების განხორციელების წესს,

---

[178] იქვე, გვ.3., ველი-6.

[179] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი 2011, გვ.281.

[180] ნინუა ე., „ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., გვ.13.

[181] რობაქიძე ი., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ., გვ.3., ველი-6, ონლაინ იხ. www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxv-ერთობლივი-საქმიანო/მუხლი-930/

[182] იქვე, გვ.3., ველი-20.

პროპორციულობას და ყველა დეტალს, თუმცა მაშინ, როდესაც ისინი აღნიშნულ საკითხზე ხელშეკრულების ფარგლებში არ თანხმდებიან, შენატანები შეაქვთ თანაბარწილად და შესაბამისად, შენატანი წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას, ისევე როგორც ეს აშშ-ს სამართალში დამახასიათებელია ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოსათვის".[183] ასევე, აბსოლიტურად იდენტურია ქართულ კანონმდებლობაში ამხანაგობის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის ნაწილი. სსკ-ს შესაბამისად, თუ მხარეები ამხანაგობის ხელშეკრულებაში რაიმე განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდებიან ისინი ერთობლივად ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას. თითოეული წევრი უფლებამოსილია გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში და მიიღოს ამხანაგობის მართვაში მონაწილეობა.[184] ასევე მსგავსი წესია შემოსავლებისა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ნაწილდება მათ საკუთრებაში არსებული წილების შესაბამისად.[185]

ყველაზე დიდი მსგავსებას, ქართულ ამხანაგობასა და აშშ-ს სამართლისათვის დამახასიათებელ ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" შორის წარმოადგენს საზოგადოების წევრებს შორის დადებული ხელშეკრულების თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მთავარი ხიბლს თითოეული ჩამოთვლილი საზოგადოების შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ ხელშეკრულების დადება არის საკმარისი გაერთიანების ჩამოსაყალიბებლად, ხელშეკრულების, რომელიც შესაძლოა დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. ქართულ ამხანაგობას საფუძვლად უდევს სრული სახელშეკრულებო ავტონომია, რაც გულისხმობს, რომ მხარეები ყველა საკითზე თანხმდებიან თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთმანეთს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. ანუ ისინი ნებისმიერ საკითხს სწორედ ხელშეკრულებით არეგულირებენ.[186] აღნიშნული, აბსოლუტურ მსგავსებაში მოდის აშშ-ს ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" კონცფციასთან, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა საკითხი სწორედ ხელშეკრულებით რეგულირდება და კანონის მოშველიება მხოლოდ მაშინ ხდება საჭირო, როდესაც მხარეები გარკვეულ საკითხებს არ ათანხმებენ ხელშეკრულების ფარგლებში. ასეა ქართულ სამართალშიც, რასაც მოწმობს ამხანაგობის შესახებ ნორმათა დისპოზიციურობა, რაც სწორედ

[183] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი 2011, 283.

[184] იქვე, 283.

[185] იქვე, 285.

[186] იქვე, 281.

ზემოაღნიშნულ სრულ ავტონომიურობას შეესაბამება.[187] უდიდეს მსგავსებას ქართულ ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს", შორის წარმოადგენს თავად „ერთობლივი საწარმოს" მთავარი მახასიათებელი, რისთვისაც ის იქმნება, კერძოდ ის რომ ასეთი ტიპის საწარმო იქმნება მაშინ, როდესაც პირები ცალკე ვერ ახორციელებენ ასეთი ტიპის საქმიანობას საკმარისი რესურსის არარსებობის გამო, იქნება ეს პროფესიული, ტექნოლოგიური, ფულადი, თუ სხვა ნებისმიერი რესურსის ნაკლებობა. ქართული ამხანაგობის შემთხვევაშიც ასეა, მხარეები ევრ ახორციელებენ ცალ-ცალკე გარკვეულ საქმიანობას, თუმცა ძალების გაერთიანებისა და ერთობლივი საქმიანობის წამოწყებით მათ შეუძლიათ მიაღწიონ სწორედ ზემოხსენებულ ცალ-ცალკე დასახულ მიზნებს.[188] ასევე, მნიშვნელოვანია, პარალელი გაივლოს თავად „ერთობლივი საწარმოსა" და ამხანაგობის ხელშეკრულების საგანზე, თუ რა წარმოადგენს თითიეული მათგანისათვის დამახასიათებელ ხელშეკრულების საგანს. რა თქმა უნდა, ეს არის სწორედ ის მიზანი რისთვისაც მხარეები ერთიანდებიან[189] და რომლის მისაღწევადაც ქმნიან ისეთ ორგანიზაციას, როგორიცაა ამხანაგობა და „ერთობლივი საწარმო".

ზოგადად, შესაძლოა, გამოიყოს ამხანაგობის შემდეგი ფორმები: 1) სამეწარმეო ამხანაგობა, ანუ ასეთი ამხანაგობა არის ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოგების მიღება. ასეთი ტიპის ამხანაგობა არ არის დამახასიათებელი ამ ეტაპზე ქართული კანონმდებლობისთვის, თუმცა არც უცხოა, რადგან წლების წინ ქართული კანონმდებობა იცნობდა ამხანაგობის ასეთ ფორმას.[190] ამასთან, დღეს არსებობს ქვეყნები, რომლებიც იცნობენ ამხანაგობის მსგავს ფორმას; 2) ჩვეულებრივ ქართული კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი ამხანაგობა, რაც გულისხმობს მხარეთა ერთობლივ საქმიანობას საერთო მიზნების მისაღწევად; 3) ამხანაგობა ქველმოქმედების მიზნით. ქართული კანონმდებლობისათვის ნაცნობი ამხანაგობის შექმნის ერთ-ერთ მიზანს შესაძლოა ქველმოქმედებაც წარმოადგენდეს.[191] მაშინ, როდესაც აშშ-ს სამართალში ამხანაგობა იქმნება რამდენიმე პირის მიერ ბიზნესის განსახორციელებლად და სამეწარმეო საზოგადოებისაგან მხოლოდ პასუხისმგებლობის გადანაწილება

---

[187] იქვე, 282.

[188] ჩიტოშვილი თ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თავი ოცდამეხუთე, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001წ., 275.

[189] იქვე, 278.

[190] ვრცლად იხ. გვ.60-62.

[191] ნინუა ე., „ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 71.

განასხვავებს[192], ქართულ კანონმდებლობაში ამხანაგობის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს მისი არასამეწარმეო ბუნება, ანუ ასეთი ტიპის საზოგადოების მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, აღნიშნული არ გამორიცხავს ამხანაგობის მიერ სამეწარმეო მოქმედებების განხორციელებას თუმცა იმ პირობით რომ ის ემსახურება არასამეწარმეო მიზნის შესრულებას.[193] აღნიშნული ბუნებით ქართული ამხანაგობა ძალიან ჰგავს გერმანული და ფრანგული სამართლისათვის დამახასიათებელ ამხანაგობას. თუმცა, სწორედ ამ სპეციფიკით განსხვავდება ზემოხსენებული ამერიკული ამხანაგობისგან. ასევე განსხვავდება რუსული სამართლისაგან, რომელიც უშვებს ამხანაგობის ჩამოყალიბებას მოგების მიღების მიზნით.[194] ქართულ კანონმდებლობაში ამხანაგობა ძირითადად გამოიყენება სოციეტატების სახით, რაც გულისხმობს გარკვეული პროფესიის ადამიანების გაერთიანებას, რათა ერთმანეთს გაუზიარონ უნარები ან/და გაინაწილონ დანახარჯები (ერთი და იმავე პროფესიის წარმომადგენლები ერთად კისრულობენ რაიმე სახის გადასახდელების გადახდას).[195] ამ ნაწილში თითქოს ასეთი ტიპის ამხანაგობა მსგავსებაში მოდის „ერთობლივი საწარმოს" კონცეფციასთან, რომლის შესაბამისადაც ასეთი ორგანიზაციის დამახასიათებელ თვისებას სწორედ ხარჯების თანაბრად განაწილება წარმოადგენს, თუმცა „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში საბოლოოდ ამ ხარჯების თანაბრად განაწილებაც ემსახურება საერთო მოგების მიღების მიზანს, რაც ამხანაგობის შემთხვევაში სახეზე არ არის. ამასთან, ამხანაგობა ხშირად იქმნება კონსორციუმების ფორმით, რაც გულისხმობს ეკონომიკური მიზნით გარკვეული გაერთიანების ჩამოყალიბებას[196], ანუ ასეთი ტიპის საზოგადოებების მიზანი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარებაა. ვფიქრობ აღნიშნული ყველაზე მეტად მოდის თანხვედრაში „ერთობლივ საწარმოსთან" რომლის მიზანიც და საშუალებაც ხშირად სწორედ აღნიშნულის მსგავსია, მაგალითად მაშინ როდესაც ერთიანდება სხვადასხვა მეწარმე სუბიექტები და კონკრეტული ეკონომიკური მიზნით აერთიანებენ უნარებს და კაპიტალს, თუმცა ამ შემთხვევაშიც გამორიცხულია სამეწარმეო

---

[192] H. C. Cottrell, Partnership, Journal of the Institute of Actuaries (1886-1994), Vol. 93, No. 1 (JUNE 1967), Cambridge University Press on behalf of the Institute and Faculty of Actuaries, 92.

[193] რობაქიძე ი., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ., გვ.4., ველი 7, ონლაინ იხ. www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxv-ერთობლივი-საქმიანო/მუხლი-930/

[194] ნინუა ე., „ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 13.

[195] ჭანტურია ლ, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი" სახელმძღვანელო", გამომცემლობა „სამართალი", თბილისი 2011, 279.

[196] იქვე, 279.

მიზანი. ამასთან, კულტურული, საქველმოქმედო და მსგავსი ფონდებისათვის დამახასიათებელია სწორედ ამხანაგობის ფორმა, რადგან ასეთი გაერთიანების მიზანს წარმოადგენს, არა მოგების მიღება, არამედ გარკვეული უნარის, ნიჭის თუ სხვა თვისებებით დაჯილდოვებული ადამიანების დახმარება/დაფინანსება და სხვა.[197] ზემოთ განხილული აშშ-ს სამართლისათვის ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" ასეთი მიზნების განსახორციელებლად შექმნა არ არის დამახასიათებელი, რადგან აღნიშნული ორგანიზაციების დეფინიციაში არ მოიაზრება (დეფინიციაში ცალსახად არის განსაზღვრული მოგების მიღების მიზანი). თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ „ერთობლივი საწარმოს" დეფინიცია და სამართლებრივი ფორმა ჩამოყალიბებული არ არის შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ მიზნითაც შეძლონ მხარეებმა ასეთი სამართლებრივი ფორმის არჩევა. მთლიანობაში ზემოაღნიშნულ ამხანაგობის გამოვლინებებს თუ შევადარებთ „ერთობლივ საწარმოს" მართალია მსგავსება არის, თუმცა კონცეპტუალურად არსებობს სხვაობა ამ უკანასკნელსა და ქართული კანონმდებლობისათვის კარგად ნაცნობ ამხანაგობას შორის, მაშინ, როდესაც აშშ-ს სამართლის შესაბამისად მსგავსება უფრო მეტია ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" შორის ვიდრე განსხვავება. ზემოაღნიშნულიდან, ჩანს, რომ მართალია ქართული კანონმდებლობაში არსებული ამხანაგობის ინსტიტუტი ძალზე გავს „ერთობლივი საწარმოს" მრავალი ფაქტორით, იქნება ეს გაერთიანების ფორმა, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი, ნორმათა დისპოზიციურობა თუ სხვა რამ, თუმცა მიუხედავად ამდენი მსგავსებისა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რჩება ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, კერძოდ მოგების მიღების მიზანი. რა უნდა ქნან მხარეებმა, თუ სურთ, რომ იურიდიული პირის შეუქმნელად ან თუნდაც იურიდიული პირის შექმნით ჩამოაყალიბონ ისეთი საზოგადოება, რომლის მიზანიც იქნება მოგების მიღება და იმოქმედებენ თანასწორობის პრინციპის შესაბამისად მარტოდენ ერთმანეთში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე? ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, თუ მხარეებს სურთ მოგების მირება მათ უნდა შექმნან და ჩამოაყალიბონ მეწარმე სუბიექტი, მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, ხოლო თუ მათ არ სურთ იურიდიული პირის შექმნა, შესაბამისად არ უნდა ჰქონდეს მოგების მიღების და ზოგადად სამეწარმეო მიზნები, სხვა არასამეწარმეო მიზნებისათვის კი შეძლებენ გაერთიანდნენ ამხანაგობის ფორმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული სამართლისათვის დღეს უცხოა „ერთობლივი საწარმოს" ან მისი მსგავსი ინსტიტუტის არსებობა იმ კონცეფციითა და

[197] იქვე, გვ.279.

თავისებურებებით, როგორც ის არსებობს აშშ-სა და სხვა ქვეყნის სამართლებრივ სივრცეებში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მცდელობა მსგავსი ტიპის საზოგადოების არსებობისა არ არსებობდა და არც იარსებებს, მით უფრო დღევანდელ პირობებში, როდესაც საქართველო ინვესტორების მოზიდვასა და ეკონომიკის გაზრდაზეა ორიენტირებული და სწორედ, ბიზნეს/სამეწარმეო სამართლის დახვეწა და განვითარებაა პრიორიტეტი, მით უფრო, რომ საქართველოს ბაზრის გაზრდასა და განვითარებასთან ერთად ამავე ბაზარზე უკვე ხშირად გვხვდება უცხოური ორგანიზაციები განსახილველი „ერთობლივი საწარმოს" სამართლებრივი ფორმით.

1.1.1. სამეწარმეო ამხანაგობა

განსახილველი თემის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნას სამეწარმეო ამხანაგობის არსი და კონცეფცია, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ არსებობდა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი მეწარმე სუბიექტებში numerus clausus პრინციპის ფარგლებში მოიაზრებდა სამეწარმეო ამხანაგობას. თუმცა ამავე კანონის შესაბამისად ისევე როგორც ინდივიდუალური მეწარმე, არც სამეწარმეო ამხანაგობა წარმოადგენდა იურიდიულ პირს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის საზოგადოება არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, მისი რეგისტრაცია ისევე, როგორც სხვა მეწარმე სუბიექტების სავალდებულო იყო ასეთი ტიპის საზოგადოებისათვის ლეგიტიმაციის მისანიჭებლად, თუმცა განსხვავებით სხვა საზოგადოებებისაგან ის რეგისტრირდებოდა საგადასახადო ორგანოში. მნიშვნელოვანია, ისიც რომ კანონი უშვებდა შესაძლებლობას, სამეწარმეო ამხანაგობის წევრები ყოფილიყვნენ როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები. ისევე როგორც „ერთობლივი საწარმო", კანონით გათვალისწინებული იყო, რომ ასეთი საზოგადოების მიზანი, მისი ფუნქციონირებისა და დაარსების წესები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, საქმიანობის შეწყვეტის საკითხები და სხვა რეგულირდებოდა ხელშეკრულების საფუძველზე, სამოქალაქო სამართლის სახელშეკრულებო ნორმების შესაბამისად. რაც შეეხება მუხლის დეფინიციას, აღნიშნულის თანახმად თუ ამხანაგობა გადაწყვეტდა რეგისტრაციას, ის ექვემდებარებოდა არა სსკ-ს, არამედ სამეწარმეო სმართლის რეგულირების სფეროს. ჩნდება კითხვა, თუ რატომ შემოიტანა კანონმდებელმა მეწარმე სუბიექტების ორგანიზაციულ ფორმებში სამეწარმეო ამხანაგობა, რა მიზანს ემსახურებოდა კანონში ასეთი ცვლილების ასახვა, მაშინ, როცა 2008 წლამდე ამხანაგობა, როგორც გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა რეგულირდებოდა სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში. ამაზე პასუხს შესაძლოა წარმოადგენდეს, თავად ის

გარემოება თუ რა დროს და რა მიზნით იქმნებოდა ასეთი ტიპის საზოგადოება - სამეწარმეო ამხანაგობა იქმნებოდა მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში დაფუძნებული ამხანაგობის მიზანი გახდებოდა მოგების მიღება.[198] აღნიშნული ცვლილება გამოიწვია იმან, რომ სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში ამხანაგობის დაფუძნება მოგების მიღების მიზნით მხარეთა მიერ შეუძლებელი იყო. მართალია, იმ მახასიათებლით, რომ სამეწარმეო ამხანაგობაც საჭიროებდა რეგისტრაციას, თითქოს, ემსგავსებოდა სხვა მეწარმე სუბიექტებს, მაგრამ მეწარმე სუბიექტებისგან განსხვავებით, სამეწარმეო ამხანაგობის ფარგლებში მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდებოდა სრულიად სამოქალაქო სამართლის სახელშეკრულებო ურთიერთობების შესაბამისად. აღნიშნული მახასიათებლოთ იკვეთება ის სპეციფიკა რაც დღეს სწორედ „ერთობლივი საწარმოსთვისაა" დამახასიათებელი. მოგების მიღების მიზნისა (და არა იდეალური ან/და სამეურნეო მიზნები) და სახელშეკრულები ურთიერთობების კუმულაციურად არსებობა განასხვავებს დღეს ქართული სამართლისათვის ნაცნობ ამხანაგობასა და სამეწარმეო ამხანაგობას. დღესდღეობით, სამეწარმეო (კომერციული) ამხანაგობა ცნობილია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებისათვის, მათ შორისაა გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი და სხვა.[199] მაგალითად გერმანიის სამართალი იცნობს ორი სახის ამხანაგობას, სრული ამხანაგობა (OHG) და კომანდიტური ამხანაგიბა (KG).[200] სრული ამხანაგობა წარმოადგენს ამხანაგობას დღევანდელი ქართული კანონმდებლობის გაგებით, ანუ პირების გაერთიანებას, რომლებიც ერთიანდებიან საერთო მიზნის ირგვლივ (არასამეწარმეო მიზნები), ხოლო მეორე ტიპისა ამხანაგობა იქნება ეს კომანდიტური ამხანაგობა, სავაჭრო ამხანაგობა თუ სხვა წარმოადგენს, ისეთი ტიპის გაერთიანებას, რომლის მიზანიც სწორედ სამეწარმეოა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მართალია ხშირად იცვლებოდა, თუმცა იცნობდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფორმას. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა სამართლის არსებობის პერიოდში მეტად პოპულარული იყო, სწორედ სავაჭრო ამხანაგობები, თუმცა იმ პერიოდში ასეთი ტიპის საზოგადოება წარმოადგენდა სავაჭრო სამართლის ნაწილს.[201] თუმცა, მაშინ როცა საბჭოური კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა იცნობდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა სავაჭრო ამხანაგობა, კოოპერატიული ამხანაგობა, კომანდიტური ამხანაგობა, სრული ამხანაგობა

---

[198] ნინუა ე., „ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში", გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 13.

[199] იქვე, 13.

[200] იქვე, 13.

[201] იქვე, 30.

და სხვა[202], ანგლოამერიკული სამართლისათვის სრულიად უცხო იყო ასეთი ტიპის ამხანაგობა. მართალია, აშშ-ს სამართლისათვის დამახასიათებელია ამხანაგობის სხვადასხვა ფორმები, თუმცა ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება წევრთა პასუხისმგებლობის ფორმებით და არა თავად ამხანაგობის საქმიანობის მიზნით. აშშ-ს სამართლის შესაბამისად ამხანაგობის დეფინიციაში, რა ფორმისაც არ უნდა იყოს ის, პირდაპირ არის მითითებული რომ ერთობლივი საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით და უმთავრეს განმსაზღვრელ მახასიათებელს ასეთი ტიპის ერთობლივი საქმიანობისა წარმოადგენს სწორედ მოგება-ზარალის გადანაწილება თანაბრად ან/და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით.[203] ქართულ და ანგლოამერიკულ ამხანაგობას შორის კონცეფტუალურ სხვაობას სწორედ მოგების მიღების მიზანი წარმოადგენს, სწორედ იმ მიზეზით, რომ არ დაიშვებოდა ამხანაგობის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, ჩამოყალიბდა ისეთი ფორმა როგორიცაა სამეწარმეო ამხანაგობა, ასეთი ტიპის საწარმოს არსებობის მნიშვნელობაზე მიუთუთებს ის ფაქტიც, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს ასეთი სახის ამხანაგობას. თავის მხრივ „ერთობლივი საწარმო" გარკვეული თავისებურებებით განხვავდება სამეწარმეო ამხანაგობისგან, ზუსტად იმავე მახასიათებლებით რა მახასიათებლითაც ის განსხვავდება აშშ-ს სამართლისათვის დამახასიათებელი ამხანაგობის ნებისმიერი ფორმისაგან.[204] აღნიშნულს ემატება „ერთობლივი საწარმოს" პოპულარობა, რომელიც როგორც ჩანს დღეს მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციებისათვის მეტად ხელსაყრელი სამართლებრივი ფორმაა. რეალურად თუ შევადარებთ სამეწარმეო ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" მივიღებთ მსგავს სამართლებრივ ფორმებს - 1) ორივე მათგანში ურთიერთობები წესრიგდება ხელშეკრულების საფუძველზე, 2)სამეწარმეო ამხანაგობა და სახელშეკრულებო ერთობლივი საწარმო წარმოადგენს არაიურიდიულ პირებს, თუმცა სამეწარმეო ამხანაგობა შეილება საჭიროებდეს რეგისტრაციას, რაც მსგავსებაში მოდის „საკორპორაციო ერთობლივ საწარმოსთან", 3) ორივე საზოგადოების მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება და ხარჯების გადანაწილება. შესაბამისად შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს თანამედროვე სამეწარმეო ამხანაგობას, უფრო გამარტივებული ფორმითა და მეტი მასშტაბებით.

---

[202] იქვე, 32.

[203] Barstow J. O., Partnership, 3 Law Coach 186 (1923), Queen Mary University of London, 187.

[204] ვრცლად იხ. გვ. 36-43.

1.1.2. ქართული სასამართლო პრაქტიკა

საინტერესოა, რომ საქართველოს სასამართლოებს აქვს არაერთგვაროვანი პრაქტიკა ამხანაგობის აქტიურ და პასიურ საპროცესოუნარიანობასა და უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებით. ერთი მოსაზრების თანახმად, ამხანაგობა არ წარმოადგენს კორპორაციულად ორგანიზებულ პერსონალურად პასუხისმგებელ საზოგადოებას და წარმოადგენს საერთო თანაზიარ საკუთრებას, რომელსაც გააჩნია საკუთარი უფლებაუნარიანობა. აღნიშნული უფლებაუნარიანობა მოიცავს სამოქალაქო ბრუნვაში მისი წარმომადგებლების მეშვეობით მონაწილეობას, სადაც ის ჩვეულებრივ იძენს უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს. ამ ყოველივეს ემატება ისიც, რომ ამხანაგობის წევრთა მიერ განხორციელებული შენატანები წევრთა თანასაკუთრებად კი არ აღირიცხება, არამედ ის აღირიცხება თავად ამხანაგობის საკუთრებად, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მისი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ბუნებაზე. ამხანაგობა გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში თავისუფლად და დამოუკიდებლად, კისრულობს ვალდებულებებს და იძენს უფლებებს, შესაბამისად ის აღნიშნული უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით წარმოადგენს დავის მონაწილე დამოუკიდებელ სუბიექტს. აქედან გამომდინარე, ამხანაგობას, როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს გააჩნია როგორც პასიური, ისე აქტიური საპროცესოუნარიანობა.[205] თუმცა, სასამართლოს მიერ უფრო ადრეული გადაწყვეტილებებით ასევე აღიარებულია მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული პირების საპროცესოუნარიანობა, აღნიშნული კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამეწარმეო ამხანაგობის იურიდიულ სტატუსს, უნდა გააჩნდეს თუ არა მას საპროცესოუნარიანობა იმგვარად, როგორც ეს იურიდიული პირის, შემთხვევაშია.[206] ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ ამხანაგობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ გახდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი და შესაბამისად მისი წევრთა პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე არის სოლიდარული, მისი წევრები კი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, პერსონალურად, შესაბამისად საპროცესოუნარიანობა გააჩნია არა თავად ამხანაგობას, როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს, არამედ მის

---

[205] თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/167-15, 22 დეკემბერი, 2015 წელი.

[206] თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე No2ბ/5236-13 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

თითიეულ წევრს.[207] ამხანაგობა ყველა მონაწილის სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში და სწორედ მისი წევრები წარმოადგენენ სამართალ სუბიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ აქტიური საპროცესოუნარიანობა.[208] როგორც ვხედავთ, ამხანაგობის საპროცესოუნარიანობასა და მის უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომები არსებობს სასამართლო პრაქტიკაში, ერთი მოსაზრებით ამხანაგობა წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს, რომელსაც გააჩნია სრული საპროცესოუნარიანობა, ხოლო მეორე მოსაზრებით ამხანაგობა არ მოიზარება დამოუკიდებელ სუბიექტად და ის მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის მისი წევრების საშუალებით და სწორედ მის წევრებს გააჩნიათ საპროცესოუნარიანობა. მართალია, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა და სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ამხანაგობის უფლებაუნარიანობასა და საპროცესოუნარიანობასთან დაკავშირებით, თუმცა საგულისხმოა, რომ უახლესი სასამართლო პრაქტიკა, სწორედ იმ აზრს ემხრობა, რომ ამხანაგობა, ისევე როგორც იურიდიული პირი წარმოადგენს სამართალსუბიექტს, რომელსაც გააჩნია აქტიური და პასიური საპროცესოუნარიანობა. მიუხედავად ასეთი, ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტისა, ცალსახაა, რომ ამხანაგობა წარმოადგენს იმგვარ ერთობლივ საქმიანობას, რომელიც უნდა მოიაზრებოდეს დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაც გააჩნია საპროცესოუნარიანობა.[209] მით უფრო, აღნიშნული მნიშვნელოვანია „ერთობლივი საწარმოს" მსგავსი სამეწარმეო ამხანაგობის შემთხვევაში, რომელიც მიუხედავად მისი იურიდიული პირისაგან განსხვავებული ბუნებისა, მოქმედებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, გააჩნია საკუთარი ქონება და მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, შესაბამისად მას როგორც იურიდიულ პირს უნდა გააჩნდეს სრული საპროცესოუნარიანობა და მასთან მიმართებაში ჩვეულებრივ, როგორც იურიდიულ პირთან მიმართებაში უნდა მოქმედებდეს ე.წ. სალმონის პრინციპი[210].

---

[207] თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინება, საქმე №2ბ/3775-12 18 დეკემბერი, 2012 წელი.

[208] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, განჩინება #1ბს-614-593(კ-10) 12 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი.

[209]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთაპა ლატა, განჩინება # [1]3კ/599, 22 თებერვალი 2001 წ., ქ. თბილისი, აღნიშნულ საქმეში სასამართლო მსჯელობდა არარეგისტრირებული კავშირის საპროცესოუნარიანობაზე, რომელიც ასევე კავშირშია ამხანაგობასთან, რადგან ამხანაგობა არარეგისტრირებული კავშირის გამოვლინებაა, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ბუნება - საქმიანობის სპეციფიკური მიზანი.

[210] აღნიშნული პრინციპო სათავეს იღებს საქმიდან Salomon v A Salomon & Co Ltd [1896] UKHL 1, რაც გულისხმობს საზოგადოებისათვის დამახასიათებელ დამოუკიდებელ პიროვნულობას,

ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკა ამხანაგობის იურიდიული ბუნების განსაზღვრისთვის ძალზე საინტერესოა თეორიულ-დოკმატურად და ცხადჰყოფს ამხანაგობის, მით უფრო სამეწარმეო ამხანაგობის, დამოუკიდებელ სამართალსუბიექტუნარიანობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების საჭიროებას.

1.2. ერთობლივი საქმიანობა - სინდიკატი

ერთობლივი საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სინდიკატი/სინდიცირება. მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობა ერთობლივი საქმიანობის განხორციელების რამდენიმე ფორმას იცნობს და ასახელებს, თუმცა ასევე არსებობს სხვა სახის ერთობლივი საქმიანობა, რომელიც საქართველოში კანონმდებლობის დონეზე განმტკიცებული არ არის, სწორედ ასეთ საქმიანობას წარმოადგენს სინდიცირება, რომლის დეფინიციაც უცხოა ქართული კანონმდებლობისათვის. სინდიცირება წარმოადგენს საქმიანობის ისეთ ფორმას, რომელიც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ძალზე ახლოს არის „ერთობლივ საწარმოსთან". შესაბამისად ჩნდება კითხვა, ხომ არ წარმოადგენს სინდიცირება ქართულ კანონმდებლობაში არაფორმალურ „ერთობლივ საწარმოს"? იმისათვის, რომ გაგებულ იქნას მიმართება „ერთობლივ საწარმოსა" და სინდიცირებას შორის, პირველ რიგში გააზრებულ უნდა იქნას ამ უკანასკლენლის სპეციფიკა და არსი, თუ რას გულისხმობს ასეთი ტიპის საქმიანობა. სინდიცირება, უზოგადესი განმარტების დონეზე, წარმოადგენს მეწარმე სუბიექტების იმგვარ გაერთიანებასა და შეთანხმებას, რომლის მიზანიც არის საქონლის ერთობლივი გასაღება მოგების მიღების მიზნით. ქართულ საბანკო სივრცეში სინდიკატი საკმაოდ აქტუალურია და დღეს საკმაოდ ხშირად გამოიყენება, აღნიშნული კი გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი საფინანსო ორგანიზაციების გაერთიანებას რაიმე მსხვილი გარიგების (თანადაფინანსების) ერთობლივად განსახორციელებლად, რა დროსაც, რა თქმა უნდა, თითოეულ საფინანსო დაწესებულებას გააჩნია საკუთარი ბიზნეს ინტერესი, თუმცა მოქმედებს მეორე საფინანსო დაწესებულებასთან ერთად შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

კომპანიას აქვს მისი დამფუძნებლებისაგან და პარტნიორებისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პიროვნულობა, აღნიშნული პიროვნულობა მრავალ უფლებებთან ერთად, მოიცავს მისი პარტნიორებისაგან დამოუკიდებელ სრულ საპროცესოუნარიანობას.

დღესდღეობით, უმსხვილესი ბიზნეს გარიგებების განხორციელება საფინანსო ორგანიზაციების (კომერციული ბანკების) მონაწილეობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია, რადგან სწორედ ბანკი წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელიც საკრედიტო რესურსის გამოყოფის გზით აფინანსებს ორგანიზაციებს, იმ ბიზნეს გარიგებების განსახორციელებლად, რომლებიც ძალზე დიდ თანხებთან არიან დაკავშირებული.[211] სწორედ, ზემოაღნიშნულ საკრედიტო რესურსს ეწოდება „სინდიცირებული კრედიტი", რაც გულისხმობს რამდენიმე ბანკის მიერ საბანკო კრედიტის გაცემას ერთ მსესხებელზე, შესაბამისად მსეხსებლის დაფინანსება ხდება რამდენიმე საკრედიტო დაწესებულების მიერ.[212] ასეთი შეთანხმებისას თითიეული საკრედიტო დაწესებულება გარკვეული ნაწილის დაფინანსებაზეა პასუხისმგებელი, რაც, რაღა თქმა უნდა, წინასწარ არის შეთანხმებული მხარეთა შორის. თავისთავად მსესხებელიც თანახმა უნდა იყოს სინდიკატის პირობებზე, თუმცა სინდიცირების უპირველეს საფეხურს წარმოადგენს თავად საკრედიტო დაწესებულებებს შორის დადებული შეთანხმება, რომელშიც ისინი თანხმდებიან, ისეთ არსებით პირობებზე როგორიცაა თუ ვინ გაუწევს სინდიცირების პროცესს ადმინისტრირებას, ვინ მართავს კრედიტს, რა პროპორციით დააფინანსებს თითოეული მათგანი მსესხებელს, როგორ გადანაწილდება მათ შორის მოგება (დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ნებისმიერი სხვა გადასახდელი/საკომისიო/პირგასამტეხლო) და თითოეული დეტალი თუ რისი უფლებამოსილება და ვალდებულება გააჩნია საკრედიტო დაწესებულებებს.[213] შესაძლოა ითქვას, რომ პრაქტიკაში გვხვდება სინდიკატის სხვადასხვა ფორმები და გამოვლინებები. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც ასევე საქართველოში საკმაოდ წარმატებულად გამოიყენება საფინანსო დაწესებულებების მიერ არის თანადაფინანსების, თანამონაწილეობის შეთანხმება, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, როდესაც საკრედიტო დაწესებულება მის მიერ გაცემული საკრედიტო რესურსიდან გამომდინარე საპროცენტო სარგებლის მიღების უფლებას სასყიდლიანად გადასცემს სხვა საკრედიტო დაწესებულებას. ასეთ დროს კრედიტის გამცემი საფინანსო ინსიტუტი წარმოადგენს ე.წ. „ძირითადი გამსესხებელს", რომლის მართვასა და ადმინისტრირებაშიც არის თავად საკრედიტო რესურსიც და მსესხებელთან ურთიერთობაც. მართვა და

---

[211] Dhawan V., Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 Ct. Uncourt 29 (2019), Content downloaded/printed from Heinonline, Sat May 4, 04:45:40, 2019y., 1.

[212] იქვე, 1.

[213] Gutcho B. L., Syndicated Lending : Lead Banks and Syndicate members, 22 Int'l Bussiness Law 131 (1994), 131.

ადმინისტრირება, გულისხმობს ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებას „ძირითადი გამსესხებლის" მიერ, ანუ გადაწყვეტილებები რომლებიც გამომდინარეობს ყოველდღიურობიდან იქნება ეს მსესხებლის მიერ დასაფარი ძირისა თუ პროცენტის ჩამოჭრა, მსესხებელთან კომუნიკაცია, სათანადო დოკუმენტაციის მოძიება/მიღება/გაცემა თუ სხვა საკითხები. თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ასეთი ურთიერთობის მხარეებს/მონაწილეებს შორის თავის მხრივ იდება სწორედ მონაწილეობის შეთანხმება, რა თქმა უნდა განსაზღვრულია ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყველა თანამონაწილის გადაწყვეტილებას და მარტოდენ „ძირითადი გამსესხებლის" მიერ მისი შეხედულებისამებრ მიღებული გადაწყვეტილება საკმარისი არ არის.[214] ზოგადად, ნებისმიერი სინდიკატისთვის მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ ნაწილს წარმოადგენს სინდიცირების შეთანხმება, რომელიც იდება მხარეებს შორის, აღნიშნულ შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ კრედიტის გამცემი საფინანსო ორგანიზაციები და მსესხებლები. აღნიშნულ შეთანხმებაში მხარეები თანხმდებიან, როგორც ზოგად პირობებზე (სინდიკატის მოქმედების ვადა, კრედიტის თანხა, მხარეთა კომუნიკაცია, შეწყვეტის საფუძვლები და სხვა.), ისე ფინანსური კოვენანტებზე, რომლებიც შესაბამისობაშია კლიენტისა და თითოეული საფინანსო დაწესებულების ინტერესებთან და მოიცავს ისეთ საკითხების დარეგულირებას როგორიცაა მსესხებლის თავისუფალი ფულადი სახსრები, მსესხებლის კაპიტალი, მოგება, მის მიერ დივიდენდების გაცემის წესი, დანახარჯები და სხვა. ფინანსური კოვენანტები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს რაზეც თავიდანვე უნდა შეთანხმდნენ მხარეები, რადგან დაფინანსების ბედი სწორედ მასზეა დამოკიდებული.[215]

საქართველოში მოქმედი საფინანსო დაწესებულებები ხშირად მიმართავენ სინდიცირების ხერხს სხვადასხვა მრავალფეროვანი ფორმით. მაგალითად, საკმაოდ გავრცელებულია სინდიცირება მოთხოვნის დათმობისა და საკუთრების მინდობის გზით. მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, ერთი საფინანსო დაწესებულება უთმობს მეორე საფინანსო დაწესებულებას მის მიერ მსესხებლისათვის გაცემული საკრედიტო რესურსიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მოთხოვნის დათმობისას საფინანსო დაწესებულებას შეუძლია დათმოს როგორც კრედიტიდან გამომდინარე მოთხოვნები სრულად, ისე ნაწილობრივ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა მეორე მხარეზე

[214] იქვე, გვ.132.

[215] Dhawan V., Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 Ct. Uncourt 29 (2019), Content downloaded/printed from Heinonline, Sat May 4, 04:45:40, 2019y., 2.

გადავა მის უზრუნველყოფის საშუალებებთან და სხვა უფლებებთან ერთად.[216] საკმაოდ გავრცელებულია ასევე სინდიცირება საკუთრების მინდობის გზით, რაც გულისხმობს ერთი საფინანსო ინსტიტურის მიერ მეორესათვის ქონების სამართავად გადაცემას.[217] თუმცა, სინდიცირება საკუთრების მინდობისა და მოთხოვნის დათმობის ფორმით წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის არ არის რელევანტური რადგან აღნიშნული ინსტიტუტები არ მოდის თანხმედრაში „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკასთან, თუმცა მის მსგავსებაზე დისკუსია შესაძლოა ზოგადად სინდიცირების არსსა და მის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმასთან თანადაფინანსებასთან მიმართებით. თანადაფინანსება საფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოში მეტად აქტუალურია, მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ინტერკრედიტორს და გულისხმობს სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც რამდენიმე საფინანსო დაწესებულება, ერთობლივად აფინანსებს მოვალეს კონკრეტული მიზნობრიობით. ასეთი ბუნებიდან გამომდინარე საინტერესოა, ხომ არ წარმოადგენს სინდიცირება (თანადაფინანსება, ინტერკრედიტორი) ერთობლივი საწარმოს ერთ-ერთ გამოვლინებას, როგორც აშშ-ში ისე საქართველოში. „ერთობლივ საწარმოსა" და სინდიკატს შორის მართლაც არსებობს გარკვეული მსგავსებები. სინდიკატისას, ისევე როგორც „ერთობლივი საწარმოს" საქმიანობისას ხდება რამოდენიმე ორგანიზაციის (რომელთაც სინდიკატის შემთხვევაში წარმოადგენს საფინანსო ორგანიზაციები) მიერ კონკრეტული პროექტის დასაფინსნებლად ერთობლივი საქმიანობა. ასეთი დაფინანსება შემოსაზღვრულია, როგორც თანხით ისე დროის პერიოდით, რაზეც კომერციული ბანკები და მსესხებელი თავიდანვე თანხმდებიან.[218] აღნიშნული მახასიათებელი მსგავსებაში მოდის „ერთობლივი საწარმოსათვის" სდამახასიათებელ ერთჯერადი ტრანზაქციის განხორციელების მიზანზე. მართალია, სინდიკატის შემთხვევაში საფინანსო ორგანიზაციები ერთიანდებიან კონკრეტული პროექტის დასაფინანსებლად, მოგების მიღების მიზნითა და ინაწილებენ დანახარჯებს თანაბრად, ასევე მსგავსად „ერთობლივი საწარმოსი" დებენ ერთმანეთთან შეთანხმებას, სადაც განსაზღვრავენ თუ ვინ აიღებს ძირითად ვალდებულებებს და მართავს საკრედიტო რესურსს, ვის რა ვალდებულება და უფლებამოსილება ექნება, ვინ რა ნაწილის დაფინანსებას განახორციელებს, თუმცა საკითხავია არის კი ეს

[216] თოთლაძე ლ., რედაქტორი - ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 2018წ., გვ.182.

[217] რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 724, ბოლო დამუშავება, 21 მარტი, 2019წ., გვ.18., აბზაცი 39.

[218] International financial law Review, Is Syndicated lending a Joint Venture?, August 1985, 12. Content downloaded/printed from HeinOnline, Sat May 4, 04:02:47, 2019y.

ერთობლივი საქმიანობა, იმ არსით რა არსითაც ეს ხდება „ერთობლივი საწარმოსა" და ამხანაგობის დროს?! ზოგადად, ერთობლივი საქმიანობა უფრო ფართო ცნებაა, რომელიც შესაძლოა მრავალგვარ ურთიერთობას მოიცავდეს და მრავალი სხვადასხვა სახითა და ფორმით ხორციელდებოდეს[219], თუმცა საკითხავია თუ რა ტიპის ერთობლივი საქმიანობა უნდა წარმოადგენდეს „ერთობლივ საწარმოს". იმისათვის, რომ დადგინდეს რა ტიპის ერთობლივი საქმიანობა მოითხოვება „ერთობლივი საწარმოს" შემთხვევაში, აუცილებელია, იმ განმსაზღვრელი მიზნის გააზრება რის ირგვლივაც ახორციელებენ მხარეები ამგვარ ერთობლივ საქმიანობას. ამასთან, ეს მიზანი უნდა იყოს საერთო. ამხანაგობის შემთხვევაში ეს არის საერთო სამეურნეო მიზანი, რაც სინდიკატთან შესადარებლად არ არის რელევანტური, რადგან ის ხორციელდება არასამეწარმეო მიზნებისათვის, რაც ცხადია სინდიკატის შემთხვევაში სახეზე არ არის. რაც შეეხება, „ერთობლივ საწარმოს" აქ მიზანს წარმოადგენს საერთო მოგების მიღება კონკრეტული საქმიანობობის განხორციელების შედეგად, ამასთან ეს მიზანი არის საერთო და არ შეიძლება წარმოადგენდეს მხარეთა თვითმიზანს. სინტიკატის შემთხვევაში საფინანსო ორგანიზაციათა ურთიერთობა გავს „თითოეული წევრის ინტერესების გაერთიანებას"[220], რა დროსაც მხარეები ახორციელებენ ბიზნეს გარიგებას/ტრანზაქციას და აერთიანებთ არა საერთო არამედ დამოუკიდებელი ინტერესები, თითოეულმა მათგანმა მიიღოს მისი კუთვნილი მოგება (იქნება ეს დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, საკომისიო თუ სხვა რამ). შესაბამისად, სინტიკატი მართალია ფართო გაგებით წარმოადგენს ერთობლივ საქმიანობას, თუმცა არ წარმოადგენს ერთობლივ საქმიანობას სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად განხორციელების გაგებით, რომელიც ხორციელდება საერთო მიზნების მისაღწევად. ამასთან, არ ახასიათებს ის ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც დამახასიათებელია „ერთობლივი საწარმოსათვის". ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სინდიკატი ვერ იქნება გააზრებული როგორც „ერთობლივი საწარმო" ორივე მათგანის განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობაში რეალურად არ მოიძებნება ისეთი საქმიანობის ფორმა, რომელიც ახლოს არის „ერთობლივი საწარმოს" მეშვეობით ერთობლივ საქმიანობასთან, აღნიშნულს ცხადჰყოფს, როგორც

---

[219] ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ., 35.

[220] რობაქიძე ი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ., გვ.3, ველი-5, ონლაინ იხ. www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxv-ერთობლივი-საქმიანო/მუხლი-930/

„ერთობლივი საწარმოს” სრულიადნ განსხვავებული ბუნება საქართველოში დღეს მოქმედი ამხანაგობისა და სინდიკატისაგან.

V. დასკვნა

საერთაშორისო თუ ქვეყნების შიდა ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების განვითარების ტენდენციები იმდენად მრავალფეროვნად და სწაფად ვითარდება, რომ მისი ხელშეწყობისა და სწორად წარმართვისათვის აუცილებელი ხდება საერთაშორისო და ქვეყნების შიდა სამართალმა ფეხი აუწყოს აღნიშნულ ტენდენციებს და დახვეწილ და გამართულ კალაპოტში ჩააყენოს ისინი. მით უფრო ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საკითხებთან მიმართებაში, რა დროსაც მნიშვნელოვანია სამართალმა უზრუნველყოს ბიზნეს ორგანიზაციათა და გაერთიანებათა წარმატებული ფუნქციონირება და იმგვარი ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლითაც დაცული იქნება სამეწარმაო საზოგადოებათა ინტერესები, რომლებიც ძირითადად გამოიხატება ნაკლები რისკით მეტი ფინანსური სარგებლისა თუ მოგების მიღებით.

წინამდებარე ნაშრომით განხილულ იქნა შედარებით ახალი სამეწარმეო საქმიანობის მექანიზმი, რომელიც მიუხედავად მისი პოპულარობისა და აქტუალურობისა, გარკვეულ პრობლემებს აწყდება, როგორც შიდასამართლებრივ ურთიერთობებში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს უფრო და უფრო პოპულარულ ფორმას ბიზნეს ორგანიზაციების გაერთიანებისა, რომლებიც ისწრაფვიან განახორციელონ კომერციულ ბაზარზე მსხვილი და მნიშვნელოვანი პროექტები საერთო ძალისხმევისა და რესურსების გაერთიანების გზით.[221] შესაბამისად, მეწარმე სუბიექტთა აღნიშნულმა სურვილმა, მარტივი მექანიზმით ზარალისა და მოგების გადანაწილებით ჩამოაყალიბონ კონკრეტული პროექტის მიზნებისათვის „ერთობლივი საწარმო" სამართალი დააყენა გამოწვევის წინაშე - წარმოადგენს თუ არა ასეთი მექანიზმი სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს და რომელი მარეგულირებელი წესები უნდა გავრცელდეს „ერთობლივ საწარმოზე". სტატიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სწორედ ამ პრობლემის წარმოჩენა და მის გადაწყვეტასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებების განხილვა. ფაქტია, რომ დღეს საწარმოები აქტიურად იყენებენ გაერთიანების ამგვარ ფორმას, მით უფრო ,როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო კომერციულ ბაზარზე ერთობლივი საქმიანობის განხოცრიელებას, როდესაც „ერთობლივი საწარმო" გვევლინება როგორც საერთაშორისო ბაზარზე შესვლისა და

[221] Vennat M., Joint Venture Dissolution, 19 Review Gen. 841 (1988), Queen Mary University of London, 842.

დამკვიდრების მთავარი მექანიზმი.[222] საერთო ჯამში, მართალია „ერთობლივ საწარმოს" გააჩნია ამხანაგობის მსგავსი მახასიათებლები, თუმცა ,როგორც პროფ. Sarath Sanga განმარტავს, „ერთოვლივი საწარმო" არის განსხვავებული სპეციფიკის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს უფრო მეტად ერთიან ორგანიზმს, ვიდრე უბრალოდ გაშლილი ხელის პრინციპის[223] შესაბამისად დადებული ბიზნეს გარიგება და ამასთან, უფრო ნაკლებად გრძელვადიანი ვიდრე სხვა ტიპის გაერთიანებები.[224] შესაბამისად, ნაშრომში განხილული ამხანაგობისა და „ერთობლივი საწარმოს" მხასაითებლებიდან, მათ შორის მსგავსება/განსხვავებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ „ერთობლივი საწარმო" წარმოადგენს ახალ, განსხვავებული კონცეფციის გაერთიანებას, რომელიც საჭიროებს კარგად გააზრებასა და განსხვავებულად მოპყრობა/გადაწყვეტას. ამასთან, ვინაიდან ძირითადი პრინციპები საერთო აქვს ამ ორ ინსტიტუტს, შესაძლებელია ანალოგიის წესით საერთო წესების გამოყენება, თუმცა „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკიდან გამომდინარე ის უფრო ექცევა სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელ სახელშეკრულებო რეგულაციების ფარგლებში.

ნაშრომის მიზანი იყო ასევე ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობის წარმოჩენა ასეთი ტიპის საზოგადოებასთან მიმართებაში. საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობის ტენდენციები ამ მხრივ, რადგან საქართველო დგას ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რაც თავისთავად მოითხოვს არსებული სამართლებრივი რეალობის კარგად გააზრებასა და შესაბამის ტენდენციებზე მორგებას. მართალია ქართული კანონმდებლობა საკმაოდ მრავალფეროვანია და ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მრავალ საშუალებას იძლევა, იქნება ეს მეწარმე თუ არასამეწარმეო სუბიექტების მეშვეობით განხორციელებული ერთობლივი საქმიანობა, თუმცა, აშკარაა, რომ ქართული სამართლებრივი სივრცე არ იცნობს „ერთობლივი საწარმოს" სპეციფიკის მქონე საზოგადოებებს. მაშინ, როდესაც აშშ-ის სამართალში მიმდინარეობს დისკუსია ამხანაგობასა და „ერთობლივ საწარმოს" შორის მსგავსებასთან დაკავშირებით, ქართული რეალობისთვის ეს რელევანტური არ არის, რადგან მათ შორის არსებობს ერთი უმთავრესი განსხვავება - სამეწარმეო მიზანი. ქართული კანონმდებლობის

[222] Jelinek M., Pettit J., The Joint Venture (JV) Handbook, HIS Consulting, Strategic Advisory&Transaction Support, 6.

[223] Arm's length principle - ე.წ. გაშლილი მკლავის პრინციპი წარმოადგენს კომერციული ურთიერთობების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომელიც გამოუყენება სახელშეკრულებო სამართლის მიზნებისთვის და გულისხმობს ტრანზაქციის მხარეების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას და თანასწორ მდგომარეობას.

[224] Sanga S., A Theory of Corporate Joint Ventures, 106 California Law Review 1437, October, 2018, 3.

თანახმად, პირს, რომელსაც ამოძრავებს სამეწარმეო მიზანი უნდა მოქმედებდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში, როგორც მეწარმე სუბიექტი და უნდა ექვემდებარებოდეს სავალდებულო რეგისტრაციას, სხვა მხრივ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელია. მაშინ, როდესაც „ერთობლივი საწარმოს" მთავარი სპეციფიკა მდგომარეობს საზოგადოების პარტნიორთა შორის მარტოოდენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას. ამასთან, არც სინდიკატთან მოდის აღნიშნული ინსტიტუტი თანხვედრაში, მით უფრო, რომ თავად სინდიკატის სამართლებრივი მდგომარეობაც საკმაოდ ბუნდოვანია ქართულ სამართლებრივ სივრცეში. შესაბამისად, ქართული რეალობისთვის „ერთობლივი საწარმო" ,როგორც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი, უცხოა, თუმცა,საგულისხმოა ტენდენციები, რომლებიც მიუთითებს, რომ არსებობდა მსგავსი ტიპის საზოგადოება ქართულ კანონმდებლობაში, ასევე საგულისხმოა სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები მსგავსი ტიპის გაერთიანებების საპროცესოუნარიანობის საკითხთან მიმართებაში.[225] აღნიშნული ტენდენციები კი უფრო და უფრო მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის მიერ „ერთობლივი საწარმოს" მიმართ არსებული მიდგომების შეცვლისა და დახვეწის აუცილებლობაზე.

საბოლოო ჯამში, ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა „ერთობლივი საწარმოს" სამართლებრივი ფორმის, მისი მახასიათებლებისა და სპეციფიკის წარმოჩენა, მის ირგვლივ არსებული პრობლემების გააზრება. სწორედ, „ერთობლივი საწარმოსა" და სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მახასიათებლების იულისტირებით გაიზრდება განსახილველი თემის პრაქტიკული მნიშვნელობა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არ არსებობს პრაქტიკული და დოქტრინული მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად წინამდებარე ნაშრომი გარკვეულ გზამკვლევს წარმოადგენს თემით დაინტერესებულ პირთათვის.

[225] იხ. გვ. 60-63.

ბიბლიოგრაფია

1. ინგლისურენოვანი ლიტერატურა

Ansari K. M.	Foundations must be wary when entering joint ventures, 23 Taxtation of Exempts 40, Private foundations, Copyright © 2011 Ria, July/August 2011.
Ashby S. R., Russel R.	Partnership Agreements, 27 Tenn. L. Rev. 165 (1960), Queen Mary University of London.
Ayre Randolph J.	Anatomy of a Joint Venture, 1 Preventive L. Rep. 1 (1982).
Blageff V. L.	Corporate Counsel's Primer Series (194-31), Corporate Counsel's Primer on Transnational Joint Ventures.
Chetwin C. M.	Joint Ventures - A Branch of Partnership Law, 16 U. Queensland L.J. 256 (1991).
Columbia Law Review	The Uniform Limited Partnership Act, Vol. 22, No. 7 (Nov., 1922), pp. 669-672 Published by: Columbia Law Review Association, Inc.
Compton T. C. C.	Cooperation, Collaboration, and Coalition: A Perspective on the Types and Purposes of Technology Joint Ventures, 61 Antitrust L.J. 861 (1993).

Cottrell H. C. — Partnership, Journal of the Institute of Actuaries (1886-1994), Vol. 93, No. 1 (JUNE 1967), Cambridge University press on behalf of the Institute and Faculty of Acruaries.

Dobkin A. J. — Structuring an International Technology Joint Venture, 7 International Financial Law Review 20, Queen Mary University of London, September, 1988.

Dhawan V. — Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 Ct. Uncourt 29 (2019).

Douglas K. Moll, Ragazzo R. — Closely Held Business Organizations: Cases, Materials, and Problems (Introduction), Casebook Series, West Publishing, 2006.

Edward Merrill S. — Partnership Property and Partnership Authority under the Revised Uniform Partnership Act, 49 Bus. Law. 83 (1993).

Flannigan R. — The Legal Status of the Joint Venture. Alberta Law Review, 46(3), 713.

Flanningan R. — Joint Venture Theurgy, 54 Canadian Business Law Journal 368, (December 5, 2013).

Fong I. K., Walker J. K. — International high-technology joint ventures: an antitrust and antidumping analysis, 7 International Tax and Business Lawyer 57 (1989).

Glynn F. E. Jr. — International Joint Ventures: An Enforcement Perspective, 58 Atnitrust Law Journal 703, 1989, American Bar Association.

Grant B. — Joint ventures in the canadian energy industry, 50 Alberta Law Review 373, December 2012.

Harvard Law Review — Joint Venture Corporations: Drafting the Corporate Papers, vol. 78, no. 2, 1964, pp. 393–425.

International Financial Law Review — Is Syndicated lending a Joint Venture? August 1985.

J. Orczy Barstow — Partnership, 3 Law Coach 186 (1923), Queen Mary University of London 187.

Jelinek M., Pettit J. — The Joint Venture (JV) Handbook, IHS Consulting, Strategic Advisory&Transaction Support, September, 2012.

Lawrence B. Gutcho — Syndicated Lending: Lead Banks and Syndicate members, 22 Int'l Bussiness Law 131 (1994).

McCahery A., J., Vermeulen Erik P.M. — Corporate Governance and Innovation Venture Capital, Joint Ventures, and Family Businesses, ECGI Working Paper Series in Law, Working Paper N°.65/2006, March 2006.

Miller G. W. — The Joint Venture: Problem Child of Partnership, 38 California Law Review 860 (1950).

Nelson L. — International Joint Ventures, 2 SPG International Legal Perspectives 75, Spring, 1990.

Nichols H. W. — Joint Ventures, Virginia Law Review, vol. 36, no. 4, 1950, pp. 425–459.

Pentsov D. A. — Contractual joint ventures in international investment arbitration, 38 Northwestern Journal of International Law and Business 391, spring, 2018.

Pepper W. G. — What Constitutes a Partnership, 46 The American Law Register 137 (1898), (founded 1852), University of Pennsylvania.

Pepper W. G. — Partnership Property, 46 Am. L. Reg. 295 (1898), Queen Mary University of London.

Prof. Dr. Stefan Grundmann	Golden Shares, LL.M. (Berkeley) Wiss. Mitarbeiter Dipl.-Kfm. Florian Möslein, LL.M. (University College London), State Control in Privatised Companies: Comparative Law, European Law and Policy Aspects.
Queen Mary University of London	Joint Venture or Partnership, 18 Fordham Law Review 114 (1949).
Rodriguez F. A.	LEGAL FORMS AND WORKSHEETS Relating to PARTNERSHIPS, The Florida Bar, Legal Forms and Worksheets, Chapter 5, LFW FL-CLE 5-1, Current through the Second Edition 2010.
Salbu S. R.	Paternal coordination and conflict in international joint ventures: the use of conflict in international joint ventures: the use of contract to address legal, linguist, and cultural concerns, 43 Case Western Reserve Law Review 1221 (1993).
Salbu S. R.	Joint Venture Contracts as Strategic Tools, 25 Indiana Law Review 397 (1991).
Sanga S.	A Theory of Corporate Joint Ventures, 106 California Law Review 1437, October, 2018.

Schroth W. P
.

United States Joint Ventures: Transideological and Otherwise, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Issue suppl_1, Supplement 1990, Pages 213–249.

Straube M.

Joint-Venture Groups, Effects on the construction work, 13 Int'l Business Law 131 (1985), Queen Mary University of London.

Zenichi Sh.

The Strategy Behind the Organizational Game: A Comparison between the Joint Venture Negotiation and the Venture Capital Investment Negotiation (July 9, 2015).

Taubman J.

What Constitutes a Joint Venture, 41 Cornell Law Quarterly 640 (1955-1956).

Vennat M.

Joint Venture Dissolution, 19 Review Gen. 841 (1988), Queen Mary University of London.

Vidur Dhawan

Syndicate Loan Agreement and Select Clauses, 6 Ct. Uncourt 29 (2019).

Walter H. E. Jaeger

Joint Ventures: Membership, Types and Termination, 9 Am. U. L. Rev. 111 (1960).

Walter H. E. Jaeger

Partnership or Joint Venture, 37 Notre Dame Law. 138 (1961).

Weissburg A. B. — Reviewing the law on Joint Ventures with an eye toward the future, 63 Southern California Law Review 487, January, 1990

Wurts J. — Partnership Estates, 10 Yale Law Journal 283 (1900), Queen Mary University of London.

Zaharia B. — Joint Venture, 2 Journal of Law and Public Administration 146 (2016), Queen Mary University of London.

2. ქართულენოვანი ლიტერატურა

ბურდული ი. — „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები", მუხლი 39, 24 დეკემბერი, 2017წ.

თოთლაძე ლ. — სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედაქტორი - ლადო ჭანტურია, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი,თბილისი, 2018წ.

ნინუა ე. ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი-2012წ.

რობაქიძე ი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 930, 2 აგვისტო, 2016წ.

რუსიაშვილი გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 724, ბოლო დამუშავება, 21 მარტი, 2019წ.

ჩიტოშვილი თ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თავი ოცდამეხუთე, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2001წ.

ცერცვაძე გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი), კარი I, თავი VII, მუხლი 607, ბოლო დამუშავება 5 აპრილი, 2016წ., გვ.3., ველი-6.

ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2011წ.

ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2006წ.

3. სასამართლო პრაქტიკა

3.1. საქართველო

თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/167-15, 22 დეკემბერი, 2015 წელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე No2ბ/5236-13 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინება, საქმე №2ბ/3775-12 18 დეკემბერი, 2012 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, განჩინება # 1ბს-614-593(კ-10) 12 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრე ბის საქმეთაპალატა, განჩინება # ¹3კ/599, 22 თებერვალი 2001 წ.

3.2. აშშ

Salomon v A Salomon & Co Ltd [1896] UKHL 1.

Jackson v Hooper, 76 N.J. E.q. 185, 74 Atl. 130 (ch. 1905).

Leitner v. Wass, 270 App. Div. 926 (N.Y. App. Div. 1946).

Joring v. Harriss, United States Court of Appeals, Second Circuit 292 Fed, 974, 978, (2d Cir, 1923).

Paragon Bldg. Corp. *v.* Bankers Trust Co., 567 P.2d 1216 (Ariz. Ct. App. 1977).

4. ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997წ.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994წ.

26 U.S. Code Title 26—INTERNAL REVENUE CODE.

The Uniform Partnership Act (UPA), 1997.

5. ინტერნეტ რესურსი:

https://papers.ssrn.com/sol3/DisplayAbstractSearch.cfm

http://www.lexisnexis.com/us/lnacademic

http://heinonline.org

https://www.jstor.org/

http://www.gccc.ge/

https://www.matsne.gov.ge/

http://civilcode.ge/index.php?title=Main_Page